კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

ორშაბათი
19 მაისი,
2003 წელი

№129
(4508)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს!

## რიყე, როგორც არქიტექტურული „სპექტაკლი“...



**პრობლემა**, რომელსაც დღეს წამოვჭრით „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველის წინაშე, სისხლხორცეულად ახლობელზე ახლობელია თითოეული თბილისელისთვის. მის დროულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია თბილისის, როგორც ისტორიული ტრადიციების ქალაქისა და თანამედროვე დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქის ბედი.

იხ. მე-3 გვ.

თვალსაწიერი

## და სადღაც ვიღაც დაგემოვნებით აყოლებს თითს გაცრეცილი ინსტრუქციის წლების წინათ ხაზგასმულ სტრიქონებს...

ძველი იეზუიტური მაქსიმა „მიზანი ამართლებს საშუალებას“, საქართველოს დღევანდელ პირობებში ისე „მუშაობს“, ლოიოლას და ტორკვემადას დროს რომ არ უმუშავია.

იეზუიტები მზაკვარი ხალხი კი იყო, მაგრამ ჭკვიანი და მოხერხებულიც რომ იყვნენ, ამაზე არავინ დავობს.

ამიტომ ჩაებღაუჭნენ ხალისით მათს იდეურ მემკვიდრეობას ბოლშევიკები, ამიტომ აღიჭურვნენ მათი საბრძოლო ხერხებითა და მეთოდებით.

მაგალითად, რუსეთის (სსრკ) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საზღვარგარეთ მომუშავე საიდუმლო აგენტების მოვალეობაში შედიოდა: „ყალბი საკრედიტო ბილეთების გამოშვება და გავრცელება, შესყიდვა და საიდუმლოდ გამოტანა ოქროსი და ისეთი საქონლისა, რომლის გატანაც აკრძალულია, აგრეთვე, ქაღალდის ფულის. ეკონომიკურ მღელვარებათა, გაფიცვების, ობსტრუქციებისა და სხვათა ორგანიზება და ყოველმხრივ წახალისება. ქვეყნის მმართველობით საყოველთაო უკმაყოფილების ხელშეწყობა ყველა საშუალებით: აგიტაციის, საგანგაშო ხმების გავრცელების გზით და სხვა... ადგილობრივი სეპარატიზმის პროპაგანდა“.

მართალია, დაეცა თიხისფეხება კოლოსი – სსრ კავშირი, მაგრამ მისი ავბედითი ჯართი ჯერაც არ აღგვილა პირისაგან მიწისა. დაინგრა კომუნისტური იმპერია, მაგრამ იმპერიული აზროვნება ჯერაც მძლავრობს. რაც მთავარია, ცოცხალია ასთავიანი ჰიდრა – რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური. მას მხოლოდ რამდენიმე უმაქნისი თავი წაჰკვეთეს, ისე – მოსაჩვენებლად, დასანახად, თორემ არც ერთი სასიცოცხლო ორგანო არ დაზიანებია. ზეობს, მოქმედებს.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

### შეწყალებულია 250 ომის ვეტერანი პატიმარი

**საქართველოს** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გუშინ 250 ომის ვეტერანი პატიმრის შეწყალების აქტს მოაწერა ხელი. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა.

ნანა კაკაბაძის განცხადებით, შეწყალების აქტი განხორციელდა იმ ყოფილ მეომარ მსჯავრდებულებზე, რომელთაც უკვე მოხდილი აქვთ სასჯელის ზომის ნახევარი. შეწყალების აქტით გათვალისწინებული შეღავათებით ვეტერან პატიმრებს მოაკლდებათ დარჩენილი სასჯელის ზომის მესამედი.

### საერთაშორისო დღე

**მსოფლიოს** 85 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში გუშინ შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ეს დღე საქართველომ მეშვიდედ, დანარჩენმა მსოფლიომ კი უკვე მეოცედ აღნიშნა. წელს შიდსით გარდაცვლილთა საერთაშორისო დღის დევიზია – „გვახსოვდეს მიზეზი, განვაახლოთ ძალისხმევა“.

შიდსმა მსოფლიო მასშტაბით, 42 მილიონი ადამიანი, მათ შორის 3,2 მილიონი 15 წლამდე ასაკის ბავშვი იმსხვერპლა. ამავე მიზეზით საქართველოში დღეისათვის 66 ადამიანია გარდაცვლილი. შიდსით ინფიცირებულთა რაოდენობამ წელს 2-ჯერ გადააჭარბა შარშანდელ მაჩვენებელს. ამასთან, საქართველოში უკვე აღინიშნება ვირუსის ვერტიკალური გადაცემაც (დედიდან შვილზე).

### ერთობლივი წირვა ჩაატარეს

**კაბადოკიაში** გუშინ მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოს I და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მონაწილეობით წირვა ჩატარდა, როგორც „ინტერ-პრესს“ საპატრიარქოში განუცხადეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კონსტანტინოპოლსა და კაბადოკიაში 13 მაისს გაემგზავრა. ილია II თანმხლებ პირებთან ერთად, კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქის, ყოვლად უწმინდესი ბართლომეოს I მიწვევით იმყოფება.

### არარეალურად მიაჩნია

**პარლამენტის** ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ოპოზიციის ინიციატივას ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეუთოს წარმომადგენლებით დაკომპლექტების თაობაზე, არარეალურს უწოდებს. როგორც მან „ინტერ-პრესს“ განუცხადა, ოპოზიციის იდეა ძალიან მომხიბლავია, მაგრამ დროის და პროცედურის თვალსაზრისით, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ცსკ-ს ეუთოს წარმომადგენლებით დაკომპლექტება ვერ მოესწრება.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

ინტერპანორამა




**ამერიკელებმა** დააპატიმრეს ერაყის ყოფილი რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის (სადამ ჰუსეინის) მოადგილე იზათ იბრაჰიმ ად-დური, რომელიც ერაყის ყოფილი ხელმძღვანელობის ძებნილ 55-კაციან სიაშია. იგი ლეიკემიის მწვავე სტადიითაა დაავადებული. ად-დური სირიაში გასვლას ცდილობდა.



**იერუსალიმში** ტერორისტმა ხალხით გატენილ ავტობუსში თავი აიფეთქა. უკანასკნელი მონაცემებით 8 ადამიანი დაიღუპა, 20 დაიჭრა. აფეთქებამ ისრაელის პრემიერ-მინისტრისა და მისი პალესტინელი კოლეგის მოლაპარაკების დასრულებიდან რამდენიმე საათში იგრიალა.



**კასაბლანკაში** მომხდარ ტერაქტებთან დაკავშირებით 30 კაცი დააპატიმრეს. სულ ტერაქტების შედეგად დაიღუპა 41 კაცი, მათ შორის, 5 უცხოელი (ფრანგები, ესპანელები, იტალიელი), 100 კაცზე მეტი დაჭრილია. ნაპოვნია ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი, რომელიც ტერორისტებმა 5 აფეთქებისათვის გამოიყენეს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ქვეყანა
საქართველოს რესპუბლიკა
№ 129, ორშაბათი, 19 მაისი, 2003 წელი.

თვალსაზრისი

# და სადღაც ვიღაც დაგემოვნებით აყოლებს თითს გაცრეცილი ინსტრუქციის წლების წინათ ხაზგასმულ სტრიქონებს...

(პირველი გვერდიდან)

უცვლელია წლების წინათ შედგენილი ინსტრუქციები და ცირკულარებიც. ლუბიანკელმა მეთევზეებმა ჯერ ცხინვალსა და სოხუმს გადააყლაპეს მარჯვედ გადაგდებული ანკესი და კვლავაც დინჯად ფურცლავენ ხმარებით გაცრეცილ ინსტრუქციებს და დაგემოვნებით აყოლებენ თითს ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ ხაზგასმულ სტრიქონებს: „ადგილობრივი სეპარატიზმის პროპაგანდა“...

საზღვარგარეთ მომუშავე ჩეკისტები თავიანთ ბნელ საქმეს ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით აღასრულებდნენ.

ამიტომ ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ჩვენი დაუღვინებელი პოლიტიკოსების ერთი ნაწილის აგრესიული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოვლად გაუაზრებელი ქმედება უცხოეთიდან, ამ შემთხვევაში, ჩრდილოეთიდან იმართება.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК) ჯარების პოლიტგანყოფილების ყოველკვირეული გაზეთი „კრასნი მეჩ“-ი 1919 წელს წერდა: „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არ შეიძლება იყოს ნახევარზომები და ნახევრულობა. საგანგებო რევოლუციური დროის საგანგებო ვითარება ბრძოლის საგანგებო ზომებს მოითხოვს... ჩვენი მორალი ახალია, ჩვენი ჰუმანურობა პროლეტარულია, რამეთუ იგი ეფუძნება ყოველგვარი ჩაგვრისა და ძალადობის მოსპობის ნათელ იდეალს. ჩვენ ყველაფრის ნება გვაქვს დართული, რამეთუ პირველად ვიღეთ მახვილი... ჩაგვრისა და მონობისგან ყველას დასახსნელად. აი, რატომ ვართ შეუპოვარი და თამამი ჩვენეულ მეთოდებში. ომი, რომელსაც ჩვენ წარვმართავთ, ამბოხებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა ომია, მახვილი რომ აღმართეს მჩაგვრელთა წინააღმდეგ. განა ვინმეს შეუძლია გვისაყვედუროს ის, თუ რატომ ვიბრძვით და როგორ ვიბრძვით?“

გადმოიწიეთ 84 წლით და დღევანდელ საქართველოში თქვენ თვითონ გაადევნეთ თვალი ჩვენი პოლიტიკოსების მიზნებსა და არსენალს: „რატომ იბრძვიან და როგორ იბრძვიან“ ისინი.

ავიღოთ სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით ისეთი სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა, როგორიც არის იარაღის უკანონოდ ტარება. ამ ფაქტზე ორიოდე დღის წინათ დააკავეს თბილისის საკრებულოს წევრი.

ეს საკმარისი გახდა, რომ მთელი „წყალგაღმა“ პოლიტიკური სპექტრი აჯაგრულიყო:

– ეს არის მცდელობა პოლიტიკური რეპრესიების დაწყებისა და ეს მცდელობა პირველ ჯერზე თუ გავიდა, ასეთი შემთხვევები მომრავლდება და მომრავლდება!

– მთელი საზოგადოება აღშფოთებულია იმ ფაქტით, რაც გუშინ მოხდა. როცა ნახევარი საქართველო შეიარაღებული დადის, თუნდაც მისი ყოფილიყო ის იარაღი, არ ვიცი, ამას რა შეფასება მივცე!

– აშკარაა და ყველა ნიშანი მეტყველებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან... ნათელი ხდება, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლის გარეშე არანაირი იმედები არ უნდა გვქონდეს!

და ბოლოს:

– რა პროვოკაციებიც არ უნდა მოგვიწყოს ამ ხელისუფლებამ, მაინც ვერ შეგვაშინებენ!

როგორც ხვდებით, ამ დასკვნით განცხადებას თვით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე აკეთებს.

მოდით, როგორც პარლამენტში უყვართ ხოლმე თქმა, ჩამოვყალიბდეთ. სულაც არ მინდა, რომ ის კაცი ციხეში ჩასვან, მასზე კარგის მეტი არაფერი გამიგია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ დააშავა: ქუჩაში უკანონოდ ედო იარაღი (რომლის დაკანონებაც, სხვათა შორის, დღეს ძალიან იოლად და უმტკივნეულოდ ხდება). იარაღის უკანონოდ ტარება კი ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად ითვლება და შესაბამისად ისჯება კიდეც.

არ შეიძლება ეს არ იცოდნენ ზემოთ მოყვანილი მრისხანე ტირადების ავტორებმა. იციან, როგორ არა. მაშინ რატომ არის ცდა, ყველაფერი პოლიტიკურ სიბრტყეზე გადაიტანონ, ყველაფერში ხელისუფლება დაადანაშაულონ?

ასეთი „ბნელ ოთახში კატის ძებნა“, მით უფრო, როცა ის იქ არ არის, მძებნელების მიმართ უნდობლობასა და გაღიზიანებას იწვევს.

არ შეიძლება ესეც არ იცოდნენ. მაგრამ მაინც, წავლენ-წამოვლენ და, საჭიროა თუ არა, ხელისუფლებას წაკბენენ.

პოლიტიკურმა სიმპათიებმა და ანტიპათიებმა არ უნდა დაგაბრმავოს, კორექტულობა იქით იყოს, უბრალოდ, ზნეობრივი ნორმები არ უნდა დაგავიწყოს.

სხვისი არ ვიცი და პირადად მე შემზარა ჩვენი ერთი ჩინებული პოეტის სიტყვებმა: „დემოკრატები სწორედ მოიქცნენ, რომ რჩეულიშვილს თავი გაუხეთქეს. რის ხულიგნობა, რა ხულიგნობა. რა პროკურატურა და გამოძიება სჭირდება ამას?!“ თუ სამართლებრივ ქვეყანას ვაშენებთ, ასეთმა სისხლმოწყურებულმა დამოკიდებულებამ ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწის მიმართ, ყველას ყური უნდა მოსჭრას.

მას ვერ ამართლებს უნივერსალური „ალიბი“: „შევარდნაძის ბანაკის მიმართ სიმპათია არ გამაჩნია“ (იმ პოეტის სიტყვებია). არავინ გავალდებულებს, გინდა თუ არა, სიმპათია გქონდესო, მაგრამ კაცის თავის გახეთქვას აღფრთოვანებით მიესალმო, რაკი იგი შენთვის არასიმპათიური „შევარდნაძის კაცი“ და შენგან მოწონებული დემოკრატების მოწინააღმდეგეა, არა მგონია გამართლებული იყოს.

ყველაფერში ხელისუფლების დადანაშაულება პირდაპირ კომიკურობამდე მიდის. ერთი პარლამენტარი ქალბატონი, რომელსაც ძალიან უყვარს მასმედიაში უცხო პრონონსით ყველას მამიდობა, წინასწარმეტყველებს: „ამ დროის მანძილზე (არჩევნებამდე – ა. ა.) საქართველოში ბევრი ცუდი რამ მოხდება. მათ შორის არ გამოვრიცხავ არც ამბოხებას, რომელიც შესაძლოა თავად ხელისუფლებამვე მოაწყოს, რადგანაც (? – ა. ა.) მასობრივი შიში და პანიკა დათესოს მოსახლეობაში. სახელისუფლებო ძალები მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოახერხებენ არჩევნებში წარმატების მიღწევას. მე იმისიც კი მეშინია, რომ გარკვეულ პოლიტიკოსებზე განხორციელდება ძალადობა, მე მეშინია საქართველოში ცუდი ამბები არ დაიწყოს“...

არ ვიცი, მართლა ეშინია თუ არა ამ ქალბატონს, მაგრამ აშკარად რომ ცდილობს აბსურდული, მავნე და ბოროტი ჭორი გაავრცელოს და ამით საზოგადოებაში ძრწოლა და უიმედობა დათესოს, აშკარაა. თუ ეს „საკუთარი თავის მიმართ ამბოხება“ მხოლოდ მისი შეზღუდული გონების ნაჟურია, კიდევ არა უჭირს რა. მაგრამ იქნებ ზემოთ ნახსენები იმ ცირკულარის შესაბამისად ბრძანებს: „ქვეყნის მმართველობით საყოველთაო უკმაყოფილების ხელშეწყობა ყველა საშუალებით: აგიტაციის, საგანგაშო ხმების გავრცელების გზითო?“...

ვინ იცის!..

ალეკო ასლანიშვილი.

ცენტრი - აჭარა

## ურთიერთობების მოწესრიგებას მომავალი შეხვედრებისას ვარაუდობს

**სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის, მისი მოადგილის გიორგი ისაკაძის და ჯანდაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის რამდენიმესაათიანი ვიზიტი ბათუმში, შეიძლება ითქვას, უშედეგოდ დასრულდა. 17 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერთან დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო როგორც ცენტრისა და რეგიონის საბიუჯეტო ურთიერთობებს, ასევე მომავალ საპარლამენტო არჩევნებს.**

კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ამ შეხვედრაზე ვერ მოხერხდა და ამას ორივე მხარე ადასტურებდა. ასლან აბაშიძე პოზიციას არ იცვლის და კვლავ იმეორებს, რომ „საბიუჯეტო ურთიერთობების დარეგულირება და ფინანსური გაუგებრობების აღმოფხვრა მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების სურვილზეა დამოკიდებული“.

„ცენტრსა და აჭარას შორის საბიუჯეტო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად რამდენიმე ვარიანტი მზადდება. ამ საკითხების საბოლოო მოგვარებას მუშაობა სჭირდება. კონსენსუსის მიღწევა საკმაოდ ძნელია და ჩვენ კომპრომისების ძიებაში ვართ. საერთოდ, შეხვედრები ადამიანებს აახლოებს, როცა დისკუსიები იწყება, გამოსავალიც ადვილი საპოვნელი ხდება“ – განაცხადა ავთანდილ ჯორბენაძემ ბათუმიდან გამომგზავრების წინ აეროპორტში, ჟურნალისტებთან საუბრისას.

სახელმწიფო მინისტრი აჭარაში კიდევ ერთხელ ჩასვლას უახლოეს მომავალში აპირებს და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს და შეთანხმებებს, სწორედ მომავალში დაგეგმილი შეხვედრისგან ელის.

თავის მხრივ, აჭარის ლიდერმა ჟურნალისტებთან საუბრისას მიხეილ მაჭავარიანის მინისტრობის პერიოდი გაიხსენა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მაშინ გადასახადებისა და შემოსავლების მინისტრის ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ, საბიუჯეტო ურთიერთობები აჭარასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის მოწესრიგდა“. მისი თქმით, მაჭავარიანის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, პრობლემების მოგვარება ველარ ხერხდება და ამაში ასლან აბაშიძე ისევ ცენტრალურ ხელისუფლებას ადანაშაულებს.

ასეთივე კატეგორიულია ასლან აბაშიძის პოზიცია საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. „თუ ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას არსებული კანონმდებლობით შეეცდება, მაშინ ამ არჩევნებში „აღორძინების“ მონაწილეობას აზრი არ აქვს“ – აღნიშნა აჭარის ლიდერმა.

17 მაისს 23 საათზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა თბილისელი სტუმრები თავად გააცილა ბათუმის აეროპორტიდან. მანამდე კი, გვიან საღამოს, ასლან აბაშიძემ და ავთანდილ ჯორბენაძემ ნავთობტერმინალი და საზღვაო სავაჭრო ნავსადგური მოინახულეს. სახელმწიფო მინისტრმა დადებითად შეაფასა აჭარაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და აღნიშნა, რომ ბოლოდროინდელი მიღწევები აჭარის ლიდერის დამსახურებაა.

ინტერ-პრესი.



### შეუწყდეს თუ არა ვადა აფხაზეთის დეპუტაციას?

**პარლამენტის** ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია აფხაზეთის დეპუტაციისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადის შეწყვეტისათვის სამართლებრივ საფუძველს ვერ ხედავს.

როგორც „ინტერ-პრესს“ ყოლბაიამ განუცხადა, პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაცია ვადის გაგრძელებისა და სკამების შენარჩუნებისათვის არ იბრძვის, თუმცა, დევნილების მიერ დევნილობაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებით მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის პრინციპის საფუძველი, ტერიტორიული ერთეულის ლეგიტიმურობა დაირღვევა.

### მზადდება რუსეთში მცხოვრებ ქართველთა პირველი კონგრესი

**სოციალისტური პარტიის** ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი რუსეთში მცხოვრებ ქართველთა პირველ კონგრესს ამზადებს. როგორც მან „ინტერ-პრესს“ განუცხადა, კონგრესის მიზანი რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენთა უდიდესი პოტენციალის საქართველოსათვის გამოყენება იქნება.

მისი აზრით, პოლიტიკაზე გადაბმული ბიზნესი საქართველოში საკუთარი განვითარების შესაძლებლობას კლავს. „ეკონომიკურად საქართველოს გადარჩენის უდიდესი შანსი რუსეთში მყოფ ქართველ ბიზნესმენთა ხელშია“ – აღნიშნა რჩეულიშვილმა.

### გუბერნატორმა ბაღდათის გამგებლის გათავისუფლება გადაწყვიტა

**პრეზიდენტის** სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილმა გუშინ საღამოს ბაღდათის გამგებლის გიორგი ამირანაშვილის გათავისუფლების საკითხი დააყენა. ამ რაიონის საკრებულოს სხდომაზე, სადაც მიმდინარე წლის ოთხი თვის შედეგების განხილვა მიმდინარეობდა, საკრებულოს ოპოზიციური პარტიების წევრებმა თემურ შაშიაშვილს ბრალი დასდეს გიორგში ამირანაშვილის მფარველობაში, რომლის უნდობლობის საკითხს ისინი რამდენიმე წელია აყენებენ.

„თუ გამგებლის შეცვლით, ოპოზიცია რაიონს უფრო მეტს გაუკეთებს, ჩათვალეთ, რომ დღეიდან რაიონს გამგებელი აღარ ჰყავს“ – განაცხადა შეხვედრაზე გუბერნატორმა.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონის“ მთავარი ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე.**



### ქვეყნისთვის

– ვფიქრობ, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ქართველისთვის მისაღებია ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის სწრაფვა და არჩეული პოლიტიკა მიმართული ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებისა და მომავალი გაწევრებისკენ. პირდად მე მიმაჩნია, რომ სწორედ ნატოს მეოხებით გახდება შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამდენად, ნატოს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერტსონის ჩვენს ქვეყანაში ვიზიტს და მის შეფასებებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. რამდენადაც ვიცი, ისიც და ნატოს ხელმძღვანელობაც საქართველოს ერთ-ერთ საკვანძო პარტნიორ ქვეყნად მიიჩნევენ კავკასიის რეგიონში. ვიზიტისას ისიც აღინიშნა, რომ ალბათ, სწორედ საქართველოში გაიხსნება ნატოს სამხრეთკავკასიის რეგიონის ქვეყნების საკოორდინაციო ოფისი, რაც მთელ რეგიონში სტაბილურობის ხელშეწყობის კიდევ ერთი ფაქტორი იქნება.

### ჩემთვის პირადად

– 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, სამების ეკლესიაში ჩვენმა მომღერლებმა იგალობეს. მეორე დღეს „ერისიონს“ ეწვია დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა მიქაელი, – აკურთხა ჩვენი შენობა, დალოცა ანსამბლის კოლექტივი. რეპეტიციას თან სდევდა საგალობლები, რაც დაუვიწყარ, უჩვეულო რიტუალად იქცა. მამა მიქაელს იმდენად მოეწონა ჩვენი ბიჭების გალობა, რომ აღგვითქვა, უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II ვამცნობო. გადაწყდა, რომ ჩვენი ანსამბლის მომღერლები შაბათკვირაობით იგალობებენ სამების ეკლესიაში.

ძალიან მახარებს, რომ ახალგაზრდებს აქვთ სწრაფვა ეკლესიისკენ, ეს დიდი შემობრუნებაა, რადგან რწმენის გარეშე ადამიანი ბევრს კარგავს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს!

# რიყე, როგორც არქიტექტურული „სპექტაკლი“...

(პირველი გვერდიდან)

საკითხი ეხება რიყის უბნის მომავალს, მის გეგმაზომიერ განაშენიანებას.

მოგეხსენებათ, რიყე დედაქალაქის ცენტრის განსაკუთრებული, მართლაც უნიკალური ტერიტორიაა; ის ძველი თბილისის განუმეორებელი პანორამის, მხოლოდ თბილისისთვის დამახასიათებელი ულამაზესი ხედების ბუნებრივი ფოკუსია. რიყე თავისებური თეატრალური სცენაა, რომელიც მასშტაბური არქიტექტურული სპექტაკლის, მაღალი გემოვნების ზეიმის მოლოდინშია. ღვთით ბოძებული ბუნებრივი ლანდშაფტის და ურბანისტული კულტურის ამ საგანძურის რესურსი თბილისის მთელ საზოგადოებას, სრულიად საქართველოს, უფრო მეტიც — მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობას ეკუთვნის.

სტიქიურმა მოვლენებმა თავის დროზე რიყე განაშენიანების გარეშე დატოვა — ასეთმა მდგომარეობამ XX ს-ის 90-იან წლებამდე გასტანა, რამაც, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არქიტექტურულ საზოგადოებას რიყის გააზრებული, ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტის იმედი ჩაუსახა. ამისთვის ქართველ არქიტექტორთა ამქარი ათწლეულების განმავლობაში ემზადებოდა, — გაიმართა კიდეც რამდენიმე შემოქმედებითი არქიტექტურული კონკურსი, შემუშავებულია საინტერესო საპროექტო წინადადებები, რიყე რჩება არქიტექტურული სკოლების დიპლომატთა პოპულარულ თემად. მაგრამ, რიყის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც პასუხობდეს თანამედროვეობის ახლებურ მოთხოვნებს, დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქის შესაფერის სტატუსს, ჯერჯერობით არ ჩანს. ასეთი მკაცრი შეფასება ბუნებრივიცაა, რადგან შეცდომის დაშვების უფლება უკვე ნამდვილად არა გვაქვს.

დრო მიდის, ზოგჯერ არასწორად გაგებულმა პრივატიზაციის პროცესმა უკვე დაამახინჯა რიყის მნიშვნელოვანი ნაწილი — ის ფსევდოეროვნულ არქიტექტურულ სტილში გადაწყვეტილი დუქან-რესტორნების მწკრივად ჩამოყალიბდა. ამ პროცესმა ბევრი რამ შეიწირა, მაგრამ, საბედნიეროდ, რიყის გადარჩენა, ჯერჯერობით, კიდევ შეიძლება.

ჩვენი თვალთახედვით, რიყის გადასარჩენად აუცილებელია:

დადგინდეს რიყეზე მიწის ნაკვეთების გასხვისება-გაყიდვის მართებულობა და მშენებლობების კანონიერება;

დროებით შეწყდეს რიყის ტერიტორიის დარჩენილი ნაწილის პრივატიზება;

ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა, არქიტექტურული და ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით, არსებული საკონკურსო და სხვა საპროექტო მასალების გათვალისწინებით, შეიმუშაონ რიყის უბნის ფუნქციურ-გეგმარებითი და არქიტექტურულ-მხატვრული განვითარების პროგრამა და მენეჯმენტის გეგმა;

რიყეზე წარიმართოს მსოფლიო მასშტაბით აპრობირებული, ქალაქგანვითარების ისეთი მშენებლობანი, რომელიც „საზოგადოებრივ-კერძო პარტნიორობით“ არის ცნობილი.

გვინდა ქვეყნის პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იცოდეს, რომ მის პოზიციაზე ბევრად არის დამოკიდებული XXI საუკუნის თბილისის სახის ჩამოყალიბების ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის ხორცშესხმა, როგორიცაა რიყის ღირსეული მომავალი. ამ ამოცანას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს დედაქალაქის ახალ და ახლებურ გენერალურ გეგმაზე დაწყებული სამუშაოები. გვერწმუნეთ, თბილისის საზოგადოებრიობა ქვეყნის თავკაცის გადაწყვეტილების მოლოდინშია.

**ღრმა პატივისცემით,**

**ვახტანგ დავითაია,**
**პროფესორი, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე; არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი;**

**ლადო ვარდოსანიძე,**
**საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, გერმანიის ქალაქთმშენებლობისა და რაიონული დაგეგმარების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;**

**თენგიზ მახარაშვილი,**
**პროფესორი, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის ურბანიზაციის კათედრის გამგე;**

**გიორგი სალუქვაძე,**
**პროფესორი, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი.**

## თევზჭერა

# ნატანებში პირველი მეთევზეთა ნავსადგური აშენდება

**თევზის რეწვა საქართველოში გვიან შემოდგომაზე იწყება, როცა აციებისთანავე ქაფშია აზოვის ზღვიდან შავ ზღვაში მოედინება და მარტის შუა რიცხვებამდე გრძელდება. წელს კი გვიანი გაზაფხულის გამო სეზონმა გასული წლის 25 ნოემბრიდან აპრილის ბოლომდე გასტანა.**

**დასაწყისში თევზის მარაგი ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ძლიერი ყინვების დადგომამ ქაფშიის დიდი რაოდენობით შემოსვლას ხელი შეუწყო და სეზონი უხვმოსავლიანი გახადა.**

**როგორც „საქთევზის“ დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან ცინცაძემ გვითხრა, წელს მოპოვებული თევზის რაოდენობა წინა სეზონთან შედარებით ხუთჯერ მეტია.**

შავ ზღვაში ქართველი მეთევზეების ოც სეინერთან ერთად უკრაინის ხუთი თევზმჭერი და ორი მიმღებ-სამაცივრო გემი მუშაობდა. ყოველდღიურად ჩვენი ათი სეინერი გადიოდა ზღვაში. სეზონზე მთლიანად 12419 ტონა ქაფშიაა დაჭერილი, აქედან ქართულმა გემებმა 6741 ტონა, ხოლო უკრაინის გემებმა 5678 ტონა მოიპოვეს. ამ საქმიდან ბიუჯეტში დაახლოებით 201204 ლარი შევიდა.



მოპოვებული პროდუქტიდან საქართველოს ბაზრებზე მხოლოდ ხუთი პროცენტი გაიყიდა, დანარჩენი კი სარეალიზაციოდ თურქეთსა და უკრაინაში გაიგზავნა.

მომავალი სეზონისთვის მეთევზეები იმედს ნატანებში მეთევზეთა ნავსადგურის მშენებლობაზე ამყარებენ, სადაც ბუნებრივ ტბაზე ოქტომბრის ბოლოს თევზის ფქვილის ქარხანა ამუშავდება, უცხოეთიდან შემოტანილ ტექნიკას მათივე სპეციალისტები დაამონტაჟებენ. ქარხანა დღე-ღამეში 250 ტონა თევზს ჩაიბარებს, საიდანაც 37 ტონა თევზის ფქვილს და ორ ტონა ქონს გამოუშვებს. თევზის ფქვილზე უცხოეთში დიდი მოთხოვნილებაა, იგი ერთი ტონა 700-800 დოლარი ღირს. ქარხნის პროდუქციით უზრუნველყოფა კი საქართველოს კუთვნილ ოცდაექვს გემს თავისუფლად შეუძლია. თუ საჭირო გახდება, ისინი დღე-ღამეში ოთხას ტონამდე თევზს დაიჭერენ.

საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში ვიზიტის დროს ბატონი რომანი შეხვდა უკრაინის თევზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს სერგეი ალიმოვს, რომელიც საქართველოს მხარეს გარკვეულ საკითხებში დახმარებას დაპირდა. შეთანხმების თანახმად, ქართველი ახალგაზრდები სასწავლებლად უკრაინის საზღვაო სასწავლებლებში გაიგზავნებიან. ასევე მაისში ჩამოვა მათი დელეგაცია, კერძოდ, ჩამოვლენ სამეცნიერო ინსტიტუტების დირექტორები, მეცნიერ-მუშაკები, რომლებიც ზუსტად ასახავენ შიდა წყლების პოტენციალს.

ივნისში უკრაინიდან შემოვა საბაზო გემი, რომელიც საქართველოს გემებიდან შპროტს ჩაიბარებს, აქამდე სამაცივრო გემის უქონლობის გამო, გაზფხულში ამ თევზის მოპოვება ვერ ხერხდებოდა, რადგან სიცხეზე სწრაფად ფუჭდება.

უკრაინელების რეკომენდაციით ჩვენი სპეციალისტები ამზადებენ კანონს მეთევზეობისთვის, რომელიც უახლოეს ხანში განსახილველად მთავრობას გადაეცემა.

დღეს ამ დარგში უამრავი პრობლემა არსებობს. ამის მთავარ მიზეზად კი მეთევზეები ხუთი უწყების ხელმძღვანელობას ასახელებენ, რადგან არც ერთს არ აკისრია კონკრეტული პასუხისმგებლობა. ახალი კანონის მიღება და ამ უწყებების დაკომპლექტებით ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბება კი შესაძლებელს გახდის დარგის აღორძინებას.

ადრე შავ ზღვაში 120 ათას ტონამდე ქაფშიას, ხოლო შიდა წყლებში ორი ათას ტონამდე სხვადასხვა სახის თევზს მოიპოვებდნენ. ქვეყანა 20-21 მილიონ კონსერვს, ცხრა ათას ტონამდე შებოლილ, გამოყვანილ, ნახევარფაბრიკატ სასურსათო პროდუქციას აწარმოებდა, ახლა კი ჩვენი მოსახლეობა, ძირითადად აზერბაიჯანიდან შემოტანილ „კილკას“ კონსერვს ყიდულობს, რადგან საქართველოში არსებული სამი საკონსერვო ქარხნიდან არც ერთი არ მუშაობს. მათ შორის, თბილისის თევზის ქარხანა, სადაც 150-ტონიანი მაცივარი უპატრონობის და უმოქმედობის გამო თითქმის სულ გაიძარცვა და დაიშალა.

ცხადია, ამ დარგში არსებულ პრობლემებზე ყველა უწყებას განსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები აქვს. თუმცა, უმთავრესი ალბათ, ბაზრის უქონლობა და ქარხნების უმოქმედობაა, რომელთა აღდგენა და ამუშავება ბევრ საკითხს მოაგვარებდა.

მეთევზეობის დარგისთვის პრიორიტეტის მინიჭებით და დროული დაფინანსებით შესაძლებელი გახდება მისი განვითარება, სადაც დაახლოებით ხუთასი ადამიანი დასაქმდება, მოსახლეობა კი უზრუნველყოფილი იქნება თევზის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით.

**ლელა მანაგლიშვილი.**

## ფინანსები

# კაპიტალიზაციის მოცულობით მსოფლიოში NYSE-ისა და Nasdaq-ის ბაზრები ლიდერობენ

გასული კვირის დასაწყისი ამერიკის შეერთებული შტატების აქციების ბაზარზე მნიშვნელოვანი ზრდით აღინიშნა. ინვესტორების „ხარის განწყობის “ შედეგად ძირითადი ამერიკული საფონდო ინდექსები წლის დასაწყისადან ახალ რეკორდულ მაქსიმუმებზე დაფიქსირდა. Dow Jones-ის ინდექსი 1.4%-ით, ანუ 122 პუნქტით გაიზარდა 8726.73 მაჩვენებლამდე. მაღალტექნოლოგიების Nasdaq-ი 21.25 პუნქტით, ანუ 1.3%-ით 1541.40-მდე.

Nasdaq-ის ბაზარზე ბრუნვის მოცულობამ 1.76 მლრდ, ხოლო ნიუ-იორკის NYSE-ის საფონდო ბაზარზე 1.35 მლრდ. აქცია შეადგინა. გაზრდილი აქციების მოცულობამ დაცემულს 11/5-თან შეფარდებით გადააჭარბა.

საბაზრო სტრატეგიის სპეციალისტების აზრით, მიმდინარე რალის სერიოზული საფუძველი გააჩნია. მათი შეფასებით, მასშტაბური ზრდა დროის მიმდინარე მონაკვეთში, 1997 წლის აქციების ბაზარს გვაგონებს, ანუ ასეთი რალი ტიპიურია „ხარის“ ბაზრის საწყისი ეტაპისათვის.

ექსპერტული ანალიზით, ბოლო ორი თვის განმავლობაში Dow Jones-ის ინდექსი 20%-ით, ხოლო Nasdaq-ი 38 %-ით გაიზარდა. ანალიტიკოსები, ბოლო პერიოდში შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე დაფიქსირებულ რალის ამერიკული ეკონომიკის ზრდის მძლავრი პოტენციის შესახებ ინვესტორების მზარდ ოპტიმიზმს უკავშირებენ.




გასული კვირის დასაწყისში Dow Jones-ის ინდექსის ზრდის ლოკომოტივს კომპანია SBC Communications-ი წარმოადგენდა, რომლის აქციები 4.1%-ით გაიზარდა. ზრდის ლიდერებს წარმოადგენდნენ ასევე კომპანიების International Paper, Honeywell-ისა და American Express-ის აქციები.

მაღალტექნოლოგიური სექტორი კორპორაცია Casco Systems-ის აქციებზე კოტირებების ზრდამ გაახალისა, რომლის აქციებმაც 4.5 %-ით მოიმატა მას შემდეგ, რაც ანალიტიკოსებმა კომპანიის რეიტინგი გაზარდეს. 2.6% -ით გაიზარდა მსოფლიოში წამყვანი კომპიუტერული კომპანიის Dell-ის აქციები. სამშაბათს,Wall-Street-ი შეაშფოთა ინფორმაციამ საუდის არაბეთში ტერორისტული აქტის შესახებ, რომლის შედეგად, 29 მოქალაქე, მათგან 7 ამერიკელი დაიღუპა. საუდის არაბეთში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა ნეგატიური ზეგავლენა იქონია ინვესტორების განწყობაზე, რამაც კომპანიების აქციებზე კოტირებების შემცირება განაპირობა.

პოზიციების დათმობა საფონდო ინდექსებმა მეორე დღესაც გააგრძელეს, თუმცა კვირის ბოლოსკენ კვლავ აღიდგინეს დანაკარგი. ხუთშაბათის ვაჭრობის დადებითი განწყობა იმედისმომცემმა კორპორატიულმა და მაკროეკონომიკურმა ინფორმაციებმა განაპირობა, მაგრამ მომდევნო, კვირის ბოლო დღის სავაჭრო სესია კვლავ დაცემით დასრულდა. რის შედეგადაც საფონდო ინდექსებმა მართალია, გასული კვირა იმის წინა კვირასთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით დაასრულეს, მაგრამ კვირის დასაწყისში აღებული პოზიციის შენარჩუნება ვეღარ მოახერხეს.

ექსპერტული ანალიზით, დღეისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზარი მსოფლიოში უმსხვილესს წარმოადგენს. ნიუ-იორკის საფონდო ბაზრის NYSE-ის მონაცემებით, მასზე ლისტინგის მქონე ამერიკული კომპანიების კაპიტალიზაცია 8.5 ტრლ. დოლარს შეადგენს. Nasdaq-ის ბირჟაზე მოვაჭრე კომპანიების კაპიტალიზაცია კი 2ტრლ. დოლარს აღწევს, ზუსტად იმდენს, რამდენსაც ტოკიოს საფონდო ბაზარზე დარეგისტრირებული კომპანიების კაპიტალიზაცია. მეოთხე ადგილს იკავებს ლონდონის საფონდო ბაზარი კაპიტალიზაციით 1.6 ტრლ დოლარი. ხოლო მეხუთე ადგილზეა გერმანიის საფონდო ბაზარი, რომლის კაპიტალიზაციაც 0.7 ტრლ. დოლარს შეადგენს. ასე, რომ ორ ამერიკულ NYSE-ისა და Nasdaq-ის ბირჟაზე ლისტინგის მქონე კომპანიების კაპიტალიზაცია 10.5 ტრლ დოლარს შეადგენს, რაც სპეციალისტების შეფასებით, მსოფლიოს საფონდო ბაზრების ერთობლივი კაპიტალიზაციის თითქმის ნახევარს წარმოადგენს.

სავალუტო ბაზარი საფონდო ბაზრისაგან კვლავ მკვეთრად განსხვავებულ განწყობას ინარჩუნებს: მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის შესუსტების ტენდენცია გასულ კვირაშიც გაგრძელდა.

მიუხედავად იმისა, რომ რიგი ანალიტიკოსები ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებენ ერთიანი ევროპული ვალუტის ესოდენ აქტიური ზრდისათვის ფუნდამენტალური ეკონომიკური ფაქტორების არ არსებობას, დოლარი განაგრძობს პოზიციების დათმობას ევროსთან მიმართებაში. ფორექსის მონაწილეთა შეფასებით, ამერიკული ადმინისტრაცია საკმაოდ მშვიდად აღიქვას ამ ფაქტს. მათი ეს ეჭვი გასულ კვირაში შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის ჯორჯ სნოუს სატელევიზიო გამოსვლამაც დაადასტურა. მისი თქმით, დოლარის კურსის ბოლოდროინდელი შესუსტება ამერიკული ექსპორტისათვის ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან, მართალია სნოუმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლება ინარჩუნებს „ძლიერი დოლარის“ პოლიტიკას, ვალუტის ტრეიდერებმა ფინანსთა მინისტრის განცხადებას დოლარის კურსის მორიგი დაცემით უპასუხეს. კვირის დასაწყისში ევროპულ სესიაზე დოლარის კურსი ევროსთან 1.621-ის დონეზე დაეცა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 1999 წლის 22 იანვრის შემდეგ, როდესაც ერთი ევრო 1.624 ამერიკული დოლარი ღირდა.

ამერიკელი ექსპორტიორების აზრით, დოლარის კურსის შესუსტება ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკისათვის პოზიტიურ ფაქტორს წარმოადგენს, რადგან ხელს უწყობს ამერიკული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას მსოფლიო ბაზარზე.

**ინ. მე-4 გვ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 129, ორშაბათი, 19 მაისი, 2003 წელი.

## პრეზიდენტის სტიპენდიატი

# მეტროს სადგურიდან — ჭეშმარიტი ხელოვნებისაკენ

ბავშვის ფანტაზიას ხშირად ზღაპრის გმირები ასხამენ ფრთებს, რომლებიც ხან ნატვრისთვლის საძებრად დაატარებენ პატარებს, ხან გვირილის გვირგვინის ფურცლებზე აოცნებებენ, ხან კი ასაფრენად ფრთაგაშლილ ჭიამაიას ანდობენ საიდუმლოს, უფრო მოგვიანებით კი... ოცნებათა რიცხვი თანდათან იზრდება.

ასეთივე მეოცნებე გოგონაა ნატო ვეფხვაძე, რომელიც ბავშვობიდან დიდ სცენასა და მომღერლობაზე ოცნებობდა. ყველაფერი კი ძალიან პატარა ასაკიდან დაიწყო. ნატო საკმაოდ თავისებური და მგრძნობიარე ბავშვი ყოფილა. იგი წესიერად ვერც კი ლაპარაკობდა, სიმღერა რომ დაიწყო. როცა დედა უკრავდა და რომელიმე ნოტს შეცდომით აიღებდა, ნატო გრძნოდა, რომ რაღაც არასწორი იყო, მაშინვე მივიდოდა დედასთან, ხელს შეახებდა და გააჩერებდა.

პატარა გოგონას დედამ ჩაუნერგა მუსიკის უსაზღვრო სიყვარული, ქალბატონი ლელა უსინათლოთა საზოგადოებასთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის მომღერალი და ცხრა აპრილის მონაწილეა. მან აზიარა პირველად ამ მომაჯადოებელ სამყაროს და არცთუ ამაოდ. გოგონა დედის დახმარებით თანდათან იზრდებოდა და ყალიბდებოდა, პარალელურად უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში სწავლობდა. მძიმე ბავშვობას მისი შრომისმოყვარეობისთვის ხელი არ შეუშლია. ცხოვრების რთულმა პირობებმა აიძულა, დედასთან ერთად ქუჩაში გასულიყო და დიდი სცენის ნაცვლად თავისი წკრიალა ხმით მეტროპოლიტენის მგზავრთა ფართო აუდიტორია დაეპყრო.

„ეს იყო ურთულესი პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში, — იხსენებს ქალბატონი ლელა, — ვიცოდი ნატოს შესაძლებლობები, მისი მუსიკალური მონაცემები, ძალიან განვიცდიდი მეტროში რომ გავიყვანე, რამდენჯერ მშიერი დამიძინებია, ბოლოს ვძლიე თავმოყვარეობას და გავედით სამღერლად. მე ვუკრავდი, ნატო მღეროდა, ის რომ მღეროდა, მე ვტიროდი, ჩემს ცხოვრებაში პირველად გამიხარდა, ჩემი შვილი რომ უსინათლო იყო, მიხაროდა ის, რომ მას ჩემი ცრემლის დანახვა არ შეეძლო“.

ასე გადიოდა დღეები, წლები, ნატო მღეროდა დიდხანს, ძალიან დიდხანს და დაუსრულებლად ოცნებობდა,ვიდრე ბედნიერმა შემთხვევამ ჭეშმარიტ ხელოვნებასთან მიიყვანა.

გოგონას ბევრი, ძალიან კარგი მსმენელი ჰყავს მეტროში, რომლებიც სითბოს, სიყვარულსა და მხარდაჭერას არ აკლებენ. ნატო ძირითადად დედასთან ერთად დგას სადგურ „ვაგზლის მოედანზე“. ერთხელ სიმღერის დასრულებისას დედა-შვილს ერთი მგზავრი მიუახლოვდა და დანანებით თქვა, როგორ შეიძლება ეს ბავშვი მეტროში მღეროდეს და ვერავინ შეამჩნიოსო. მან წერილი მისწერა საქართველოს ტელევიზიას, ქალბატონ ჯულიეტა ვაშაყმაძეს, რომ ყურადღება მიექციათ ნატო ვეფხვაძის მუსიკალური მონაცემებისთვის, რათა ამ ბავშვის ნიჭი უსაფუძვლოდ არ დაკარგულიყო.

ქალბატონი ჯულიეტა გულისხმიერად მოეკიდა ამ თხოვნას, მეტროში გამოგზავნა გადამღები ჯგუფი და სატელევიზიო გადაცემა მომზადდა. გადაცემის შემდეგ, ისევ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, რედაქციას დაუკავშირდა ერთ-ერთი მოქალაქე, რომელმაც პატარა მომღერალთან დაკავშირება ითხოვა, რათა მისთვის პროფესორ ნოდარ ანდღულაძესთან ეშუამდგომლა.

კეთილი ადამიანების დახმარებით ნატო ვეფხვაძეს გზა გაეხსნა დიდი სცენისაკენ. განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების გამო იგი უგამოცდელოდ ჩაირიცხა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტალური სამუსიკო სკოლის ვოკალური განყოფილების მე-8 კლასში.

იგი შესანიშნავად მღერის, როგორც ხალხურ, ასევე საესტრადო სიმღერებს. წლების განმავლობაში გაიზარდა, როგორც მომღერალი. იგი არაერთი კონკურსისა თუ ფესტივალის გამარჯვებულია.

სპეციალისტთა აზრით, იგი დიდი მომავლის მქონე მუსიკოსია. აი, რას წერს მის შესახებ საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პედაგოგიურ და ჰუმანიტარული აკადემიების აკადემიკოსი, ენრიკო კარუზოს ასოციაციის წევრი (მილანი, იტალია), სოლო სიმღერის კათედრის გამგე, ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე:

„ნორჩი მომღერალი ნატო ვეფხვაძე ბუნებით დაჯილდოებულია იმ ნიჭიერებით, რაც ქმნის მაღალხარისხოვანი მომღერლის შემოქმედებით კომპლექსს: იშვიათი სილამაზისა და სიძლიერის ხმა, მუსიკალური სმენა, სუფთა ინტონაცია, საინტერესო საშემსრულებლო მანერა, ამოუწურავი, მხატვრული სახის შემქმნელი ენერგია და ჭეშმარიტი არტისტული ტემპერამენტი, აი, ის თვისებები, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ნატო პროფესიონალი გახდეს“. სწორედ ამ თვისებების გამო აიყვანა იგი თავის კლასში ბატონმა ნოდარმა და მისი დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

გოგონამ თავისი ნიჭიერებითა და მრავალმხრივი მონაცემებით არაერთი ცნობილი მომღერლისა თუ კომპოზიტორის ყურადღება მიიქცია. მისი შემოქმედებითი გზის სწორად წარმართვა არა მარტო მისმა პედაგოგებმა და მშობლებმა, არამედ იმ პიროვნებებმა იტვირთეს, ვისაც მისი დახმარება ხელეწიფებოდა: პროფესორი ნოდარ ანდღულაძე, კომპოზიტორები ნუნუ გაბუნია, ალექსანდრე ბასილაია, მომღერლები: თამრიკო ჭოხონელიძე, ეკა კვალიაშვილი, თეიმურაზ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი, კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე და სხვანი. მათი შუამდგომლობით ნატო ვეფხვაძე ორგზის პრეზიდენტის სტიპენდიატია.



ცოტა ხნის წინათ, საკუთარი სტიპენდიით ნატომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფესტივალში „დო, რე, მი“, რომელიც ქალაქ ერევანში ჩატარდა. ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ნატო ცეკვავდა და თან მღეროდა. არავინ იცოდა, რომ ის ვერ ხედავდა (ამის გამხელა, თავად არ ისურვა), თავისი დამსახურებით სურდა გამარჯვების მოპოვება და არა სიბრალულით. გაიმარჯვა კიდეც. როცა შეიტყვეს, რომ იგი უსინათლო იყო, ყველა გაოგნდა, ვერ წარმოედგინათ, თუ შესაძლებელი იყო ასეთი პლასტიკური მოძრაობების შესრულება. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, პეტერბურგელმა რეჟისორმა სერგეი სავენკოვმა ნატო ჯერ ბულგარეთში, შემდეგ პეტერბურგში ფესტივალზე მიიწვია, გოგონა უსახსრობის გამო ვერ წავიდა.

სიმღერა ნატოსთვის სულიერი საზრდო და სიხალისეა, სიმღერით შეუძლია გადმოსცეს ის, რასაც ფიქრობს. იგი ხატავს კიდეც, მას თავისი წარმოსახვა აქვს, ყველა ნოტს, ყველა დღეს თავისი ფერი აქვს, როცა მღერის, თითქოს ამქვეყნად არ არის, ასეთია მისი თვალით დანახული სამყარო.

მისასალმებელია ის, როცა ქვეყნად კეთილი ადამიანები არსებობენ. საბერძნეთში მოღვაწე ქართველი თანამემამულე, რომელმაც თავისი გვარის აფიშირება არ ისურვა, მომღერლის შესახებ ინფორმაცია „კვირის პალიტრის“ მეშვეობით შეიტყო. სრულიად უანგაროდ უგზავნის ამანათებს, რაც მას ვიზუალური მხარის მოწესრიგებაში ეხმარება. პატარა მომღერალს არა აქვს ოთახი, სადაც მეცადინეობას შეძლებს, არა აქვს ინსტრუმენტი, რაზეც იმეცადინებს, ნატო დედასთან და დასთან ერთად ნათესავებთან ცხოვრობს, ხელმოკლეობის გამო კვლავ უხდება მეტროს გადასასვლელში სიმღერა და პარალელურად მეცადინეობა. მეტროში სიმღერისას ხმა ეტვირთება, რაც დამღუპველია ხმის იოგებისა და ხარისხისათვის. გოგონას სცენა, ფონოგრამა, ფესტივალებში მონაწილეობა, მსმენელთან კონტაქტი სჭირდება, რომ გაიზარდოს, გაძლიერდეს, როგორც პროფესიონალი მომღერალი.

ნატო ვეფხვაძეს, ძალზე საინტერესო შემოქმედებითი მომავალი ელის. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს თანამემამულეთა შორისაც გამოჩნდებიან ღირსეული ადამიანები, რომლებიც დაეხმარებიან პატარა მომღერალს ურთულესი გზის გაკვალვაში, ხელს შეუწყობენ, რომ მან ხელგაწვდილი მოწყალების ნაცვლად ისწავლოს, იმეცადინოს და თავისი ნიჭით, მრავალმხრივი შემოქმედებით იღვაწოს კვლავ ქვეყნის საკეთილდღეოდ და მიაღწიოს უდიდეს წარმატებებს მსოფლიო ასპარეზზე.

**მაია ასაკაშვილი.**

სურათზე: მომღერალი ნატო ვეფხვაძე.

ლევან ლომაძის ფოტო.

## ფინანსები

# კაპიტალიზაციის მოცულობით მსოფლიოში NYSE-ისა და Nasdaq-ის ბაზრები ლიდერობენ

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება ევროპასა და იაპონიას, რომლებიც თავიანთი ეკონომიკური განვითარების ორიენტირად ექსპორტს მიიჩნევენ, ექსპერტთა გარკვეული ნაწილის აზრით, ევროსა და იენის ზედმეტმა გამყარებამ დოლართან მიმართებაში, შესაძლოა, მათ საბოლოო ანგარიშით „დათვური“ სამსახური გაუწიოს. რაც შეეხება ვალუტის კურსებს შორის მყარი თანაფარდობის აღდგენის ვადებს, ამ საკითხთან მიმართებაში ფორექსის ანალიტიკოსების მოსაზრება საკმაოდ განსხვავებული რჩება.

კვირის ბოლოსკენ ევრო/დოლარის კურსმა კორექცია დაწევის მიმართულებით განიცადა. ხუთშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ამერიკულ სესიაზე ერთი ევრო 1.399 დოლარი ღირდა. ევროზონის ეკონომიკური ზრდის შესახებ გამოქვეყნებულმა არასახარბიელო მონაცემებმა გააძლიერა სავალუტო ბაზრების მოლოდინი, რომ მორიგ სხდომაზე ევროპის ცენტრალურმა ბანკმა შესაძლოა ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შემცირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს. ასეთმა აზრმა ფორექსის მონაწილეებს მოგების ფიქსაციისაკენ უბიძგა. თუმცა, კვირის ბოლო სავაჭრო სასეაზე ევრო /დოლარის კურსმა კვლავ, თითქმის 200 პუნქტით აიწია და 1.577 მაჩვენებელზე დაფიქსირდა. ფორექსის მონაწილენი ელოდებოდნენ, რომ შაბათკვირას საფრანგეთში დაგეგმილ დიდი შვიდეულის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე ვალუტის კურსების განხილვის საკითხიც დადგებოდა. პარასკევს, ფორექსის ბაზარზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კი ეს საკითხი არ იდგა განხილვის დღის წესრიგში. ამ სახის განცხადება შეერთებული შტატებისა და იაპონიის ფინანსთა მინისტრებმა გააკეთეს.

ძვირფასი ლითონების ბაზარზე გასულ კვირაში შედარებით აიწია ოქროს ფასმა და კვირის ბოლო სავაჭრო სესიაზე ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზარზე ერთი უნცია ოქრო 353 დოლარი ღირდა.

პლატინისა და ვერცხლის ფასმა შესაბამისად 661 და 4.78 დოლარი შეადგინა.

ნავთობის ბაზარზე გასულ კვირაში ფასების ზრდის ტენდენცია აღინიშნა.

კვირის დასაწყისში ნავთობის ტრეიდერების განწყობაზე ზეგავლენის მთავარ ფაქტორს ოპეკის პრეზიდენტის აბდულა ალ-ატიიას განცახდება წარმოადგენდა, მომდევნო კონფერენციაზე ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტის მორიგი შემცირების შესახებ. როგორც ცნობილია, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ჭარბი მიწოდების გამო, 24 აპრილს ოპეკის რიგგარეშე კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, 1 ივნისიდან კარტელის მიერ ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტა დღეღამეში 25.4 მლნ ბარელამდე შემცირდა. საინფორმაციო სააგენტო Dow Jones Newswires-ის ინფორმაციით, აპრილში ოპეკის 10 წევრი ქვეყანა, ერაყის გამოკლებით, დღეღამეში დაახლოებით, 26.2 მლნ ბარელ ნავთობს მოიპოვებდა.




ამასთან, შეერთებულმა შტატებმა დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მხარდაჭერით გაეროს უშიშროების საბჭოს წარუდგინა რეზოლუციის პროექტი ერაყისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის თაობაზე. პროექტის მიხედვით, დაახლოებით ერთი წლის, ანუ გარდამავალ პერიოდში ერაყში ახალი ხელისუფლების დამყარებამდე, ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების კონტროლს შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი განახორციელებს. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ერაყის ნავთობის ექსპორტიდან შემოსული თანხა განთავსდება „ერაყისათვის ხელშწყობის ფონდში“, რომლითაც ერაყის ეკონომიკის აღდგენის პროგრამები დაფინანსდება.

ორშაბათს, ახალი განცხადება გააკეთა ერაყის ნავთობის სექტორის ხელმძღვანელმა ტამირ გადბანმაც. მისი თქმით, ერაყის ნავთობის წარმოება ვერ შეძლებს თავისი გეგმის რეალიზაციას, რაც გულისხმობდა, რომ მაისის ბოლოსათვის ნავთობის წარმოება ერაყში ახლანდელი 200 ათასი ბარელიდან დღეღამეში 1.5 მლნ-მდე გაიზრდებოდა. ოპეკის პრეზიდენტის განცხადებისა და ერაყში ნავთობის წარმოების აღდგენის გადადებული პერსპექტივის ფონზე, ტრეიდერებმა აქტიურად გააგრძელეს ჯერ კიდევ იმის წინა კვირაში დაწყებული ნავთობის ფიუჩერსების ყიდვა, რამაც ვაჭრობის დასაწყისში კოტირებების ზრდა განაპირობა, მაგრამ მოგვიანებით, ნაბთობის ფიუჩერსები ქვემოთ წავიდა, ვერ შეძლეს რა წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი დონის გარღვევა. დღის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ფიუჩერსების ფასი 21 ცენტით შემცირდა 24.89 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის ბირჟაზე WTI- ის მარკის ნავთობის ფიუჩერის ფასი ბარელზე 37 დოლარით დაეცა 27.35 დოლარამდე.

სამშაბათს ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზრებზე თითქმის 1 დოლარამდე გაიზარდა. Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 1.01 დოლარით გაიზარდა 25.90 დოლარამდე, WTI-ის მარკის ნავთობის ფასმა კი 1.15 დოლარით მოიმატა 28.50-მდე. ასეთ მაღალ დონეზე NYMEX-ის ბაზარი 21 აპრილის შემდეგ არ დახურულა. ფასების ზრდას სტიმული მისცა მსოფლიოში ნავთობის მწარმოებელ უმსხვილეს ქვეყანაში, საუდის არაბეთში განხორციელებულმა ტერაქტმა, რამაც ნავთობის ტრეიდერებში ნერვული რეაქცია გამოიწვია. ფასების ზრდის მეორე მიზეზი გახდა საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს IEA-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. მართალია, სააგენტომ დღეღამეში 90 ათასი ბარელით, 1.03 მლნ-მდე შეამცირა 2003 წლისათვის ნავთობზე მოთხოვნის საპროგნოზო მაჩვენებელი, მაგრამ აქვე მიანიშნა ინდუსტრიულ ქვეყნებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაბალი მარაგის შესახებ. იგივე დაადასტურა შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებმაც, რამაც ოთხშაბათის სავაჭრო სესიაზე ფასების მორიგი ზრდა განაპირობა. Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 85 ცენტით გაიზარდა 26.75 დოლარამდე, WTI-ის მარკის ნავთობის ფასმა 67 ცენტით მოიმატა 29.17-მდე.

თუმცა, ბაზარი ხუთშაბათსაც ცდილობდა წინა ორი სესიის განმავლობაში დაფიქსირებული ზრდის შენარჩუნებას, ნავთობის ფაუჩერსებზე კოტირებებმა კორექცია დაწევის მიმართულებით განიცადა. ვაჭრობა მართალია, ზრდით დაიწყო, მაგრამ როდესაც NYMEX-ის ბაზარზე WTI-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსებმა 29.48 დოლარამდე ზრდის შემდეგ ვერ შეძლეს წინააღმდეგობის 29.50 დონიანი ზღვარის გადალახვა, ტრეიდერებმა მოგების ფიქსაცია დაიწყეს. შედეგადა, Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 2 ცენტით შემსუბუქდა 26.73 დოლარამდე, ხოლო WTI- ის მარკის ნავთობის ფასმა 43 ცენტით დაიწია 28.74 –მდე.

**ეკა ლეჟავა,**

**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## მეტი, მეტი ზრუნვა!

# 20-30 წლის შემდეგ საქართველოში დღეგრძელი მამაკაცი აღარ გვეყოლება?!

საქართველოს მოწყალებისა და ჯანდაცვის ფონდის ცნობით, დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის ხანდაზმულთა ქარტია თავის საპარლამენტთაშორისო დოკუმენტში უფროს თაობას განიხილავს როგორც კოლექტიური ცხოვრების გამოცდილებისა და ტრადიციების ხარისხიან მატარებელს, საერთო ეროვნულ-ინტელექტუალურ პოტენციალს და სათანადოდ აფასებს იმ ღვაწლს, რომელიც მათ შეაქვთ საზოგადოების ცხოვრებაში.

საქართველო მსოფლიოში აღიარებულია, როგორც დღეგრძელთა ქვეყანა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევები დღეგრძელობის ფენომენის შესასწავლად. ეს გამოკვლევები კომპლექსური ხასიათისა იყო და მასში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით საქართველოში ყოველ 100 000 მოსახლეზე 360 დღეგრძელი მოდიოდა, რაც შეეხება უხუცეს დღეგრძელებს, მათი რაოდენობა აბსოლუტურ რიცხვებში 1000 კაცით განისაზღვრებოდა (დღეგრძელებად ითვლებიან ის პირები, რომლებმაც გადააბიჯეს 90 წლის ასაკს, 100 და მეტი ასაკის ადამიანებს კი უხუცესი დღეგრძელები ეწოდებათ).

გასული საუკუნის ბოლოს, ცნობილი მიზეზების გამო, ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, სამოქალაქო ომმა, ლტოლვილთა გაძლიერებულმა ნაკადმა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუარესებამ, სიღატაკემ და სხვა მრავალმა უარყოფითმა ფაქტორმა, — ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ჩვენი მოსახლეობის დღეგრძელობის ფენომენზე, განსაკუთრებით კი 100 და მეტი წლის დღეგრძელების ცხოვრების, ჯანმრთელობის, სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა პირობებზე.

ამის გამო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მაშინდელი მინისტრის ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა 2001 წლის აპრილიდან დაიწყო მიზნობრივი პროგრამის „საქართველოში უხუცეს დღეგრძელთა სამედიცინო დახმარების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდში“, განხორციელება. ამ პროგრამის მთავარი ამოცანა იყო საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრებ უხუცეს დღეგრძელთა (100 და მეტი წლის ასაკის) ჯანმრთელობის, ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის შესწავლა და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე ამ პირთა სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკური დახმარების გაუმჯობესებისათვის საჭირო კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

სამეცნიერო კვლევები დაიწყო 2001 წლის მაისში და დღემდე გრძელდება.

ჩვენი სამეცნიერო კვლევების მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: წინასწარ შედგა „უხუცეს დღეგრძელთა სამედიცინო პასპორტი“, რომელსაც სამი ბლოკი აქვს. პირველი ბლოკი მოიცავს კითხვებს უხუცეს დღეგრძელთა და ავტობიოგრაფიულ მონაცემებზე, მეორე — მათ სოციალურ-ეკონომიკურ და მესამე — ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ასაკის სწორად დადგენის მეთოდების შესაბამისად შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ადგილებიდან მიღებული ინფორმაციით 971 უხუცესი დღეგრძელიდან 100 წლის ასაკის არ აღმოჩნდა — 351. 100 და მეტი წლის ასაკი დაუდასტურდა 619 დღეგრძელს, 619 უხუცესი დღეგრძელიდან 100-105 წლის ასაკისაა 489, 106-109 წლისა — 66 და 110 წლის ზემოთ — 64. მათ შორის ქალია — 566, მამაკაცი — 53, სოფლად მცხოვრები — 558, ქალაქად — 61, 110 წლის და უფროსის ასაკის უხუცესები დღეგრძელები წლოვანების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდებიან: 110 წლისაა 23 დღეგრძელი, 111 წლის — 15, 112 წლის — 10, 113 წლის — 5, 114 წლის — 1, 115 წლის — 3, 116 წლის — 3, 117 წლის — 4, 118 წლის — 1, 119 წლის — 1 და 122 წლის — 1. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და ცხინვალის ზონის გამოკლებით), მოსახლეობის 1989 წლის აღწერით ცხოვრობდა 899 უხუცესი დღეგრძელი. ამგვარად, მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის აღწერის წლებში არ ხდება უხუცეს დღეგრძელთა ასაკის „მკაცრი“ შემოწმება, როგორც ამას ჩვენ ვაწარმოებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2001-2002 წლებში 1989 წელთან შედარებით უხუცეს დღეგრძელთა რაოდენობა საქართველოში თითქმის არ შემცირებულა, შეიცვალა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის და ქალაქად და სოფლად მცხოვრებ უხუცეს დღეგრძელთა თანაფარდობა. კერძოდ, 1986 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით უხუცეს დღეგრძელთა შორის ქალების წილმა შეადგინა 85,6 პროცენტი, ხოლო მამაკაცების — 14,4 პროცენტი. ამავე აღწერით ქალაქში ცხოვრობდა უხუცეს დღეგრძელთა 19,7, სოფლად — 80,3 პროცენტი.

საქართველოს პირობებში უხუცეს დღეგრძელთა შორის მამაკაცთა რაოდენობის შემცირებას ხელი შეუწყო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისულმა მდგომარეობამ, მამაკაცები, არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც აზარალა. ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები მწვავედ შეეხო ქართულ ოჯახს, სადაც ტრადიციულად ოჯახის რჩენა და მართვა მამაკაცებს ეკისრებოდათ. თუ გასულ პერიოდში დღეგრძელ მამაკაცებს ჰქონდათ პრივილეგიები, როგორც ოჯახში, ისე, საზოგადოებაში, ისინი მონაწილეობდნენ დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკებებში, მათივე აქტიური მონაწილეობით წყდებოდა შინასაოჯახო საქმეები, ხანდაზმულებს ნათესავებსა და მეზობლებში მაღალი ავტორიტეტი ჰქონდათ. შექმნილი იყო ისეთი მორალური და ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც ამტკიცებდა ამ ასაკობრივი ჯგუფის სტატუსს, უქმნიდა მათ ფსიქოლოგიურ კომფორტს; ოჯახის წევრები და საერთოდ საზოგადოება მკაცრად იცავდა ეთიკის წესებს, განსაკუთრებით დღეგრძელი მამაკაცების მიმართ. უკანასკნელ ათწლეულებში ეს ყველაფერი მოიშალა, რამაც გამოიწვია მამაკაცის დაუძლურება, ფსიქიკის პათოლოგია და სიკვდილიანობის მომატება. მომავალში, თუ ეს პროცესი გაგრძელდა, მოსალოდნელია, რომ 20-30 წლის შემდეგ საქართველოში აღარც კი გვყავდეს 100 წელს მიღწეული, ან ამ ასაკს გადაცილებული კაცი.

მამაკაცებს შორის ყველაზე ხნიერი აღმოჩნდა ქობულეთელი მამია ბალაძე (სოფ. აჭყვისთავი). რომელსაც 113 წელი შეუსრულდა. იგი ჯანმრთელია და ოჯახში ფიზიკურად შრომობს.

111 წელი შეუსრულდა მიხეილ სანოკიას, რომელიც ვანის რაიონის სოფ. სალომინოს მცხოვრებია. ისიც მხნედ გამოიყურება და ფიზიკურად მუშაობს.

გამოკვლევით დადგინდა, რომ უხუცეს დღეგრძელთა თითქმის არც ერთი ოჯახის წევრს არა აქვს ქვეყანაში დადგენილი სასიცოცხლო მინიმუმის დონის შემოსავალი. ყოველივე ამის შედეგად მათთვის ხელმიუწვდომელია მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება, საჭირო მედიკამენტების შეძენა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო დახმარების მიღება, გამორიცხულია სმენის აპარატის, სათვალეების შეძენა და კბილების პროტეზირების საშუალებები.

კვლევის პირველ ეტაპზე უხუცეს დღეგრძელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ადგილზე შევისწავლეთ, დეტალური ანამნეზის შეგროვებისა და მათი გასინჯვის გზით უხუცეს დღეგრძელებში პირველ ადგილზეა სისხლის მიმოქცევის ორგანოების პათოლოგია, შემდეგ მოდის სუნთქვის პერიფერიული და ცენტრალური ნერვული, ძვალსახსრების, საჭმლის მომნელებელი სისტემების ორგანოების დაავადებები. ჩვენს მიერ გამოკვლეულ უხუცეს დღეგრძელთა შორის არ შეგვხვედრია ავთვისებიანი სიმსივნისა და დიაბეტის არც ერთი შემთხვევა, აგრეთვე, სიმსუქნე.

გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სათანადო ინფორმაცია წარედგინა ქვეყნის მთავრობას, რასაც მოჰყვა ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულება № 388 (2002 წ. 23 აგვისტო) — „საქართველოში უხუცეს დღეგრძელთა (100 და მეტი წლის ასაკის) სამედიცინო დახმარების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ამ კონტინგენტის პირებს წელიწადში ერთხელ ჩაუტარონ კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში უფასო სარეაბილიტაციო მკურნალობა ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების გამოყენებით, საქართველოს მოწყალებისა და ჯანდაცვის ფონდთან ერთად გააგრძელოს უხუცეს დღეგრძელთა მეცნიერული გამოკვლევა. ამავე ბრძანებულებით რეკომენდაცია მიეცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობას, რომ ყოველწლიურად ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ უხუცეს დღეგრძელებს.

2002 წლის დამლევს, ამ ბრძანებულების საფუძველზე, თბილისში მცხოვრებ ყველა უხუცეს დღეგრძელს ერთდროული დახმარების სახით მიეცა 168 ლარი. ამჟამად, ადგილობრივი სამედიცინო ორგანოების მონაწილეობით ეწყობა უხუცეს დღეგრძელთა კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა.

ეს არის პირველი ნაბიჯი ქვეყნის მთავრობის მხრივ უხუცეს დღეგრძელთა სამედიცინო-ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით. ვიმედოვნებთ, რომ მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების მხარდაჭერით, კვლავაც გააგრძელებს პროგრამით გათვალისწინებულ უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებებს.

**საქართველოს მოწყალებისა და ჯანდაცვის ფონდი.**

## გვეხმაურებიან

# ნიკიტა ხრუშჩოვის მზაკვრობის შემსწრენი...

...1977 წლის მარტის არდადეგებზე საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა ტურისტულ-საექსკურსიო სადგურმა (ხელმძღვანელი ჯემალ სამხარაძე) მოაწყო მხარეთმცოდნეობით მუშაობაში გამარჯვებულ მოსწავლეთა მოგზაურობა სვლაგეზით **„თბილისი-სტალინგრადი-კუიბიშევი-ყაზანი-უფა-ლენინგრადი-ორიოლი-როსტოვი-თბილისი“**. მოგზაურობის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქალაქი ყაზანიც, ყვავილებით შევამკეთ იოსებ სტალინის შვილის ვასილ სტალინის საფლავი. ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე წავიკითხე კორესპონდენცია ვასილ სტალინის ტრაგიკულ ბედზე და მსურს, მეც გამოგეხმაუროთ.

ცნობილია, რომ იოსებ სტალინს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის სახელმწიფოს შექმნაში. სამაგიეროდ, ხრუშჩოვმა და მისმა თანამოაზრეებმა, მავზოლეუმიდან გამოიტანეს იგი, დაანგრიეს მისი ძეგლები, მისი სახელები გადაარქვეს ქუჩებს და ქალაქებს, კომუნისტური პარტიის მოღალატედაც კი შერაცხეს. მისი შვილი ვასილი ყაზანში გადაასახლეს, ხოლო ვასილს შემდგომ თუ როგორ მოექცნენ, ეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ წერილში კარგადაა აღწერილი. იოსებ სტალინი და ქართველი ერი იმ პერიოდისათვის ხომ ისე იყო გაიგივებული ერთმანეთთან, რის გამოც 9 მარტს ხრუშჩოვმა სისხლით შეღება მტკვარი და თბილისის მთავარი პროსპექტი.

სტალინის ოჯახის ჯერიც დადგა, მის ვაჟიშვილ ვასილსაც მისწვდა... აი, ნახეთ ყაზანში, ვასილ სტალინის საფლავზე მყოფი ტყიბულელი და ზესტაფონელი მოსწავლეების ეს ამაღელვებელი სურათი... საფლავის ქვაზე, რომელიც თურმე ვასილს მეუღლემ დაუდგა, სურათი ამოგლეჯილი იყო.

ამ სურათზე არ ჩანს, თორემ საფლავის ქვაც დაცხრილული დაგვხვდა. მის საფლავს, ვასილის მეუღლის თხოვნით (ყოველთვიურად გასამრჯელოსაც უგზავნიდა ლენინგრადიდან) სასაფლაოს დარაჯი უვლიდა. უბრალო მოქალაქეებს კი მაინც მოჰქონდათ მის საფლავზე ყვავილები, გვირგვინები;

ქალაქში ყაზანელები სტალინისა და მისი შვილის ვასილის სურათებს ყიდდნენ... სასაფლაოს დარაჯმა ისიც გვითხრა, ვასილი გვიან ღამით დაასაფლავეს, მიუხედავად მისი მეუღლის დიდი მუდარისა, კუბოს თავი მაინც არ ახადესო.

ეს დღემდე ახსოვთ ამ მოსწავლეებს, რომლებიც ამ სურათზე არიან აღბეჭდილი... და მეც, რომელიც მაშინ მათთან ვიმყოფებოდი.

**იუზა ჭარბაძე,**
**თბილისი.**




## მსოფლიო შტრიხებში

### გაკოტრებიდან იხსნის?

**„ციური ფრინველი“ — ასე ჰქვია ბელგიელი მხატვრის რენე მაგრიტის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნახატს, რომელიც აუქციონზე გამოიტანა გაკოტრებულმა ბელგიურმა ავიაკომპანიამ Sabena. გამოჩენილი სიურეალისტის ეს შედევრი ანონიმმა მყიდველმა 3,4 მილიონ ევროდ შეიძინა.**

**ფრინველი, რომლის სხეულის მიღმა მოჩანს მზის სხივებით განათებული ღრუბლები, ამ ცნობილი, მაგრამ 2001 წლის ნოემბერში გაკოტრებული ავიაკომპანიის ემბლემა იყო. ის Sabena-მ მაგრიტს 1965 წელს შეუკვეთა და შემდეგ პიკასოს ცნობილი ნახატის „მშვიდობის მტრედი“ თავისებურ რეპლიკად იქცა.**

**„ფრინველის“ გარდა, ავიაკომპანიამ აუქციონზე კიდევ 461 ნივთი გამოიტანა.**

### კინომოყვარულთა კერპი

**ალ პაჩინო ყველა დროის უდიდესი მსახიობია, — ასეთი „განაჩენი“ გამოიტანა ბრიტანული არხის CHANNEL-4 მიერ მოწყობილმა სატელევიზიო გამოკითხვამ. ფილმის „ნათლია“ მთავარი გმირი ბრიტანელმა კინომოყვარულებმა თავიანთ კერპად აღიარეს.**

**„დიდების კვარცხლბეკის“ მეორე საფეხურზე მათ ადგილი მიუჩინეს რობერტ დე ნიროს, „ნათლია-2“-ში ალ პაჩინოს გმირის მამის როლი რომ შეასრულა. მესამე და მეოთხე ადგილებზე შესაბამისად აღმოჩნდნენ ტომ ჰენკსი და კევინ სპეისი, მეხუთე-მეექვსე პოზიცია კი ჰარისონ ფორდმა და ჯეკ ნიკოლსონმა დაიკავეს.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 129, ორშაბათი, 19 მაისი, 2003 წელი.

დედაქალაქი



# მადა დაიოკეთ, ბატონებო, არტოს ბაღი ბავშვების საკუთრებაა!

„და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!" დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს მრავლისმთქმელი სიტყვები გაგვახსენდა, როდესაც გაზეთ „კვირის პალიტრის" 5-11 მაისის ნომერში წავიკითხეთ ჟურნალისტ ზვიად ჩაკვეტაძის სტატია რუბრიკით – „SOS!" სათაურით, „ვასეირნოთ თუ არა პატარები ქუჩაში?", რომელიც შეეხებოდა თბილისის ბაღებსა და პარკებში უკანონო მშენებლობებს. მართლაც, ამაზრზენია, როდესაც პარტახდება და ნადგურდება ესა თუ ის ბაღი და სკვერი, მაგრამ ბევრად უფრო ამაზრზენი და აღმაშფოთებელია, როდესაც მახინჯდება სიმართლე და გაზეთის ფურცლებზე ცხვება ისეთი პასკვილი, რომელსაც შეკვეთილი სტატიის სუნი უდის; სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ სიყალბეს, რომელსაც გვაწვდის გაზეთი არტოს ბაღსა და მასთან დაკავშირებულ მშენებლობაზე.

მოგვყავს ციტატა გარემოს დაცვისა და რეგულირების სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის უფროსის ბატონ მამუკა სალუქვაძის სიტყვიდან – „არტოს ბაღში დიდი კომპლექსის აშენებას აპირებენ. ეს არა მხოლოდ ბაღის იერს დაამახინჯებს, მას თავდაპირველ ფუნქციასაც დაუკარგავს. კომიტეტმა ვერაფრით გაარკვია, ვინ აშენებს ბაღში კომპლექსს და ვინ გასცა ნებართვა მშენებლობაზე".

ახლა მეორე ციტატა თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილის თემურ ჯაფარიძისა და ქალაქის ისტორიული ძეგლების ხელმძღვანელის კაცია გიორგობიანის განცხადებებიდან, – „არ შეუთანხმებიათ ჩვენთან არტოს ბაღში საერთაშორისო ფოლკლორული ცენტრის ასაშენებელი პროექტი".

დასახელებული სტატიიდან მოყვანილ ციტატებში ორად ორი სიმართლეა, ერთი ის, რომ ბაღი, მართლაც, არტოს სახელობისაა და მეორე ის, რომ დასახელებული სასწავლო ცენტრი ქართული ფოლკლორის სასახლედ იწოდება. სხვა დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

დავიწყოთ იქიდან, რომ სასახლეში 700 მოზარდი ეუფლება ქართულ სიმღერას, ცეკვას, ხალხურ საკრავს... აქ მოღვაწეობენ ბატონები ანზორ ერქომაიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე. არსებობს ომარ კელაპტრიშვილის მიერ დაარსებული ხალხურ საკრავთა ორკესტრი. აქ შეიქმნა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ანსამბლი „მართვე". ეს ის 700 ბავშვია, რომლებიც ვერ აცდუნა ვერავითარმა თანამედროვე მანკიერებამ და მომავალი ცხოვრების კრედოდ ერის სამსახური გაიხადეს. მათ მსოფლიო გააოცეს ქართული გენითა და ჯიშით. აი, ამ გოგონებსა და ბიჭუნებს, ჩვენს მომავალს ეკუთვნის არტოს ბაღიც და ფოლკლორის სასახლეც.

მცირე ექსკურსი– 1994 წლის ნოემბერში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა საუკუნისწინანდელი ისტორიული შენობა, თავისი სასწავლო და სარეპეტიციო ოთახებით. მოისპო ბაღი მშვენიერი სათბურით, დაშრა აუზები. აი, მაშინ გამოჩნდნენ „ვაიქველმოქმედნი", რომელთაც განადგურებული ბაღის აღდგენის სანაცვლოდ „მცირე" ფართობი ითხოვეს კაზინოებისა და რესტორნებისათვის, და სულო ცოდვილო, გაჩნდა პასუხგაუცემელი კითხვა – დაიწვა თუ დაწვეს?!, რადგანაც იმ დღიდან დღემდე იბრძვის პედაგოგიური კოლექტივი და მისი ხელმძღვანელობა, რათა მოიგერიოს უამრავი შემოტევა მეზობელი მობინადრეებისაგან თუ „გრანტიჭამია" საქმოსნებისაგან. გააფთრებით იბრძვიან, რათა როგორმე ჩაიგდონ ბაღის რაღაც მონაკვეთი ხელში პირადული მიზნებისათვის. შეჩერდით, ბატონებო!

გაცნობებთ, რომ არსებობს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 25 მარტის განკარგულება, არტოს ბაღში მდებარე ნაგებობის ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის ბავშვთა საერთაშორისო ცენტრად გადაკეთების შესახებ, სადაც მითითებულია, რომ შესაბამისმა უწყებებმა ცენტრს უნდა გაუწიონ ყველა სახის დახმარება, მათ შორის ახალი შენობის ასაგებად.

არტოს ბაღის მიწის მაძიებელთა სამწუხაროდ და მართლა პატრიოტთა გასახარად გაცნობებთ, რომ ყოველგვარი ცდა მიწის როგორმე ხელში ჩასაგდებად იქნება ფუჭი და ამაო, რადგანაც ბაღის მთელი ტერიტორია 12000 კვ. მეტრი – საჯარო რეესტრითა და წითელი ხაზებით, სამუდამოდ დაუკანონდა ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის ბავშვთა საერთაშორისო ცენტრს.

მივმართავთ ბატონ მამუკა სალუქვაძეს, – ბატონო მამუკა, წარმოდგენილი სურათებიდან აშკარად ჩანს, რომ ვერანაირად ვერ შეძლებს მომავლის ფოლკლორის ცენტრის შენობის პროექტი ბაღის იერის დამახინჯებას, რამეთუ ამჟამად არსებული გაპარტახებული „სასახლე" თვით არის სიმახინჯის ნიმუში, ხოლო ბაღი ვერ დაკარგავს თავის ფუნქციას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შენობა აშენდება იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს, გამომდინარე აქედან, ერთ ნარგავსაც არ ემუქრება განადგურება.

რაც შეეხება კომპლექსის აშენების ნებართვას, მართლაც, ვერ გაარკვევდა თქვენი კომიტეტი, რადგანაც არ არსებობს ამჟამად არც ნებართვა და არც არანაირი მშენებლობა, თუმცა უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, მთელი კოლექტივი დიდი შემართებით ვზრუნავთ, ნებართვაც მოვიპოვოთ და მართლა ქველმოქმედებიც მოვნახოთ, რათა დაგვიდგნენ მხარში და ეს წამოწყებული საშვილიშვილო საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.



ბატონებს თემურ ჯაფარიძეს და კაცია გიორგობიანს განვუმარტავთ, რომ მათ ჯერ ვერ შევუთანხმებთ არტოს ბაღში საერთაშორისო ფოლკლორული ცენტრის ასაშენებელ პროექტს, რადგან პროექტი დამუშავების პროცესშია, რომლის ავტორია არქიტექტორი ირაკლი ყანდარელი.

გვეგონა, ბატონი ზვიად ჩაკვეტაძე გაიხარებდა, როდესაც გაიგებდა, როგორ გადავურჩინეთ ჩვენს მომავალ თაობას არტოს ბაღი თავისი ფოლკლორის სასახლით. გაოცდებოდა, როგორ ვაჯობეთ ამ სქელჯიბა და მგლის მადიან ადამიანებს, ბაღში შემოსული კი შეამჩნევდა ოთხიოდე გამხმარი მოჭრილი ხის ნაცვლად 48 ახალ მარადმწვანე ნარგავს. ხოლო გადაბელილი ხეები სულ მალე ისევ მწვანედ აშრიალდებიან – ყველაფერი ეს კი ყოველგვარი წესის დაცვითა და ზრუნვით მოხდა. თქვენ კი გაზეთის ერთ-ერთ გვერდზე აჩვენეთ ახლად გადაბელილი ნარგავების სურათი, რომლებიც მკითხველის თვალში, თითქოს, გამხმარი ხეების შთაბეჭდილებას ტოვებს და შეგნებულად გვერდი აუარეთ ახალი ნარგავებით დამშვენებულ ბაღს. ეტყობა, წერილი, მართლაც, შეკვეთილია. დამკვეთებს კი სინამდვილე არ აინტერესებთ. მათი სურვილი ერთადერთია – როგორმე მიიტაცონ ბაღის მონაკვეთი. სწორედ, ამ საქმოსნებთან ბრძოლაში დაიღალა სასახლის ყოფილი დირექტორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, აწ გარდაცვლილი ქალბატონი ნათელა ჯიღაური, და, აფერუმ მის მამულიშვილობას, ყველა შემოტევას გაუძლო და ქართულ ხელოვნებას, ქართველ ბავშვებს გადაურჩინა ფოლკლორის სასახლე თავისი არტოს ბაღით, სადაც სიმღერასთან, ცეკვასთან, საკრავთან ერთად ეუფლებიან ქართულ ლექსს, სასცენო ხელოვნებას, მხატვრობას. სწავლობენ ყველაზე ძვირფასს – სამშობლოს სიყვარულს.

ბატონო ზვიად, საკმარისი იყო გასაუბრებოდით დასახელებულ ბაღში ბავშვებთან ერთად მოსეირნე დედებს, მამებს, ბებიებსა და ბაბუებს და მაშინ დარწმუნდებოდით, თუ რას წარმოადგენს მათთვის ეს მყუდრო და მომავლისათვის, მართლაც, ულამაზესი ადგილი.

ბატონო ზვიად, თქვენს სტატიაში დასახელებული ყველა ბაღი, მართლაც, დაპატარავდა და გავერანდა, საცხოვრებელ ბინებად, კაზინოებად და რესტორნებად იქცა. ერთადერთი ჩვენი სასახლეა, რომელმაც ყოველგვარ შემოტევას გაუძლო. მათ გვერდით ჩვენი ხსენება, თქვენი მხრიდან, დიდი მკრეხელობაა.

თქვენი სტატიის სათაური, რომელიც კითხვას შეიცავს – „ვასეირნოთ თუ არა პატარები ქუჩაში?", მართლაც, რომ პრობლემური და სახიფათოა, თუმცა, შეგვიძლია პატარების სასეირნო ადგილად, სწორედ, არტოს ბაღი შემოგთავაზოთ, რომელიც დაცულია მომწამვლელი ნიჟიერებებისა და მხუთავი გაზებისაგან, აქ მხოლოდ ფოთოლთა შრიალი, ქართული სიმღერა და სალამურის გალობა ისმის!..

**ბავშვთა საერთაშორისო ფოლკლორის ცენტრის სახელით, დირექტორი**

**თამაზ ანდღულაძე.**

თაობა მოდის!

# დაიმახსოვრეთ: დათო სიხარულიძე. მის განკარგულებაში მხოლოდ ნიჭიერებაა

თბილისის მე-5 გიმნაზიის დირექტორმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დეპარტამენტის უფროსის მარინა მგალობლიშვილის ხელმოწერილი წერილი გიმნაზიაში თვალსაჩინო ადგილზე გააკრა.



წერილში მოსწავლე დავით სიხარულიძის ნაშრომი ასეა შეფასებული: „ნებისმიერი ხუთნიშნა და ექვსნიშნა ნატურალური რიცხვიდან კუბური ფესვის ამოღება, უმარტივესი ცხრილის საშუალებით, შემუშავებულია ცხრილის როლი, როგორც ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი მათემატიკის შემდგომ განვითარებაში. „იქვე მითითებულია საავტორო საკუთრების სერტიფიკატი № 114".

1987 წელს დაბადებული დათო, მართლაც რომ ძალზე ნიჭიერია. იგი ავლაბარში, გუთნის ქუჩაზე, № 25-ში ცხოვრობს. დღეს იგი მე-5 გიმნაზიასთან არსებულ საერო სასწავლებელ „ალბიონის" IX კლასის მოსწავლეა. ამ ჭაბუკს დადებითად ახასიათებენ თბილისის მერიის




ახალგაზრდობის სამოქალაქო სამსახური, ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი ვლადიმერ ჭავჭანიძე, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილება და სხვები.

მათემატიკურ ოლიმპიადებში გამარჯვებისათვის დათოს ჯილდოც უამრავი აქვს მიღებული, კარგად ფლობს ინგლისურ, იტალიურ, რუსულ ენებს, ეუფლება გერმანულს, კომპიუტერს. მისი ელექტრული ფოსტაა: inventor@posta.ge

დათო მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის № 476 ბრძანებულების შესაბამისად პრეზიდენტის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსშიც და ასეთი დახასიათება მიიღო: **მისი ნაშრომი კვლევითი ხასიათისაა და მოსწავლის შემოქმედებას წარმოადგენს. ავტორი კომპაქტურ ცხრილს გვთავაზობს, რომლის საშუალებითაც მარტივად შეიძლება ხუთნიშნა და ექვსნიშნა რიცხვებიდან კუბური ფესვის ამოღება.**

2002 წლის ზაფხულში დათო ასტრონომიის წრის წევრებთან ერთად აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სამეცნიერო სასწავლო ექსპედიციაში მონაწილეობდა. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ინფორმატიკისა და მათემატიკის კაბინეტში თავი გამოიჩინა, როგორც საზრიანმა, კომუნიკაბელურმა და საინტერესო იდეების მქონე ახალგაზრდამ. იგი 2002 წლიდან სასახლეში მოქმედი მოსწავლეთა მცირე აკადემიის წევრია.

გიმნაზიის დირექტორი ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომლის მოსწავლეც ის არის, ყოველივეს ასე განმარტავს: – „საქართველოში სწორად იქნა შეფასებული მისი ნაშრომი და რეგისტრირებულიც იქნა; ნაშრომი გაეგზავნა ამერიკის ვაშინგტონის ბიბლიოთეკას, რომელმაც სერტიფიკატი მისცა. მისი საავტორო უფლებებით ინტერნეტშია შეყვანილი და მუშაობა მისი შედგენილი ცხრილის პრაქტიკაში დასანერგად მიმდინარეობს".

ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი ვლადიმერ ჭავჭანიძეც ასე ასკვნის:

– დათო სიხარულიძის ნაშრომში ორიგინალური ალგორითმია შემუშავებული, რომელიც კუბური ფესვის ამოღების პროცედურას ისეთი ნატურალური რიცხვებიდან ახორციელებს, რომლებიც შეიძლება ჩაიწერონ 5 ან 6 ციფრით და რომელთაგანაც ნატურალური კუბური ფესვი არსებობს. სინამდვილეში ალგორითმი ვარგისია 5 ან 6 ციფრით წარმოდგენილი ანალოგიური თვისების მქონე უარყოფითი რიცხვებისთვისაც, რადგან კუბური ფესვის ამოღების ოპერაცია კორექტულია ნებისმიერი ნამდვილი რიცხვებისთვისაც; ალგორითმის სიმარტივე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე კუბური ფესვის ამოღების ცხრილის შექმნის შესაძლებლობას განაპირობებს იმ შემთხვევისათვის, როცა მომხმარებელს არ სურს, ან არ შეუძლია კომპიუტერით სარგებლობა, ხოლო თვით დათო სიხარულიძის ნაშრომი მნიშვნელოვანია ინფორმატიკის თვალსაზრისით. დღეს ამ ჭაბუკის განკარგულებაში მხოლოდ ნიჭიერებაა, რომელიც ყურადღებას იმსახურებს".

**ნათელა ფაილოძე,**
**შოთა ფუთურიძე,**
**პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.**

# სპორტი

## ჭადრაკი

# ჯობავა მოგებით იწყებს

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 63-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. გალელმა დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ ხონელი ზვიად იზორია დაამარცხა და დაწინაურდა – 1:0, თბილისელი დიდოსტატების– გიორგი ყაჭეიშვილის და ზურაბ სტურუას უშეღავათო პაექრობა კი ყაიმით დამთავრდა.

დღეს განმეორებითი შეხვედრები გამოავლენს ფინალისტთა ვინაობას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ჩემპიონსა და ვიცე-ჩემპიონს სტამბოლში, ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებელ ხარჯებს სრულად აუნაზღაურებს, III-IV ადგილებზე გასულთ კი ნაწილობრივ დააფინანსებს.

## სპორტული ცეკვა

# კავკასიის თასი საქართველოში დარჩა



ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა სპორტულ მოცეკვავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პირველობას ათი ქვეყნის საუკეთესო წყვილები ეცილებოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა „IDSF INTERNATIONAL OPEN ST & Lt“ (ევროპულ ცეკვებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ). ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში საასპარეზოდ 54 წყვილი ჩაება. საუკეთესოთა გამოსავლენად ორთაბრძოლები რამდენიმე ეტაპად გაიმართა. არბიტრებმა, რომელთა უმრავლესობა უცხოეთიდან არის მოწვეული, ფინალური პაექრობებისთვის ექვსი წყვილი შეარჩიეს. ხუთი ცეკვის შედეგებით ყველაზე მაღალი ქულები დაიმსახურეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ „თელას“ მოცეკვავეები – ალექსანდრ ჩესნოკოვი და სალომე ლომსაძე, რომლებმაც ევროპულ ცეკვებში მეორე ადგილი დაიკავეს.

გამარჯვებულებს მცირედით ჩამორჩა ევგენი ვოზნიუკისა და კატარინა ზიმონის (გერმანია) წყვილი. მესამე ადგილზე გავიდნენ ალექსეი ანტოსიკი და პოლინა ტეპლენკო (რუსეთი). ფინალში მომდევნო სამი ადგილი, შესაბამისად, გიორგი ორველაშვილს და თათული გოგიშვილს (საქართველო), ეთიბარ ახმედ-ოღლუს და ელენა შოშკინას (თურქეთი), ევგენი ბუდვაკს და მარინა კოროლს (უკრაინა) ერგოთ. საგულისხმოა, რომ ეთიბარი და ელენა წლების განმავლობაში აზერბაიჯანის სახელით გამოდიოდნენ. ახლახან მათ თურქეთის მოქალაქეობა მიიღეს და ამიერიდან ამ ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ.



გოგიტა გონგაძე და მზია ორველაშვილი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ **სალომე ლომსაძეს** გავესაუბრე. იგი 18 წლისაა. დაიბადა და გაიზარდა თბილისში. სპორტულ ცეკვებში მეცადინეობაც აქ დაიწყო თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეების ხელმძღვანელობით. რამდენიმე წლის წინათ მათი ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. სალომემ იქაც განაგრძო ვარჯიში. ამჟამად რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული მოსკოვის საფინანსო აკადემიის პირველკურსელია. მისი პარტნიორი ალექსანდრ ჩესნოკოვი, რომელთანაც ოთხი წელიწადია ცეკვავს, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსზე სწავლობს.

– წლევანდელი სეზონი ჩემთვის ფეხბედნიერი გამოდგა, – მითხრა სალომემ, – ზამთრის მიწურულს კანადაში მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვედი, სადაც მე და საშა თორმეტ საუკეთესოში მოვხვდით. ერთი თვის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში მე-3 ადგილი დავიკავეთ, ხოლო ევროპულ ცეკვებში მეხუთე ვიყავით. და აი, მშობლიურ ქალაქში ყველაზე დიდი წარმატება მხვდა, ასეთი ძლიერი შემადგენლობის ტურნირში I და II ადგილების დაკავება ძალიან მახარებს, მით უმეტეს, რომ ამ შეჯიბრებას ბევრი ჩემი თბილისელი ნათესავი და მეგობარი ესწრება.

**– სალომე, რომ არაფერი ვთქვათ, გულშემატკივრებზე, არბიტრებსაც ძალიან მოეწონა თქვენი წყვილი. მართლაც, „შეხმატკბილებულად“ ცეკვავთ შენ და საშა. ცხოვრებაშიც ასეთი ურთიერთობა გაქვთ?**

– უმთავრესად ასეა, მაგრამ ზოგჯერ ვჩხუბობთ კიდეც, უმნიშვნელო რამეზეც. ასპარეზობის წინ კი ყველაფერს ვივიწყებთ.

**იხ. მე-8 გვ.**

## მხოლოდ შედეგები

# ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების ტაბლო



**შოტლანდია.** „ლივინგსტონი“ – „ჰიბერნიანი“ 1:2, „მოზერუელი“ – „აბერდინი“ 2:3, „სელტიკი“ – „დანდი“ 6:2, „დანფერმლაინი“ – „კილმარნოკი“ 2:2, „პარტიკი“ – „დანდი იუნაიტედი“ 0:1.

**ავსტრია.** „ადმირა“ – „პაშინგი“ 1:0, „კერნტენი“ – „ზაოცბურგი“ 0:3, „შტურმი“ – „ბრეგენცი“ 1:1, „რიდი“ – „გრაცერი“ 1:3.

**თურქეთი.** „გალათასარაი“ – „ადანა“ 3:0, „სამსუნი“ – „ანკარა“ 0:2, „ბურსა“ – „ალთაი“ 2;1, „გიოზთეფე“ – „დენიზლი“ 2:3, „ისთანბული“ – „ფენერბახჩე“ 2:0, „ქოჯაელი“ – „ელაზიგი“ 1:3, „დიარბაქირი“ – „მალათია“ 1:1, „გენჩლერი“ – „ბეშიქთაში“ 1:2.

**პოლონეთი.** „ამიცა“ – „რუხი“ 2:1, „გარბარნია“ – „ზაგლემბიე“ 1:2, „პლოცკი“– „პოგონი“ 2:1, „ვიძევი“ – „ლეგია“ 1:3, „პოლონია“ – „გურნიკი“ 1:1, „ოდრა“ – „ოსტროვეცი“ 2:1.

**იტალია:** „პერუჯა“ – „უდინეზე“ 0:2, „ატალანტა“ – „კომო“ 2:1, „კიევო“ – „რომა“0:0, „მილანი“ – „ბოლონია“ 3:1, „მოდენა“ – „ინტერი“ 0:2, „ტორინო“ – „ემპოლი“ 1:1, „ლაციო“ – „ბრეშია“ 3:1, „რეჯინა“ – „იუვენტუსი“ 2:1, „პარმა“ – „პიაჩენცა“ 3:2.

**რუსეთი.** „ზენიტი“ – „ტორპედო“ 1:0, „ურალანი“ – „შინიკი“ 0:2, „ტორპედო-მეტალურგი“ – „კრილია“ 3:0, „როსტოვი“ – „სატურნი“ 1:2, „როტორი“ – „სპარტაკი“ 1:1.

**ესპანეთი.** „დეპორტივო“ – „ვალენსია“ 1:2, „რასინგი“ – „ატლეტიკო“ 0:2.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „შტუტგარტი“ 2:1, „ჰანზა“ – „ბილეფელდი“ 3:0, „კაიზერსლაუტერნი“ – „ბორუსია“ 0:0, – „ლევერკუზენი“ – „მიუნხენი“ 3:0, „ვოლფსბურგი“ – „ჰერტა“ 2:0, „ბოხუმი“ – „ჰამბურგი“ 1:1, „კოტბუსი“ – „ნიურნბერგი“ 2:1, „ჰანოვერი“ – „გლადბახი“ 2:2, „ვერდერი“ – „შალკე“ 2:1.



**ჰოლანდია.** „ვიტესი“ – „ტვენტე“ 0:1, „როზენდალი“ – „ნაიმეგენი“ 0:2, „ტილბურგი“ – „ექსელსიორი“ 2:1, „ზვოლე“ – „ჰერენვენი“ 0:1.

**ბელგია.** „ანდერლეხტი“ – „ლუვიე“ 1:0, „გენკი“– „სენტ-ტრუიდენი“ 2:2, „მუსკრონი“ – „ვესტერლო“ 0:4, „ლიერსი“ – „ლოკერენი“ 2:1, „შარლერუა“ – „ბევერენი“ 0:0.

**პორტუგალია.** „ლეირია“ – „ბელენენსეში“ 1:4, „პორტუ“ – „ვარზიმი“ 3:2, „ნასიონალი“ – „სპორტინგი“ 1:1.

**უკრაინა.** „დინამო“ – „კარპატი“ 2:0, „ტავრია“ – „ვორსკლა“ 3:2, „მეტალისტი“ – „ალექსანდრია“0:0, „დნეპრი“ – „მეტალურგი“ (დ) 4:1, „ჩერნომორეცი“ – „მარიუპოლი“ 3:2, „შახტიორი“ – „ვოლინი“ 1:3, „მეტალურგი“ (ზ) – „კრივბასი“ 2:1.



**დანია.** „აკადემისკი“ – „ოდენსე“ 1:1.

**შვეიცარია.** „სერვეტი“ – „ვილი“ 1:0.

**ჩეხეთი.** „ბოჰემიანსი“ – „სპარტა“ 1:2-ზე შეწყდა.

**ინგლისი.** ლიგის თასის ფინალი. „არსენალი“ – „საუთჰემპტონი“ 1:0.

**საფრანგეთი.** თასის ფინალი. „მონაკო“ – „სოშო“ 4:1.

**საბერძნეთი.** თასის ფინალი. პაოკი – „არისი“ 1:0.

**17 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი.**

ფინალი. პორტუგალია – ესპანეთი 2:1.

მატჩი III ადგილისათვის. ავსტრია – ინგლისი 1:0.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ნიჭი

# ჭადრაკი რომ არა, მხატვარი გავხდებოდა



**ბათუმში ბოლო დროს ჭადრაკისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ კარგი შედეგი გამოიღო — აქაური ახალგაზრდები წარმატებით ასპარეზობენ როგორც საქართველოს პირველობებზე, ისე სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირებზე. ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის მერვეკლასელმა მირანდა მიქაძემ, ამას წინათ, თოთხმეტწლიანთა საქართველოს პირველობაზე II ადგილი დაიკავა და ევროპელ თანატოლებთან გაჯიბრების უფლება მოიპოვა.**

მირანდა 1989 წლის 18 სექტემბერს დაიბადა. ჭადრაკის თამაში 8 წლისამ ისწავლა გურამ ჭანტურიას ხელმძღვანელობით. სხვადასხვა დროს ფელიქს მელქონიანი და ისიდორე გოგეშვილი ავარჯიშებდნენ. ამჟამად ლეონიდ ნურონოვთან მეცადინეობს. სპეციალისტები მას ნიჭიერ და პერსპექტიულ მოჭადრაკედ თვლიან, რაც მირანდამ არაერთხელ დაამტკიცა დამაჯერებლი შედეგებით.

— მუსიკის მასწავლებელზე გაბრაზებულმა ჭადრაკის თამაში ვისწავლე, — მითხრა მირანდამ, — მერე საჭადრაკო კლუბ „ციცინათელაში“ მომიყვანეს მშობლებმა. რამდენიმე თვე მქონდა ნავარჯიშევი, რომ 1997 წელს ათწლიანთა შორის აჭარის ჩემპიონი გავხდი. ამ მოულოდნელმა გამარჯვებამ ძალიან გამახარა. მერე საქართველოს პირველობაზე გამოვედი. ბოლო ტურში ზუგდიდელ მადონა ბოკუჩავასთან რომ არ წამეგო, მეორე ადგილზე გავდიოდი. საბოლოოდ მეშვიდე ვიყავი.

მას შემდეგ ხუთმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში მირანდა მიქაძემ ბევრჯერ განიცადა სიხარული, მარცხიც არაერთხელ იწვნია, თუმცა ჭადრაკზე გული არასდროს აუყრია. მწვრთნელებთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ. ერთხელ შოთა ინწკირველის თასი დაისაკუთრა, ორჯერ შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის პრიზიორი გახდა, თანატოლთა შორის მსოფლიო და ევროპის პირველობებშიც გამოვიდა.

— ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს წლეულს მივაღწიე, — მითხრა მირანდამ, — 14 წლის მოჭადრაკეთა შორის ჯერ ბათუმის, შემდეგ აჭარის პირველობა მოვიგე. საქართველოს პირველობაზე 7 ქულით ვერცხლის მედალი მოვიპოვე — მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამოვრჩი ჩემპიონს — თამუნა გახოკიძეს. სექტემბერში ევროპის პირველობაზე ვითამაშებ იუგოსლავიაში. იქაც საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებ.

**— საამისოდ მარტო ვარჯიში არ კმარა, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილებაა საჭირო...**

— ბათუმს თურქეთის რამდენიმე ქალაქთან აქვს მეგობრული ურთიერთობა, რაც იქაურ მოჭადრაკეებთან გაჯიბრების საშუალებას გვაძლევს. მართალია, ჩვენი თურქი თანატოლები ძლიერად ვერ თამაშობენ და ყოველთვის დიდი ანგარიშით აგებენ, მაგრამ გამოცდილების მისაღებად ესეც კარგია, რადგან მნიშვნელოვან ტურნირებზე გასამგზავრებელი თანხები ჭირს. ევროპის პირველობამდე, ალბათ, წლეულსაც შევხვდებით ჩვენი მეზობელი ქვეყნის მოჭადრაკეებს. იმედია, ბათუმში, ტრადიციულად, შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალიც გაიმართება. ცხადია, აქაც ვიასპარეზებ.

**— მირანდა, შეჯიბრებებში ხშირად მონაწილეობა სწავლაში ხელს არ გიშლის?**

— ტურნირები უმთავრესად სწავლის პერიოდს ემთხვევა, ამიტომ გაკვეთილებსაც ვაცდენ, მაგრამ კლასის დამრიგებელი ქალბატონი დუდუხანა მდივანი, სკოლის პედაგოგები და თანაკლასელები მეხმარებიან და ვახერხებ დანაკლისის ანაზღაურებას.

**— ჭადრაკის გარდა რა გიყვარს?**

— პოეზია, განსაკუთრებით გალაკტიონის და ანა კალანდაძის ლექსები. ფეხბურთზე ვგიჟდები. 30 აპრილს საქართველოს და რუსეთის ეროვნული გუნდების შეხვედრისას ბევრი ვინერვიულე. უსაზღვროდ გამიხარდა ჩვენების გამარჯვება. რამდენიმე დღის წინათ კი მადრიდის „რეალმა“ დამწყვიტა გული, იტალიის „იუვენტუსთან“ რომ წააგო.



ძალიან მიყვარს ისტორიული ადგილების მონახულება. შარშან საბერძნეთში რომ ვიყავი მსოფლიო პირველობაზე, იქაურობა კარგად დავათვალიერე. მოხიბლული დავრჩი.

**— შენზე მითხრეს, კარგად ხატავსო.**

— ჭადრაკი რომ არა, ალბათ, მხატვრობას ავირჩევდი ჩემი მშობლების დარად. ხატვის სიყვარული, ეტყობა, მათგან გამომყვა. რამდენიმე წლის წინათ ბათუმში ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. დედამ თავისი მოსწავლეების ნახატები წარადგინა. მე რომ არაფერი მითხრა, გავბრაზდი და თვითონ მივიტანე რამდენიმე სურათი გამოფენის ორგანიზატორებთან. ჩემებს ძალიან გაუკვირდათ, დაჯილდოებულთა შორის მეც რომ გამომაცხადეს. იმ დიპლომს სათუთად ვინახავ საჭადრაკო ჯილდოებს შორის. სამწუხაროდ, ახლა ხატვისთვის ცოტა დრო მრჩება, რადგან უფრო მეტ ხანს ჭადრაკს ვუთმობ. მინდა, დიდოსტატი გავხდე.

14 წლის მირანდა მიქაძეს სხვაც ბევრი აქვს საოცნებო, თუმცა, ახლა ევროპის პირველობისთვის საფუძვლიანი მომზადებაა უპირველესი. იმედია, აჭარაში გამოჩნდებიან გულისხმიერი ადამიანები, რომლებიც ნიჭიერ მოჭადრაკეს მიზნის აღსრულებაში დაეხმარებიან.

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: მირანდა მიქაძე; კრეტაზე ისტორიული ადგილების მონახულებისას.**

სპორტული ცეკვა

# კავკასიის თასი საქართველოში დარჩა



(მეშვიდე გვერდიდან)

**— ყოველივე სიყვარულის ბრალი ხომ არ არის?**

— (იცინის). ღმერთმა დამიფაროს. ჯერ საამისოდ არ მცალია. ისე, საშას უკვე ჰყავს მეგობარი გოგონა.

**— სწავლა და სპორტული ცეკვები — მხოლოდ ეს არის შენი გატაცება?**

— სამწუხაროდ, სხვა სიამოვნებისთვის დრო ცოტა მრჩება. ბავშვობისას კარატე-დოში ვვარჯიშობდი, ტაეკვანდოშიც. რუსეთისა და ირლანდიის ღია პირველობებზეც გამოვსულვარ გოლფში. მე და ჩემს უმცროს ძმას, ვიქტორს, რომელიც სკოლას ამთავრებს, ძალიან გვიყვარს მუსიკა და საღამოობით ხშირად ვუსმენთ ხოლმე...

ღია საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ზედმეტი შეკითხვებით არ შემიწუხებია, რადგან წინ კიდევ ორი მეტად პასუხსაგები შეჯიბრება ელოდა და საამისოდ მომზადება სჭირდებოდა.

კავკასიის თასი გუშინ მეცხრედ გათამაშდა. საასპარეზოდ საქართველოს სამი, სომხეთის ორი და აზერბაიჯანის ერთი გუნდი გამოვიდა. წინა რვა შეჯიბრებაში ჩვენებს ვერავინ აჯობა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. საქართველოს პირველმა ნაკრებმა (გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი, ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გუგავა, გიორგი ორველაშვილი — თათული გოგიშვილი, ალექსანდრ ჩესნოკოვი — სალომე ლომსაძე) საგრძნობლად გაუსწრო დანარჩენ გუნდებს და კავკასიის თასი მეცხრედ დაისაკუთრა. მეორე ადგილი წილად ხვდა სომხეთის I ნაკრებს, მესამე იყო საქართველოს მე-2 გუნდი.

— მასპინძელთა გამარჯვებაში არც დავეჭვებულვარ, — მითხრა ისრაელის სპორტული ცეკვების ფედერაციის პრეზიდენტმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა **ბორის ოდიკაძემ.** — რადგან იგი აშკარად ჯობდა მეტოქეებს. მიხარია, რომ, საერთო შეჭირვების მიუხედავად, ჩვენები ტრადიციებს არ ღალატობენ და პოზიციებს არ თმობენ...

„ჩვენებიო“ ბორის ოდიკაძემ საქართველოს სპორტსმენებზე თქვა. იგი თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცია. აქვე ჰყავს მშობლები, და-ძმები და ნათესავები. ათი წლის წინათ მეუღლესთან ერთად ისრაელში, ქალაქ აშდოდში წავიდა საცხოვრებლად.

— სპორტული ცეკვების საიდუმლოებას თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეებმა მაზიარეს, — გაიხსენა ჭაბუკობის წლები ბატონმა ბორისმა. — მახსოვს, პირველად 1972 წელს ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა საკავშირო რეგიონული კონკურსი, რომელსაც დიდი ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობდა. მაშინ მე და ჩემი პარტნიორი თამრიკო კობიაშვილი დიპლომანტები გავხდით. მერეც მრავალ შეჯიბრებაში ვმონაწილეობდი, ოღონდ რუზანა მანაშეროვასთან ერთად, რომელიც ახლა ჩემი მეუღლეა. აშდოდში ამოსვლის შემდეგ სპორტული ცეკვების სტუდია გავხსენით. დღეს ათასამდე ქალ-ვაჟი მეცადინეობს ჩვენთან, მათ შორის 120 საკონკურსო წყვილი გვყავს.



**— გავიგე, დიდ საერთაშორისო ტურნირებსაც აწყობთ...**

— დიახ, სახელწოდებით „ცისა ფერს“ . იგი საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი და სარეიტინგო შეჯიბრებაა, ამიტომ, მსოფლიოს უძლიერესი წყვილები ჩამოდიან. მის ორგანიზებას ვერ გავწვდებოდი, ქალაქის მუნიციპალიტეტი რომ არ მეხმარებოდეს. უფრო მეტსაც გეტყვით: რვა წელიწადია, ამ ტურნირს ვმართავთ და მას აშდოდის მერი ცვი ცილკერი ან მისი მოადგილე შიმონ კაცნელსონი ხსნის... ვალსით. ორმაგად დასაფასებელია თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეების ძალისხმევა. ისინი ხომ მხოლოდ ფედერაციის სახსრებით აწყობენ ყოველწლიურად ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებას თანამოაზრეებთან ერთად. გულსატკენია, რომ არა თუ ქალაქის, არამედ სპორტის მესვეურებიც არ ესწრებიან ამ ლამაზ შეჯიბრებას...





გუშინ გვიან დამთავრდა აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატი. გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში გაუწყებთ.

**ვაჟა ნოსირელი.**

**სურათებზე: ბორის ოდიკაძე მსაჯობისას; კავკასიის თასის მფლობელი და პრიზიორები კვარცხლბეკზე; ცეკვავენ ალექსანდრ ჩესნოკოვი და სალომე ლომსაძე; გიორგი ტყეშელაშვილი და თათია ქუთათელაძე.**

**რობერტ ბაზოიანისა და ჯავარ ლომაძის ფოტო.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მჯობნის მჯობნი...

# gfhfktkt,b

**არ არსებობს ქვეყანა, სადაც გულშემატკივართა შორის ერთიანი აზრი იყოს ჩამოყალიბებული — ესა და ეს ფეხბურთელი, გინდა თუ არა, საუკეთესოა თავის სამშობლოში. ასეთი შეხედულება თვით ბრაზილიაზეც ვრცელდება, რომელმაც კაცობრიობას სპორტის ამ სახეობის მეფე (ბევრის გემოვნებით) პელე აჩუქა, ტორსიდის ნაწილი კი ასეთად სხვებს, თუნდაც გარინჩას მიიჩნევს. თუმცა, რაღა შორს მივდივართ, განა ჩვენშიც ანალოგიურ სურათს არ ვხვდებით?**

**გამონაკლისს საერთო წესიდან არც საფრანგეთი წარმოადგენს, ოღონდ ერთი თავისებურებით — იქ რჩეულნი ემიგრანტები არიან, რომლებმაც სხვადასხვა პერიოდში მოირგეს „სამფეროვანი“ მაისური და მომავალ თაობებს სასახელო ტრადიციები დაუტოვეს.**



ისე გამოვიდა, რომ ფრანგული ფეხბურთის ორი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი რაიმონ კოპა და მიშელ პლატინი ემიგრანტთა, პოლონელებისა და იტალიელების შთამომავლები იყვნენ.

ამ ტრადიციას ერთგვარად აგრძელებს ზინედინ ზიდანიც, მარსელში გადმოსახლებულ ალჟირელთა შვილი, რომელიც აშკარად მიიწევს იმისკენ, რომ ფრანგული ფეხბურთის მესამე ბურჯი შეიქნეს.





ორი დიდი წინამორბედისგან განსხვავებით, ზიდანს აქვს ფეხბურთელისთვის უძვირფასესი, სანუკვარი ტიტული მსოფლიოს ჩემპიონისა. ზიდანი ის ფეხბურთელია, ვინც დუბლი შეასრულა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში.

კოპაცა და პლატინიც (ორჯერ) ახლო იდგნენ ფინალთან, მაგრამ ვერ მიაღწიეს ოქროს მედლებამდე.

მეორე მხრივ, კოპასა და პლატინის ბევრად მეტი საკლუბო ტიტულები მოუპოვებიათ, ვიდრე ზიდანს.

თუმცა, ამ გარეგნულ სატიტულო მსგავსებას მაინც მეორეხარისხოვნობის იერი დაჰკრავს. საინტერესო, ამ მოთამაშეთა შედარება და მასშტაბებია.

როგორ მოხერხდება ეს პატარა წერილში, მალე გამოჩნდება.

ყველა დიდი ფეხბურთელი რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ყველა დიდ ფეხბურთელს აქვს თავისი, მხოლოდ თავისი საფირმო ნიშნები.

კოპას „ბატონ მილიმეტრს“ ეძახდნენ. მისი ეპოქა ნატიფი ტექნიკისა და აბსოლუტს მიახლოებული სიზუსტის დროება იყო. პლატინის ჟამი გახლდათ ათწლეული, ეგრეთ წოდებულ, „დირიჟორთა“, წინწაწეულ შუა ნახევარმცველთა ზეობისა, რასაც თავად ეს ფრანგი განასახიერებდა. ეს იყო დრო ტანხმელ ინტელექტუალთა, რომლებიც გამჭოლი, მაღალი პასებით ჭრიდნენ სივრცეებს და საჯარიმოშიც ბრწყინვალედ მოქმედებდნენ.

კოპას ლიდერობა შეეძლო, მაგრამ ხშირად აღმოჩენილა სხვათა ჩრდილში, უფრო დიადთა დამხმარედ. პლატინი ყოველთვის ლიდერი იყო. კოპას ერთხელ გადასცეს ევროპის ოქროს ბურთი, პლატინის — ზედიზედ სამჯერ. 80-იანი წლების პირველი ნახევარი მთლიანად პლატინისა იყო. იმხანად მსოფლიოში არსებობდნენ მასზე დიდი მოთამაშენიც, მაგრამ პლატინი ევროპის ნაღდი მპყრობელი გახლდათ. კოპამ კი ეგრეც ვერ დაიპყრო ევროპა. მისი ეპოქა მოითხოვდა ვარსკვლავობას და კიდევ მეტს.

არც კოპა და არც პლატინი იყვნენ ისეთი ზორბა ბიჭები, ზიდანი რომ გახლავთ. მაგრამ თუ კოპა „ბატონი მილიმეტრი“ იყო, პლატინისგან გაგვახსენდება ნატიფი რაციონალიზმი. თუკი ამ ორი სიტყვის შეთანხმება შეიძლება, ისინი სწორედ ამ ფეხბურთელში უნდა შევათანხმოთ. პლატინის გოლები და პასები უაღრესად რაციონალური იყო. პოზიციისა და სივრცის ზღაპრული შეგრძნება, სიზუსტე და სისადავე, რაც მხოლოდ დიდ ფეხბურთელებს ხელეწიფებათ — აი, პლატინი.

პლატინი შეუცვლელი იყო. ის მთავარი გახლდათ. ის გადამწყვეტი იყო. 1984 წლის ევროპის ჩემპიონატი — აი, მთავარი და საუკეთესო პლატინი.

როგორია ზიდანის დროება?

ყველაზე იოლია, რომ ვთქვათ — იგია ხისტი, სივრცეების პოვნისთვის მოწოდებული ფეხბურთის დრო. დღევანდელი ვარსკვლავი მოფარიკავეს ჰგავს — წამის მეასედში მჩხვლეტელ კაცს, რომელმაც მოწინააღმდეგის სხეულზე შეამჩნია სულ ცოტა ხნით მოშიშვლებული ადგილი.

აბა, დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ ზიდანი.

თითქოს მოუქნელია, არა? ისეთივე თითქოს მოუქნელი, როგორც პლატინი. უფრო თვალში საცემადაც. ჯანიანი ბარძაყები, ფართო მხრები, დიდი ხელები, პლატინი არასოდეს ტრიალებდა სამ კაცში. მისი ცრუ მოძრაობა სადა იყო. მას ჰქონდა უნარი თავისუფალ ადგილზე ბურთის ორჯერ შეხებით გასვლისა და აი, ზიდანი ბურთს იღებს. პლატინისგან განსხვავებით, ის ყოველთვის დასცქერის ბურთს. პლატინისგან განსხვავებით მისი, ვითომ მოუქნელი ფეხები, ძალიან უცნაურად, თითქოს არარაციონალურად მოძრაობს. ერთი შეხება, მეორე, მესამე, მორჩა... გაიბლანდა!

ამ დროს კი ზიდანი არ გაიბლანდა. სწორედ ეს ბლანდვა არის მისი ერთ-ერთი საფეხბურთო ნიჭის გამოხატულება. დღევანდელ ფეხბურთში ზიდანი არის ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც ადგილზე, სისწრაფის გარეშე ამგვარი რამეების კეთება შეუძლია. სამ კაცს დაუძვრე ერთ კვადრატულ მეტრზე — ეს ომარ სივორის და გარინჩას თუ შეეძლოთ.

მე თუ მკითხავთ, მთავარი ზიდანის თამაშში სწორედ ეს არის.

სხვანაირად რომ ვთქვათ, პლატინი უფრო ჰარმონიული ფეხბურთელი იყო. არა, ზიდანსაც გააქვს გოლები, ზიდანიც მშვენივრად ურტყამს ჯარიმებს, ზიდანსაც ეხერხება საუცხოო პასები — მეტად ლამაზი და ეფექტური, მოჭრილი, აჭრილი. მაგრამ ზიდანი უფრო მონაკვეთების მოთამაშეა. არა ეპიზოდების, არამედ მონაკვეთების. ხშირად გვინახავს პასიური და როგორღაც ხასიათწამხდარი ზიდანი და, მისი პასიურობის მიუხედავად ფრანგებს უმარჯვიათ. განა პლატინი არ დაუკეტავთ? განა მას არ ცელავდნენ? მაგრამ პლატინი სტრატეგი იყო. მის ხელში მთელი თამაში იყო, ზიდანის ხელში კი მხოლოდ მონაკვეთია და რაც უფრო დიდხანს გრძელდება ეს მონაკვეთი, მით უფრო საუცხოოა ზიდანი.

ამ საუბრისას უფრო სანაკრებო თამაშს ვგულისხმობდით.

ისტორია კი ისე აეწყო, რომ ზიზუსაც და პლატინისაც ერთ კლუბში, „იუვენტუსში“ მოუწიათ თამაში. პლატინის — ჯოვანი ტრაპატონის, ზიდანს — მარჩელო ლიპისა და კარლო ანჩელოტის ხელში. საკვირველი არაფერია, თუ ვიტყვით, რომ ნამდვილი ზიდანის სანახავად საფრანგეთის ნაკრების ცქერა სჯობს.



ჩვენებურები

# კალაძე — ექსპერტი „მილანის“ საქმეებში

**როდესაც ჟურნალისტებს სურთ რაიმე შეიტყონ „მილანის“ შესახებ, ისინი ჩვეულებრივ კახი კალაძეს მიმართავენ ხოლმე.**



— არ მინდა ბანალური ვიყო, მაგრამ თითოეული ფეხბურთელისთვის „მილანში“ თამაში დიდი პატივია. თითოეულ წაგებას ტრაგედიად აღიქვამენ, ნებისმიერ ვარჯიშზე მთელ ძალებს ხარჯავენ. — თქვა კალაძემ, — არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „მილანს“ წვრთნის კარლო ანჩელოტი, 90-იანი წლების გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი, როცა „მილანმა“ გაიმარჯვა ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა. კარლო ანჩელოტი გამარჯვების სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

თვით კალაძემ კატეგორიულად უარყო ხმები რომელიმე სხვა კლუბში გადასვლის შესახებ და თქვა, არ იცის, რატომ ავრცელებენ ხმებს „ლივერპულსა“ და „ბაიერნთან“ რაღაც მოლაპარაკებებზე.

**— გაზეთებში ერთხანს იმაზეც წერდნენ, რომ გუნდში რაღაც დაჯგუფებებია. თითქოს როსი, ალბერტინი (ახლა ორივე მათგანმა კლუბი დატოვა), კოსტაკურტა და მალდინი ხელშეუხებელი პიროვნებებია, რომლებზეც არის დამოკიდებული საბრძოლო შემადგენლობის დადგენა და ჰონორარის გადახდაც კი...**

— საქმე ის არის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ხმები თუ იყო. სინამდვილეში კი „მილანში“ არიან, ასე ვთქვათ, ხანდაზმული ფეხბურთელები, რომლებსაც ყველა პატივს სცემს. რაიმე დაჯგუფებებად დაყოფა არც წინათ ყოფილა და არც ახლაა. ყველანი ერთად ვართ. ვხუმრობთ, კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**— ვინ ითვლება გუნდის მთავარ „იუმორისტად“?**

— ეტყობა, მე და ნესტა. რაზე ვხუმრობთ? ყველაზე ხშირად იმიჯის შეცვლაზე. ჩვენს მოთამაშეებს უყვართ კარგად ჩაცმა. აი, ეს ხდება ხოლმე ხუმრობის საბაბი.

**— როგორი ურთიერთობა გაქვთ გუნდის კაპიტან პაოლო მალდინისთან?**

— საუკეთესო! მე მის ოჯახსაც კარგად ვიცნობ, ცოლსა და შვილს. როცა მილანში ჩავედი, პაოლო ძალიან დამეხმარა. მხარი დამიჭირა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მე მის პოზიციაზე, მარცხენა მცველად ვთამაშობ. თვით მალდინი, რომელიც მარცხენა მცველად წლების მანძილზე გამოდიოდა, ანჩელოტის გადაწყვეტილებით, დაცვის ცენტრში გადავიდა. ეს ჩემთვის კარგი, დამატებითი სტიმულია — ისე ვითამაშო განაპირა მცველად, რომ ტრიბუნებმა პაოლო არ გაიხსენონ და ყვირილი არ დაიწყონ: „ეი, შენ, ვინა ხარ მანდ?“

**— როგორი კაპიტანია მალდინი?**

— მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. თუკი პარტნიორი შეცდა, ყვირილს არ დაუწყებს. საერთოდ, ჩვენთან ყვირილი და დავიდარაბა მიღებული არ არის, რომ არაფერი ვთქვათ, აშკარა ჩხუბზე, როგორც ეს „ბაიერნში“ ხდება.

**— როცა პირველად ჩახვედით მილანში, როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე „სან-სიროს“ სტადიონმა?**

— როგორი შთაბეჭდილება უნდა დაეტოვებინა სტადიონს, რომელსაც „მეორე ლა სკალას“ უწოდებენ? ულამაზესი ასპარეზია. მასზე ფეხბურთის თამაში მართლაც თეატრალურ სანახაობას ჰგავს. გესმის, როგორ მოგმართავენ ტრიბუნებიდან გულშემატკივრები რეპლიკებით. ღმერთმა ნუ ქნას, რომ რაღაცა შეგეშალოს.

**— „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის იცნობთ?**

— რა თქმა უნდა. ის ხომ ჩემი პრეზიდენტია. ბერლუსკონი ხშირად ესწრება „მილანის“ მატჩებს, კარგად ერკვევა საფეხბურთო საკითხებში, მხიარული კაცია, კარგი მოსაუბრე. აი, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იგი ხშირად რისხვას დაატეხს ხოლმე ფეხბურთელებს, აშკარად არასწორია. გუნდი ამ სეზონში კარგად თამაშობს, ასე რომ, პრეზიდენტს ჩვენს მიმართ რაიმე განსაკუთრებული პრეტენზია არა აქვს.

# დიდოსტატის ბალი — დათო ბარამიძეს

14 წლის დათო ბარამიძეს, რომელიც გერმანიაში ყველაზე ძლიერ ჭაბუკ მოჭადრაკედ ითვლება, აქამდეც თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდა, მაგრამ მისმა თამაშმა ქ. დაიციზაუს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ეს შეჯიბრება ყოველწლიურად იმართება შვეიცარიული სისტემით (9 ტურად), ამასთან, მისი შემადგენლობა სულ უფრო ძლიერდება.

იმის გამო, რომ დაიციზაუში წელს ბევრი ცნობილი დიდოსტატი თამაშობდა, 14 წლის საერთაშორისო ოსტატი თავიდან ფავორიტად არ ითვლებოდა, სინამდვილეში კი მან პირველი ადგილი არავის დაუთმო.

დათომ 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა, 6 პარტია მოიგო და 3 ყაიმით დაასრულა. ასეთი შედეგით მან საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ბალი მოიპოვა, და, იმედია, ამ უმაღლეს საჭადრაკო წოდებასაც მალე მიიღებს. მას უკვე ახლა განიხილავენ, როგორც გერმანიის ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატს.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა 13 მოჭადრაკე, რომელთა შორის ადგილები დამატებითი მონაცემებით განაწილდა. ამ ჯგუფში არიან ცნობილი დიდოსტატები დიტერ-ლივიუ ნისიპიანუ (რუმინეთი), მსოფლიოს 2000 წლის ჩემპიონატის პრიზიორი, სომხეთის ნაკრების წევრი ლევონ არონიანი, უნგრელი ივან ფარაგო, რუსეთის წარმომადგენლები ვლადიმერ ეპიშინი, ვლადიმერ ბურმაკინი, ვიაჩესლავ იკონნიკოვი, კონსტანტინ ლანდა. მათ შორის, ვინც 6,5 ქულა მოაგროვა, არიან მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი დიულა საქსი (უნგრეთი), ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული ვადიმ მილოვი (შვეიცარია).

ერთი სიტყვით, დავით ბარამიძემ დიდი და სასახელო გამარჯვება იზეიმა.

მოამზადა
გივი თორელმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# ნაჯაფ ფეხებს მოვლა უნდა!

სამწუხაროდ, ყველა ჩვენი თანამემამულე ვერ ახერხებს სისტემატურად ვარჯიშს (დილაობით, დღის განმავლობაში). ამასთან, ბევრს ისეთ პირობებში უხდება მუშაობა, საათობით ვერ იცლის დასაჯდომად. მაგალითად, ექიმებს, გამყიდველებს, მზარეულებს, კერძების მიმტანებს და სხვა. დიდი ჯაფა ადგება ასეთი ადამიანების ფეხებს და კიდევ იმ ქალბატონებისას, რომლებსაც უყვართ ძალიან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით სიარული. მათ ხშირად უსივდებათ ფეხები, ტკივილსაც უჩივიან და, არცთუ იშვიათად, სიარულის მანერაც ეცვლებათ.

სწორედ მათთვის არსებობს საკმაოდ მარტივი, მაგრამ ეფექტური ვარჯიშები, რომელთა სისტემატურად შესრულების შედეგად შეინარჩუნებთ თქვენთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სიარულის მანერას და ფეხების ტკივილებიც მოგეხსნებათ.




1. დგომელა, 20-30-ჯერ გადააადგილეთ ფეხის ტერფები ისრებით ნაჩვენები მიმართულებით. 2. დამჯდარმა, მსხვილი ჯოხის ნაჭერი გადააგორ-გადმოაგორეთ ტერფებით 2-3 წუთის განმავლობაში. 3. დგომელა, იგივე მრგვალი საგანი გადააგორ-გადმოაგორეთ ფეხების შიდა თუ გარე მხარეს (1,1,5 წთ). 4. მაგიდაზე დაყრდნობილმა აიწ-დაიწიეთ ფეხის ცერებზე 10-10-ჯერ. 5. დამჯდარმა მოხარეთ და გამართეთ ფეხის ცერები 8-16-ჯერ.

ამ ვარჯიშთა გარდა, აუცილებელია, რომ შეარჩიოთ თქვენთვის მოსახერხებელი ფეხსაცმელი, საერთოდ მოუაროთ ფეხებს – ყოველდღე დაიბანოთ თბილ წყალში და მასაჟიც გაიკეთოთ. ეს ყოველივე დაგიფარავთ დიდი უსიამოვნებისაგან. ჯანმრთელი ფეხებით თქვენ ცხოვრების ჯანსაღ წესსაც ეზიარებით.

ანზორ ბასილაია.

მსოფლიო შტრიხებში

# რობოტები ამარცხებენ თავიანთ შემქმნელებს



ნუ გაგიკვირდებათ, არც თუ დიდი დრო დარჩა იქამდე, როცა ადამიანისვე შექმნილი რობოტები დაამარცხებენ მათსავე შემქმნელებს, რასაკვირველია, იგულისხმება ფეხბურთი.

როგორც თავად რობოტების კონსტრუქტორები ვარაუდობენ, 2050 წლისათვის ორფეხა რობოტების გუნდი დაამარცხებს ადამიანთა საფეხბურთო ნაკრებს, მსოფლიო ჩემპიონატზე რომ გაიმარჯვებს. სწორედ ეს მიზანი დაისახეს ოთხფეხა რობოტ-ძაღლების მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა. თანაც იმასაც ამტკიცებენ, რომ მომავლის რობოტები მთლიანად ავტონომიურები იქნებიან, ანუ საფეხბურთო მატჩის დროს მათ არავინ უხელმძღვანელებს.

რობოტ-ფეხბურთელების ჩემპიონატი 1997 წლიდან იმართება. 2002 წლის თასის გათამაშებაში კი, იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში უკვე 193 გუნდი მონაწილეობდა და 120 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ხოლო წლევანდელ ფინალში, რომელიც პადუაში გაიმართება, გამოვა 290 გუნდი, შეიძლება ითქვას, რომ წლიდან წლამდე, შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე „ფეხბურთელები" სულ უფრო ოსტატდებიან და შემტევნი ხდებიან.

მატჩში მონაწილე რობოტებისადმი მთავარი მოთხოვნა დამოუკიდებლობაა. ისინი უნდა „ხედავდნენ" ბურთს, შეეძლოთ გადაწოდება და კარგი დარტყმა, დაიცვან თავისი კარი და აირჩიონ თამაშის სტილი კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა მოულოდნელობა. ავტონომიური რობოტების დამუშავება გასული საუკუნის 90-იან წლებამდე დაიწყო, მართალია, ძალზე ნელა, მაგრამ მიკროპროცესების სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა ამ პროცესის დაჩქარება.

ისე, რომ ისტორიის არც თუ დიდი მონაკვეთი დასჭირდება, რათა რობოტებმა თავიანთი შემქმნელები დაამარცხონ.

ყოველი მხრიდან

## „დეე, აქ 40 წლამდე დარჩეს"

ეს სიტყვები იტალიის სერია A-ს კლუბ „ბრეშიას" პრეზიდენტ ჯინო კორიონის ეკუთვნის. იგი, როგორც ყოველთვის, აღფრთოვანებულია 36 წლის ვირტუოზის რობერტო ბაჯოს თამაშით. სწორედ ბაჯოს წყალობით „ბრეშიას" არც ისე ძლიერ კლუბს, მას შემდეგ, რაც აქ რობერტო გამოდის, იტალიის უმაღლესი დივიზიონის დატოვება არ დამუქრებია. ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ ბაჯოს უფრო მაღალი კლასის კლუბები იწვევენ, ნაკრების მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის კი სისტემატურად აკრიტიკებენ, რატომ არ იწვევს თავის გუნდში ესოდენ მაღალი კლასის თავდამსხმელს. ტრაპატონი იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ სულაც არ დავიწყებია ბაჯო და აუცილებლად მოიხმობს მას უახლოეს ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად.



„ბრეშიას" პრეზიდენტი კი იმედიანად არის:

– არა მგონია, ბაჯომ მოინდომოს ჩვენგან წასვლა, თუმცა ახლა მას ყოველი მხრიდან ეპატიჟებიან. იგი ხომ „ბრეშიაში" თავს მშვენივრად გრძნობს. დეე, ჩვენთან 40 წლის ასაკამდე დარჩეს, შემდეგ კი წავიდეს, სადაც მოესურვება. იგი ხომ ექსტრაორდინარული მოთამაშეა, საუკეთესო ფეხბურთის ისტორიაში პელესა და მარადონას შემდეგ.

## კლუბის დროშა – გინესის წიგნში!

ამ დღეებში, როცა მადრიდის „ატლეტიკოს" დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა, ესპანეთის დედაქალაქში დიდი ზეიმი მოეწყო. ცენტრალურ ქუჩებში 30 ათასმა გულშემატკივარმა გაიარა, რომელთაც მიჰქონდათ კილომეტრნახევარი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანის კლუბის უზარმაზარი დროშა.

ეს უნიკალური მიღწევა უკვე შეიტანეს გინესის რეკორდების წიგნში.

## ბოდიში საკმარისი არ არის




ავსტრალიურ ჟურნალ „WEST AUSTRALIAN" მალე, ალბათ, მოუწევს დიდი თანხის გაღება. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ჟურნალში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ფოტოგრაფია, რომელზედაც გამოსახულია ფეხბურთელი, რომლის ტრუსებიდანაც მამაკაცური ღირსება იყურება.

ნახა რა თავისი ფოტო, „დაზარალებულმა" ფეხბურთელმა პოლ ხელსბიმ, მაშინვე მიმართა თავის ადვოკატს, რათა მას აღეძრა სარჩელი სასამართლოში, თვითონ კი საჯაროდ განაცხადა, რომ მისთვის უხერხულია, როდესაც მთელი მსოფლიო უყურებს მის პიკანტურ ადგილს.

ჟურნალმა უკვე პირადად მოუხადა ფეხბურთელს ბოდიში და „დამნაშავეების" დასჯასაც დაჰპირდა, მაგრამ ხელსბის ეს არ ჰყოფნის და აცხადებს, რომ მას სურს ჟურნალმა ბოლომდე აუნაზღაუროს მიყენებული მორალური ზარალი.

მკითხველს შევახსენებთ, რომ, ამას წინათ, ზუსტად ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა რუსეთშიც, მაგრამ მაშინ რუსი ფეხბურთელის ვალერი კეჩინოვისა და გამომცემელთა საქმე სასამართლომდე არ მისულა.

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მხნე ჯარისკაცი – I ნაწილი













ათლეტიზმში ვარჯიში, ჯანმრთელობის გაკაჟებისა და სხეულის ფორმების კორექტირების გარდა, შეიძლება წვევამდელთა სამხედრო სამსახურისათვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ.

სწორედ ასეთი მიზანი ჰქონდათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტურ კლუბ „ამირანის" დამრიგებლებს: საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ნიკოლოზ სარალიძესა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გია ჯმუხაძეს (წარსულში სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლებს), როცა 16 წლის ჭაბუკის **სერგო მერაბიშვილის** ფიზიკურ სრულყოფას მოკიდეს ხელი.

წვევამდელთა მომზადებაში ფართოდ გამოიყენება აღმოსავლური ორთაბრძოლები და კრივი. ამ სახეობებით გატაცებულ ყმაწვილებს გულმოდგინედ ეძებს სახელმწიფო უშიშროების დაცვის სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ტარიელ შარვაშიძე. აღსანიშნავია, რომ მისი რეკომენდაციით ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი ახლახან უშიშროების ჯარებში ჩაირიცხა.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს სერგო მერაბიშვილის შესრულებით.

**მკერდისა და მხრის კუნთების ვარჯიში**

1. **წოლჭიმი ჰორიზონტალური სკამიდან (სურ. 1,2).** სრულდება 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

2. **შტანგის აჭიმვა დახრილი სკამიდან (სურ. 3, 4).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

3. **ჰანტელების აჭიმვა დახრილი სკამიდან (სურ. 5).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

ზურაბ ჭავჭანიძე.

გენადი სანაიას ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

გიორგი გიგაური 75 წლისაა

# პოეტის ფიქრიანი გზა



გიორგი გიგაურის პოეზიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ შემოქმედს ცხოვრების სარბიელზე ბევრი რამ უნახავს, სოფელქვეყნის ლხინიც მრავლად გაუზიარებია და ჭირ-ვარამიც, განცდები სულის ქურაში გადაუხარშავს და დრო-ჟამის საწუხარი ალალ-მართალ პოეტურ სტრიქონებად ამოუთქვამს. მე რომ მკითხრონ, ურბანიზაციამ თუ ჟამთა სიავემ ამჟამად ჩვენი ერის ყველაზე დიდ ტკივილად საქართველოს მთიანეთის დაცარიელება გაგვიჩინა, როცა ესა თუ ის სოფელი და ერთი კაცი სინონიმად იქცა, უამრავი ნასახლარის გვერდით კვამლი ერთი ბუხრიდანღა ამოდის.

გიორგი გიგაურმა ადგილის დედის სატკივარი ყველაზე მკაფიოდ გაამხილა ჭეშმარიტი პოეტური მგზნებარებით დაწერილ პოემაში — „სოფელი სიკვდილს გადარჩენილი“, რომელიც მიეძღვნა ჩაჩაურ გიგაურს, ორმოც წელიწადზე მეტია მარტოდმარტო რომ ცხოვრობს მშობლიურ ბლოში და მამა-პაპეულ კერაზე ცეცხლს არ აქრობს.

უსიყვარულოდ ქვეყნად ყოფნას ხომ ნამდვილი სიცოცხლე არც ჰქვია და არც პოეტის სული სულობს უსიყვარულოდ: „ტრფობა ყოფილა ისე ძლიერი, თვითონ ღმერთსაც კი თვალებს აუბამს“... ამიტომ ნატრობს იგი: „მინდა მტრედივით ვიყო კეთილი, სიყვარულივით უბერებელი“.

პოეტს აწუხებს მტერზე უარესი მოყვრების გამრავლება, ვინც თავისუფლების სახელით თრგუნავს ჭეშმარიტ თავისუფლებას; სულს უგანგაშებს ისიც, პერანგმოცვლილი გველები რომ დაეუფლენ უსაზღვრო უფლებებს: „დღეს ამინდია არაკაცების, აქვთ საკუთარი ადლი და ნიხრი, წყალს სთავაზობენ მწყურვალს საცერით, მშიერს ქელავენ ფულიან წიხლით“. მართალია, შადიმანთა და კვაჭთა ალვირახსნილმა, უზნეო აღზევებამ პოეტიც ბევრჯერ ჩაწიხლა, მაგრამ მისი რწმენის ბუხარში ცეცხლი ვერასდროს ჩააქრო, სიკეთის მეგზური სიმღერა ვერ წაართვა, ვერც მომავლის იმედი ჩაუქოლა. ამიტომაც ვაჟა-ფშაველასეული სულის ვედრებით აღავლენს: „ამაცილე მგელკაცობა, აფთარივით აყმუვლება, იქნება მეც მოვიცალო უღრუბლო ცის საყურებლად“.

ჭეშმარიტი ქართველი მცირე იარასაც ვერ მოირჩენს, თუ შემწედ სამშობლო არ ეგულება, საქართველოს მზე თუ არ ათბობს: „მეც მიძოვია ლორთქო ბალახი, ფრთა დამილოცა შენმა არწივმა, სხვის ედემს მიჯობს შენი ტალახი, ტკბილია შენთვის თავის განწირვა“.

გიორგი გიგაურის ლექსებს მისი სულის გამორჩეული ტვიფარი აზის, თვითკმარი, მხოლოდ მისეული მეტაფორა, თან ხალხური სიტყვიერების აზრნათელობით ნასაზრდოები. ამიტომაც იკითხება ლაღად, ემოციურად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მომწონს პოეტის ბალადებიდან „საფლავში ჩაყოლილი საჩუქარი“, ხოლო პოემებიდან „ჭრილობა“ და „ლოცვა დედაზე“. ცალკე მინდა გამოვყო პოემა „კენჭები კამკამა მორევში“. ეს მიმაჩნია მწერლის ე. წ. სავიზიტო ბარათად, შემოქმედის სახელის ყურის მოკვრისას, უპირველესად ის ერთი, გამორჩეული ნაწარმოები რომ გაგახსენდება.

გიორგი გიგაურის პირველი ნაკალმების მომნათლავი, ასე ვთქვათ, მირონის წამცხები, გიორგი ლეონიძე, ლექსის შესაქებად იტყოდა ხოლმე, ბედაური სიტყვებით არის მადლცხებულიო. აქ ეს იმიტომ გავიხსენე, რომ გიორგი გიგაურს პოეტური აზრის გასაქროლებლად, საოცარი შთაგონებით, მრავლად ჰყავს გახედნილი და შეკაზმული ბედაური სიტყვა, ემოციურობით დამუხტული, საამო რიტმის და აზრის შერწყმით ჰარმონიულად რომ მიღელავს და მთელ პოემას შეუსვენებლად გაკითხებს. თავს ვერ ვიკავებ, რომ დასაწყისი მთლიანად არ ამოვწერო:

**— თქვი, უტკბილესი რა არის ქვეყნად?**
**— ბევრი რამ...**
**— მაინც?**
**— პირველი — დედა.**
**— მერე?**
**— გონიერ ქალწულთან შეყრა,**
**რომ გაგიმართლოს მომავლის ბედმა.**
**აკვნიდან შვილის ღიმილი ნაზი,**
**ულვაშზე ხელის წაპოტინება**
**და სტრიქონებში ჩაღვრილი აზრი,**
**ადევნებული ფიქრთა დინებას...**
**— კიდევ?**
**ჩამოთვლას ნუღარ დავიწყებთ,**
**თორემ საუბარს ვერ გავათავებთ,**
**ტკბილს და უტკბილესს რა დამავიწყებს,**
**ან ამ სიკეთის წმინდა სათავეს —**
**მამულს მტერი რომ არ გეცილება**
**და მუდამ ხმალზე არ გიდევს ხელი,**
**არ შეეჩვევი სხვის მორჩილებას**
**რასაც თვლი შენად,**
**შენია, შენი“.**

ეს თავისებური აღიარებაა, რატომ მოდის ადამიანი საწუთროში, რა არის სამზეოში მისი ყოფნის მთავარი მიზანი. ეს აღსარებაცაა, ერთდროულად უფლისა და ცა-მიწის გასანდობად... და არის ანდერძიც — თუმცა შვილებისა და შვილიშვილებისათვის განკუთვნილი, სხვებმაც რომ გულზე დაიბეჭდონ: „ვინ იცის, ვის რა ეწვევა ბოლოს, ტკბილს მწარე მოსდევს, ტირილს — სიცილი, თუ გაუღიმე ფლიდსა და ბოროტს, ხელში შეგრჩება მხოლოდ სიცივე“.

ვის არ მოუკრავს თვალი, კამკამა წყლის ფსკერზე კენჭები ფერადოვნებით რომ ანათებენ. და წამიერად მოხიბლულს გვერდით ჩაუვლია, პოეტის თვალით დანახული ლამაზი კენჭები კი სიწმინდისა და სიკეთის სიმბოლოდ აღიქმება. ისინი ხომ მღვრიე მორევში არასდროს ჩანან და კიდევ, ვისაც სუფთა ხელები არა აქვს კამკამა წყლიდან ამოსაღებად, მათ არც უნდა წაეპოტინოს. ეს კენჭები ხომ ჩვეულებრივი არ არის, ქვეყნის გადასარჩენად განწირულ წინაპართა დატოვებული სიკეთის საუფლოს გამოხატავენ. ამ კენჭებად მამა-პაპათა სულები ქცეულან წმინდა სულებად.

ასევე ანათებს პოემაში ის აზრიც, რომ შურიანობად არ მიიჩნევა მამის სურვილი. მისმა ნაშიერმა ყოველ სასიკეთო საქმეში თანატოლებთან რომ იპირველოს, უბრალოებით მტრედის სიწმინდე სიყრმიდან სიბერემდე შეინარჩუნოს, თან მუდამ ჰქონდეს ძალა ბალახისა, თითქოსდა სუსტი ფესვებით კლდესა თუ ასფალტს რომ ამოარღვევს მზის საყურებლად.

აქ კვლავ გაისმა ნაშიერისადმი ვედრება: დალოცოს სხვისი სავარდეც და მადლი შესწიროს წინაპართა აჩრდილს, კენჭთა საუფლო რომ დაგვიტოვეს: „მიწიერებამ გაგაძლიეროს, ნუმც განახავ დაღლილს, მჭმუნვარს და მგლოვარს, სიკეთისათვის სამაგიეროს შენ ნუ მოითხოვ, ის თვითონ მოვა... ზომავ ნახტომს და შეხარი ირმებს და იმათ კვალზე გაყოლას ცდილობ. შენზე უკეთესს ინატრებ ვინმეს? მაშინ — შვილები, შვილები, შვილო!“

აი, ეს არის საწუთროს ჭეშმარიტი ფორმულა.

მე ისღა დამრჩენია, სიკეთის მაძიებელ პოეტს მკითხველის გულისაკენ მიმავალი გზა-ბილიკები დავულოცო!

**აკაკი გეწაძე.**

## გიორგი გიგაური

### თურდო

— ასე პატარა მდინარე არის,
როგორ მორეგვა ამდენი ქვები?
— ადამიანებს გვატყუებს თვალი
და ხშირად, ხშირად საოცრად ვცდებით.
ჩვენ პატარაში ვერ ვხედავთ ძალას,
შევაქცევთ ზურგს და დავტოვებთ ცალად.

1957

### ირემი ტყვეობაში

ნაღვლიანი და ქედმოდრეკილი
მიწას დაჩერებს წყლიან თვალებით,
წინ აღმართულა რუხი კედელი,
მაღალი, ცივი, მიუკარები.
გაოგნებული ქარი ღაღადებს:
— ეს ჩემი ტყვეა,
და ჰა, დახატე!
— დავხატო?
ცოდვას რა ვუყო მერე,
არც ცური აქვს და არც ფეროვნება,
წაართვეს მთა და წაართვეს ველი,
აბა, რაღაა მისი ცხოვრება!
არც იცის ეშხი მევირალობისა,
აქ მოიყვანეს თურმე ყრმობისას...
ქარი ბობოქრობს:
— დახატე მაინც,
როგორ დასტირის დაკარგულ ხალისს,
რა ვუყოთ, არ აქვს ხალები შავი,
ტყვესა და მონას რად უნდა ხალი...
— რა ადვილია თქმა და ბრძანება,
როცა არც გიყვარს,
არც გენანება.
დავხატო?
ცოდვას რა ვუყო მერე,
რა ვუთხრა ხამგორს,
გომბორს,
მახათას...
ის დაუბრუნეთ მთებსა და ველებს
და იქ ბუნება თვითონ დახატავს.

1964

### აღსარება

გამაგულადე, როგორც კვირია,
და ჩემი ჩანგიც შენვე მომართე,
შენ ჭერქვეშ,
რაღა გასაკვირია,
ვიმღერო სულის ამოხდომამდე.
მთებზე გამკიდე ცისარტყელებად
და ჩამაფინე ხევში ნისლებად.
გავუძლებ ქარის ამოხვეულებას,
გული არასდროს დაიისრება.
გინდაც მისროლე თერგში ლოდივით
ვერ გამახელებ ერთგულს და მორჩილს,
არ მეშინია ამ მოლოდინის,
ვარ შენი სისხლი და შენი ხორცი.
ჩემი სხეული მაინც აღსდგება
შენი სითბოთი და შენი მადლით
და სიყვარულის გასანაღდებლად
კიდევ ვიპოვი დროსა და ადგილს.
მე გავაღვიძებ ქარაფებს მძინარს,
შენმა სიმაღლემ თუკი ინება
და არ დავრჩები გაწყვეტილ სიმად,
არც დაკვეხნებად,
არც დაპირებად...
გულისთქმა ლექსში ვერ ჩაეტია,
სიტყვამ მყინვარი ვერ გადალახა,
ნუ დამიწუნებ სტრიქონს სევდიანს,
დიდ სიხარულს ხომ სევდაც თან ახლავს.

1969

### ბედის ტრიალი

მამისეული ქვიტკირის ქვა ვარ
ასჯერ ნახმლევი და ნაშუბარი,
მოვდივარ,
ვღელავ,
ხეიბარს ვგავარ
და მელოდება ჩემი უბანი.
და მიადვილებს მუხლის გამართვას
დახავსებული მწკრივი კიბეთა,
საგვარო ციხე ვერვინ წამართვა,
ვერც გადათელვა ვერ გამიბედა.
დამღალეს...
მაინც რწმენით მოვდივარ,
ასეთი არის ბედის ტრიალი,
ბებერი ციხის ერთი ლოდი ვარ,
ასჯერ ნახმლევი და ნატყვიარი.

1974

### თავის განწირვა

დააგვიანდა გამოდარებას,
სიკვდილი დადის სისხლიან თასით,
განა სიცოცხლე დაგენანება, —
თავის განწირვას არა აქვს ფასი.
შენს გაკეთებულს არავინ ხედავს,
ვიღაც აფუჭებს,
რასაც აკეთებ,
ვერ გაუკვალავ ქარაფებს მხედარს
და ვერ დაპირავ სასნის–საკვეთელს.
გღალატობს,
ჭერს რომ უყოფდი გუშინ,
თანაც გიგინებს სალოცავს მდუმარს,
მახვილს შურისას გაგიყრის გულში
და გაოგნებულს გაგწირავს უმალ.
ფულის გულისთვის შეეკვრის ვერაგს,
ფულია მისი ცხოვრების სარკე,
მერე მოძებნის
ქცეული გველად,
უცხო მხარეში გასამრობ სარკმელს...
ნააკვნარს შენსას ყორანი აზის,
შენი გზაწვრილი ისევ გზაწვრილობს,
თავის განწირვას არა აქვს აზრი
და თავი მაინც უნდა გაწირო.

1994

## მსოფლიო შტრიხებში

### „მოგზაურობა ფანტასტიური იქნება“

ასეთი რეკლამით შეაცდინეს პეტერბურგელმა თაღლითებმა ასობით თანამოქალაქე და საკმაოდ დიდი თანხა გადაახდევინეს ტურისტულ საგზურებში, რათა ემოგზაურათ თავისი ბუნებითა და ხალხით გამორჩეული გასაოცარი ლომის რესპუბლიკაში — ეგზოტიკურ პატარა კუნძულზე მდებარე თავისუფალ სახელმწიფოში. ჩრდილოეთის დედაქალაქში გამოკრული რეკლამის მიხედვით, ეს „ამქვეყნიური სამოთხე“, თითქოს, კუბასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მდებარეობდა (შემდეგ ამაოდ ეძებდნენ ასეთ ქვეყანას რუკაზე).

ასეთი „ფანტასტიკური მოგზაურობისათვის“ თითქმის 150 ათასი დოლარი რომ დააგროვეს, ფირმა თავისი თანამშრომლებით უვნებლად და უკვალოდ გაქრა.

### მართლა ჰამბურგერის ბრალია?

შეიძლება ძნელი დასაჯერებელი იყოს, მაგრამ ცხოველთა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა ჰამბურგის სა-



ქალაქო ხელისუფალთ, სახელი შეუცვალონ მათ ქალაქს და ამიერიდან უწოდონ... ვეგეტარიანბურგი, რათა „პროპაგანდა არ გაეწიოს საბრალო ცხოველების ხორცის არაჯანსაღ ჭამას“.

რასაკვირველია, ამ გერმანული ქალაქის თავკაცებმა, ისინი კი ამაყობენ იმით, რომ 1812 წელს სწორედ აქ „ჩაეყარა საფუძველი“ ამერიკულ ეროვნულ კერძს – ჰამბურგერებს, მოკრძალებული უარი უთხრეს ცხოველთა თავგამოდებულ დამცველებს.

### მორცხვი სპილოები

თურმე ნუ იტყვით და, ცხოველთა შორის ყველაზე „წესიერნი“ სპილოები ყოფილან. მათ ძალზე განვითარებული ჰქონიათ სირცხვილის გრძნობა, ამიტომაც ინტიმური ურთიერთობა მხოლოდ მოფარებულ ადგილას აქვთ. შემდეგ ისინი მდინარეში ბანაობენ.

სპილოებს შორის არ ხდება ცოლ-ქმრული ღალატი და არც სატრფოს „გულის მოსაგებად“ იბრძვიან დაუნდობლად.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 129, ორშაბათი, 19 მაისი, 2003 წელი.

## მოთხრობა

მედეა კახიძე



მე როცა მზიას შევხვდი, უკვე ხნიერებაში იყო შესული და განიადაგებულად მზეზე დგომით კეტი ჰურივით ჰქონდა სახე დაპრანჭული. მამიდისაგან მემკვიდრეობით მიღებულ სახლ-კარში ჩამოსახლებულებს ბაღ-ვენახისა არაფერი გაეგებოდათ და დედაკაცობა ცოლ-ქმრის ჯორივით ყბებს იდებინებდა: მზაჭამია ქალაქელებს ღმერთმა გადმოხედა, ღუმასავით სათლელი მამული, მუქთად ხელში ჩაუგდოო, სიმინდსა და მალაფას, ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ, სიმინდს ძირში ჭრიან, სარეველას კი მიწას უთოხნიანო, სანიორე საბოსტნეს მარგში ნარავენ, ის მაინც არ გაუგონიათ. — „ნიორმა თქვა, გიორგობას ჩამასწარი, თიბათვეში ამომასწარიო", რა ლარი და ხაზი უნდა მიხვედრას, ლობიო თუ პარკიდან ცვივა უფრო სამურო, ვიდრე თივის დამზადებაო, ლობიო მიწაში ჩაიხნევა და ბალახს წვიმა კიდევაც მოუხდებაო, მაგრამ წინდახედულობა აკლიათო, ისე კი, ძვირს ვერ ვიტყვით, ცოდო-მადლის მიმდევრები არიან, ცუდის მომქმედები არაო! — პირველ ხანებში, ცოლ-ქმარი თვალში ამოიღეს, ჭირდებს და კლვას არ აკლებდნენ, ყურდაცქვეტილები დარაჯობდნენ, შარაზე დადიოდ და გაეხიახებით, როცა დარწმუნდნენ სიღარიბე მოძალებული ახალმოსახლეები სინდისიერების განმსახიერებლები იყვნენ, გული მოუბრუნდათ, ყბაღიებმა და მოშურნეებმა ყურები ჩამოყარეს: — რა მაგათი ბრალია, რომ ასფალტზე გაიზარდნენო, ნელ-ნელა მკრეხელურ წამოძახილებს უკლეს, ცოლ-ქმარი გაითავისიანეს და საერთო ფერხულში ჩააბეს. ბევრის მქონენი არ იყვნენ, სულ ძველძვულები ეცვათ, სანახევროდ მშიერი მუცლით აღამებდნენ, მაგრამ, ასე თუ ისე, ოჯახი მაინც მოაშავშავეს — მზიას უგუნებოდ ვერ ნახავდი, ვერ გამეგო არაფრად აგდებდა, თუ ვერ გრძნობდა სისაწყლეს, ისეთი მომღიმარი სახე ჰქონდა, იფიქრებდი ღვთის წყალობით ყელთამდე სავსეაო. მიუხედავად იმისა, რომ მალე დაქვრივდა, ყოჩაღად იყო, ყველას ჭირისუფლობდა, მაგრამ მე გამორჩენებით ვუყვარდი, ყოველდღე ეკითხებოდა დედაჩემს — გოგო რამდენ ხანში ჩამოგივაო, გამოცდებს როდის ამთავრებსო, ზეპირად იცოდა რომელ რიცხვებში ვაბარებდი საგნებს და რა ნიშანს ვიღებდი: — სიპიანში ძუძუ მაყვალი მაქვს შეგულებული, დაკრეფას იმას ვალოდებ, უნდა ვასიამოვნოო! — პირთამდე მოლიცლიცებულ კალათას მოიტანდა და ღიმილად ნაქცევი წინ დამიდგამდა — როცა ალბომში ჩაკრული მისი ქალობის სურათები ვნახე, თვალებს არ დავუჯერე, ხელები მაღლა ავაპყარი, ადამიანის ასე გადასხვაფერება თუ შეიძლებოდა ვერ წარმოვიდგინე: — ჭკუის დამაბნელებელი სილამაზის ყოფილხართ! ვუთხარი გულაჩუყებულმა. თვალები აეცრემლა: — მელანოს ვერ ვაჯერებო, ჰგონია დედის მუცლიდან ასეთი დავიბადეო: — შენ კი მომიკვდიო! შენ სილამაზის რა გეტყობაო! დაუდურდურებდა მელანო ქალს: — რაო, დამჭკნარი ყვავილი არ გინახავსო, თავს ჩაკიდებდა მზია: — ნეტავი მეც მიწის პირისგან ავგვილიყავიო, როცა დედაჩემმა დამაობლა, ამდენ წაჯექ-უკუჯექიაობაში სული ან როგორ შემრჩაო! — მელანოს ისიც არ სჯეროდა, რომ თბილისში დაბადებული და გაზრდილი იყო... რანაირი ქალაქელი ხარ, თბილისში წასული და ჩამოსული არ დამინახიხარო. — დედაჩემის ფეხმა პანჩურამოკრული გამომაგდოო, ვიღასთან უნდა წავიდეო! კირკიტი კაკალივით გულგაუტეხელი მელანო დაუტატანებდა: — არ უნდა შეპუებოდიო, ძაღლი ხომ არ იყავი, ჭიტლაყი ამოაკვრევინეო, რატომ წინ არ გადაეღობე, ტლინკები არ შეუყარეო! მეხი და მედგარი კი დავთხლიშე შენს დედინაცვალს თავშიო, იმ მიწაში ჩაუშვებელსო, — მამაჩემის სიცოცხლეში ენადათაფლული მეგურგურებოდა, დახუჭა თუ არა თვალები, თავი აიშვა: — შენ ვის დაკარგვიხარო, რა ჩემი სისხლი და ხორცი ხარ შეგინახოო, ერთ ყოფას მაწევდა, იქ აღარ დამედგომებოდა, ან კი როდემდე ვყოფილიყავი დაუბინავებელიო — ამოიგმინებდა მზია — შენს ადგილზე სინდისზე ხელს ჩავიქნევდი, ბედს ქედს არ წავუხრიდიო, შეშინებული და გაცბუნებული არ გავეცლებოდიო, მამის ქონებას არ დავუთმობდიო, იმან თუ მიმტრო, მეც ვუმტრობდი, მკვდარ კატასავით ღობის იქით გადავისვროდიო, ადამიანი ზეარსება არ არის, ცოდვა არ ჩაიდინოსო, მწლაკე ენას მოუქნევდა მელანო — ქორწილის ჩაშლის მერე, ფიქრის ღივი გამიწყდა, დარდმა პირაღმა დამცა, თავის პატრონობა ვეღარ შევძელი და თავს შევნანოდიო, გამკითხავი არ გამომიჩნდა უგარეშოდ და უმახლობლად ღამურასავით თავქვე დაკიდებული დავრჩი, მას მერე, იქ ფეხი აღარ გამიწაწანებია, თქვენს მონაგარს არ ერგინოს, რაც მე მომერგინაო! დარდმა ნაადრევად იცის დაბერება, ახლა რომ ზედ არ შემეხედება, განა სულ ასეთი ვიყავიო, ძველისეული სილამაზის ნასახიც არ შემრჩაო, ისე დავფშატდიო, არც მე ვიყავი შატა-ბუტა და არც ის იყო ზერელეო, კეთილაღნაგიც იყო და გულიც საყოჩაღოდ მიუწევდაო, თავიდანვე ნიშანში ამომიღო და აღარ დამეხსნაო, მელანო აიპრუწებოდა და ზურგს უკან ჭორავდა — ალბათ ვიღაცასთან ფეხი მოუცდა და ამისთანა ჩანჩურას იმიტომ მისცესო! — მელანო კეთილი იყო თუ ავი, ვერ მიხვდებოდი, ლუკმას პირში არ ჩაიდებდა, პირჯვარი არ გადაეწერა, ოთხშაბათს და პარასკევს სამარხო ინახავდა, პურს ხელით გატეხდა, დანას არ მიაკარებდა და პირაღმა დაალაგებდა მოწიწებით, შურიანი იყო, მაგრამ ცრუმორწმუნეობა უბიძგებდა სიკეთეც ეკეთებინა, ღონიერი ოჯახის პატრონი მელანო მზიას ზემოდან დამჩერდა და ეტრაბახებოდა: — ჩვენები სამხრის სამხარსაც ჭამდნენ, მზითევში დიბის საბნები გამომატანეს, საფერე დეკეულები გომში არ ეტეოდნენ, მამაჩემი პურის დიდ ხვავს დააყენებდაო, მარანში შაბი და მარილი გორა-გორა ვეყარაო, დედაჩემი თავშაქარს მიყიდიდა და პირს ვიტკარუნებდითო, — იშვიათად მინახავს ქონებაზე ისეთი დახარბებული, როგორც მელანო იყო. მეზობლებში თავმოხვეულ ჯამფილა ფქვილს ისესხებდა, უკან გასილაეებულ მიუბრუნებდა, მაგათ ბევრი აქვთო. ნათხოვარის უკან მიტანა არ იცოდა, მოურიდებლად ამბობდა: — დაჭირდებათ და თვითონვე წაიღებენ. მთიდან ჩამოსულ ყველის და კარტოფილის გამყიდველს წინ გადაუდგებოდა, ფასზე შეუთანხმდებოდა, ნარდად აღებას შეპირდებოდა: — ან ცხენი რად უნდა მოგლალო, ან საარულით ფეხები რად უნდა ჩამოიწყვიტოო! შეეჩეტებოდა და ისეთ მცირე საფასურს შეაპარებდა, გამყიდველი წამსვე ცხენს შემოაბრუნებდა, მელანო გასასვლელ კარს ურდულს გაუყრიდა, გასაღებს ჯიბეში იტაკებდა და დაიმალებოდა. მთიელი გინებას დაიწყებდა, საქონელს გაიკრავდა ხელს, მაგრამ მელანო იმდენ ხანს ეჩალიჩებოდა, მაინც ევვებს შეაბამდა, ფასზე დაითანხმებდა და თამამს ყაიმით დაამთავრებდა. გუდებს სახელდახელოდ ჩამოახსნევინებდა, წყალნარევ არაყს შეაჩეჩებდა, და გაისტუმრებდა. თუ მასწავლებელს დაბალი ნიშნის დაწერაზე ხელი წაცდებოდა გამოშუპრავდა: — ჩემს შვილს ვინც ქვეშქვეშობას დაუწყებს, არ მოვუფოლორცებ, ყელს გამოვჭრი შავი დანითო!..

— შენი შვილის ჭკუის დამრიგებელია, ამაგს წყალში ნუ გადაუყრიო — კიცხავდნენ მელანოს, — სალამს რომ ვაძლევ მადლობა მითხრასო! — შვილს წყალზე არ გაგზავნიდა, წყაროზე ახალ ამბებს ვიგებო და მაგ სიამოვნებას არ მოვიკლებო. ენამრუდობიდან შორს იყო, მაგრამ უნდოდა თუ არ უნდოდა, წამოსაცდენი წამოსცდებოდა: — ცოტა შექანებულიაო! — კილავდნენ ზოგ-ზოგები. ნართაული ლაპარაკი უყვარდა: — ეს ისაო, ეს ესაო, ზოგიერთი დროის მიმყოლია, აქეთაც არის, იქითაცო! — ვისზე ამბობო! — არავისზეო, ჩემთვისა ვთქვიო! მუქთად ნაშოვნი ფული კაცს აღორებსო: — ვის გულისხმობო: — არც არავისო! ურა პატრიოტები მეჯავრებიანო, თავისუფლებაზე რომ გაკივიანო და სიმდიდრის დაგროვებაზე ოცნებობენო, თავისუფლება იმისია, ვისაც ბლომა ფული აქვსო: — ეს ვიღააო! — ისე წამომაგონდაო! პირველყოფილურად მიწურ-იატაკიან ჯარგვალში აცხოვრებდა ქმარი, ახლა რვა თვალიან ოთახებში დაჭენაობსო! იტყოდა გულმოსული: — ვისზე ამბობ ქალო, აღარ იტყვიო? — თქვენც კარგად იცითო, კოოპერატივის ფულებს ვინა ქაფავსო! — თვითონ უნდა მიხვედრილიყავი მისახვედრს! — ენაზე ნიადაგ საკიცხველსაგმობელი სათქმელი უგორავდა, ვიღაც, სადღაც რომ ცხვირს დააცემინებდა: — მეხი და მედგარიო, — ჩაიდუდუნებდა: — კეკლუცას მეძახდნენ, — სიტყვას ჩამოართმევდა მზიას, ენა და პირი ვერ მოთვლის, რაც მე მაქებლები მყავდნენო, მაგრამ ადვილად არ ავცეტებულვარო, სხვებივით გალესილი სახით არ დავდიოდიო, ბიჭები თვალებით მჭამდნენო, ნათქვამია თავისი ქორი ყველას გამოუქროლებსო, ჰოდა მეც ჩემმა კაცმა მომიგდო ხელთაო! — მელანოს ბუხარივით პირი სულ ღია ქონდა, მზიას ლაპარაკს არ აცლიდა, ისიც არ სჯეროდა, მზია დოვლათიანი დაძინებული ოჯახის სასძლო რომ იყო და საქმროს თავი დავიწყებული ჰქონდა და მის გზაზე იყო გამოკიდებული, — მელანო ზარმაცად დაამთქნარებდა და წამოტყვრებოდა: — რასაც გვიყვები, თავს ბოლო არ ებმის და ბოლო თავსაო, ტყუილები ვერაფერი შვილიაო, თუ გული უფეთდებოდა, თავი რატომ მიგანება და ქვა-ღორღი მოგაყარეო! მზია წყენას გადაყლაპავდა და გულმდუღარედ იტყოდა: — ზოგჯერ წუთისოფელი დღეს სწორედ არ გაათენებსო, თავმოსაწონარი დიალაც მქონდაო, უწუნარი გოგო ვიყავი, თვითონაც ყოჩი ბიჭი იყო, მტკვრის პირზე ჭიდაობა რომ გახურდებოდა, მეტოქეს წრეში შესვლისთანავე ჯვარედინი ჩოქელა კისრულით წამოიღებდა და გვერდულად მიაწვებოდა, გულზვიადი არ იყო, მორცხვულ თვითონვე გაუწვდიდა ხელს და წამოაყენებდა, — დამინახა თუ არა, იმ წუთსავე თვალი წაუგორდა ჩემზეო, მზიას არ მაშორებდა: — მეუბნებოდა რაგომ, შენს მშვენიერებას არ აფასებო, ვინც გაწყენინებს ცხვირ-პირს ამოვუბეგვავო, ოცდაექვს მაისს თეთრ ბედაურზე ამხედრებული რომ ჩამოივლიდა, ლამის გული ჩიტივით გამფრენოდაო. — იმდენ ზღვა ხალხში მომძებნიდა და თვალებს ერთი ვერსიდან შემომაფეთებდა და ქუდს მომიხდიდაო! დიდი უფლებების პატრონი იყო, არც ჩინი აკლდა და არც შესახედაობა, ცოტათი ენა ებლაგვებოდაო, მაგრამ ენის მოკიდება კიდევაც უხდებოდაო. მისი ტკბილმოუბრობა ახლაც ყურში ჩამესმისო, სულ იმას მეუბნებოდა: — ჩემი მაბედნიერებელი შენა ხარო, თვალის გასწორების ნუ გრცხვენიაო, თამამად შემომხედეო, ვისაც ულოცია, ჩემთვის ულოციაო, ჩემს მიკერ-მოკერებულ ბედს რა ვუთხარიო, როგორც კი წითელი არმია შემოვიდა და მენშევიკურმა მთავრობამ იარაღი დაყარა, აღარც იმას დაედგომებოდა აქ და თეთრგვარდიელებთან ერთად ბათუმიდან გემით საზღვარგარეთ გაიქცა! მელანო ნაყე-ნუყად ამომარცვლავდა:

— ეგ არ გაამხილო, რომ თეთრგვარდიელს ყვარობდიო, თორემ თავს ძირში მოგაჭყმენტავენო.

— განა სტალინის დროა, უპირული და პირიანი კედელთან ცხვრებივით მიაყენონ და განუკითხავად ამოხოცონ, ახლა ამინდი შეიცვალა — ბევრი გადახვეწილი უკანაც დაბრუნდაო:

— როდინობის კვირაში შენც ჩამოგივაო, ამისთანებიც და ამაზე უარესებიც მომისმენია! კარგი სიზმარი გინახავს და კეთილად აგცხადებოდესო, ვერაფერი ჭაშნიკია შენი აჭიაო! — წვერმახი სიტყვით გულს ატკენდა მელანო მზიას. პირს ტყუილად აღებ ნაპირზე გამოგდებული თევზივით! მეხი კი დაგაყარეო! — მზიას სათქმელი ენაზე შეაშრებოდა და გამტკნარდებოდა. მელანოს ზოგჯერ შერცხვებოდა და მოეფერებოდასავით:

— რას იცხვირებიო, რასაც ვფიქრობ, იმას გეუბნებიო, ბიჯგებშეუყენებელი ნალოსავით ერთბაშად მუხლებში რად ჩაიჩოქეო, ფოთოლიც კი მიიბრძვის ქარში და შენ თავი რატომ დაიჩაგრე და ხელ-ფეხი არ გაანძრიეო! — დაუტატანებდა მელანო: — ომს მე როგორ გავუმკლავდებოდიო, გარემოება შეგვეწვერაო ისეთი, ჩემი ნებიერობა ტალახში აილუფხაო, მეოხი და პატრონი რევოლუციამ ხელიდან უცებ გამომაცალა, ბევრი უძილო ღამეები შევახარჯე ფიქრს და დღესაც ვერ მივმხვდარვარ სამსჯავრ-დასადები რა ჰქონდა ყველას მწყალობელს და ხელმადლიანს, — უზნეო ავაზაკის სახელი რომ დაუგდესო და სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს, წინდაუხედავად არაფერი მოუმოქმედებია და არც მისი ნავნები არავინ მინახავსო, ჭიდაობასაც კი თავისი წესი აქვს, გამარჯვებული დამარცხებულს ხელს გაუწვდის და წამოდგომაში მიეშველება, ესენი კი მიდგნენ და რუსული ჩექმით ზედ გადაუარეს მართალსაც და დამნაშავესაცო.

— წყევლა მოგხვედრია, თვალყბა დაუდგამთო შენთვის, რატომ არ შეალოცინე, ავთვალის ჯადოს დაღწეოდიო! არ ეშვებოდა მელანო, ქალები მზიას მიუდგებოდნენ და ისიც გულმიცემული გააგრძელებდა: — შენ რაც გინდა თქვიო, დიდი ხნის შეთვალიერებული ვყავდიო, თავისთავს ვერჩიე, არ ვიცი, რა თვალზე შემომხედაო, გაუნაწყენებლად ამბობდა მზია, სხვები ვერ დაგედრებიანო! გვერდით ამომიყენებდა და ჩემით თავს იწონებდაო, საკვეხურად ვყავდი, დედამთილი თაფლად მადნებოდაო.: — დიდი დღე მოგცეთ გამჩენმაო, თქვენ კი შემოგევლეთო თავსა სანთელ-საკმეველადო, კარგი გვარის ქალი ხარო, ძარღვებში კეთილშობილი სისხლი გიდგასო! — დამხვდურებიც კარგად დამხვდნენ, ნიშნობა დღეს დიდძალი ნათესაობა შემოკრბა, თავზე გადასაგდები და შესაწევნელი ბლომად დამაყარეს, დედამისმა თავი მოიქაჩლა, რა არ მომართვა, ოქრომკედის სარტყელიც კი შემომარტყაო, ოქრო დრო იყოო! ატირდებოდა მზია.

— ახლა რაღამ დაგლია დანის პირივით! თუკი ასეთი მზეთუნახავი იყავიო!

— თავი ნუ წაიღეო, შენი შიშით ქალს პირი ვერ დაუტოკებია, გადმოუხტები და რქებით დაეტაკებიო, წაეშველებოდნენ მზიას: — შენ რომ წინა კბილების, ადგილზე ღრძილზე ძროხასავით წითელი კანი გაქვსო გადაკრული და ძლივს იცოხნი, ქალობაშიც ასეთი იყავიო.

— გოგრის თესლივით ჩაწიკწიკებული კბილები მქონდაო, კაკლიდან ჩამოვარდი და ჩავილეწეო, ფული მოგროვილი მაქვს, ჩავისხამ და ისევ ის მელანო ვიქნებიო, — ადამიანი უცხვეთელი არ არის, თვალიც უცვდება და გულიცო, მას მერე ვეღარ მოვიკეთე, ეგ არის, რომ პირში სული მიდგას და ცოცხლად ვითვლები, ჭირნაღველი ვერ იქნა და ვერ გადავიყარე; ცულით გაპობილ შეშას შუაში სოლს რომ ჩაუდებ, ისე მაქვს გული ორად გაპობილიო, სათავე თავიდანვე ამემღვრა და ჩემი მზეც მაშინვე ჩაესვენაო, ამოიკვნესებდა მზია: — მიტომაც დაფარფატებ შემფრთხალი ფოთოლივით და ტანზე ფიტი ველარ მოგიკვრიაო, როდის ომი იყო და ბუკნაღარა, რაღა დროს ვიშვიში და თავში ცემააო! ეგ ტყუილი დაგძველებოდეს და სხვა ახალიცაო, დომხალივით ურევ ყველაფერსო. სჯულამდე ჩაყვებოდა მელანო:

— შენ თუ ყურისგდება არ გინდა, იქითაც გზაა და აქეთაცო, გულს მოაყვანინებდა ქალებს, — მზია ვედრებით შემოგვხედავდა: — მოკეთეები რომ არ გამომჩენოდით, სულს ვერ მოვიტანდი აქამდეო, მას მერე თავი მებრალვის, აღარც თვალმშვენიერობას ვჩემულობ და აღარც ოჯახის შვილობასო.

— ასეთი ვარდის მკრეფელი რაკი ყოფილხარ, უღონოდ არ დაგაგდებს, ჩამოგივა, როცა ვირი ხეზე გავაო! ისევ წამოეჩრებოდა მელანო: — შენ, ჯერ ღმერთი არ გადაგდგომია, ოჯახში სიმწარე არ შემოგსვლია და თალხები არა გცმიაო, თქვენს ეზოში შავი ფერისა მხოლოდ დედლები დაგიდიან, სხვაფრივ გლოვის კაბის სიმძიმე არ გამოგიცდიაო, ღმერთმა ქნას ბოლომდე ფერადში დაბერდეო! გულს ამოიგდებინებდა მზია, — ლამაზი ზღაპარივით ვუსმენდით მის სევდიან თავგადასავალს და სიმწარენარევი ღიმილით შევყურებდით მზიას. მელანოს არ მოსწონდა ჩვენი გულაჩუყება და მკვახე-მკვახეებს ისროდა: — ძალიან დაზარალებულხარ, დიდ ხიფათქსელში გაბმულხარ, ოცნებები ხელში ჩაგფშვნიაო, შენ კი მომიკვდი შენაო! რომ ყვარებოდი, ეგრე უამბოდ არ გადაიკარგებოდაო.

მზია შებეზრდა მელანოს გადამეტებული კინკლაობით, ერთ დღეს გულმოსულმა ახადა ზანდუკს თავი და ხანგრძლივი დებისაგან ჩაყვითლებული თეთრი მარმაშებიანი საქორწინო კაბა ამოახედა: ჩემი ნიშნობის მერე დღეს პირველად ავხადეო თავი კიდობანს. თითებზე ჩამონათვალი თვეები ვაწვდენდიო ცას ხელებს, ფულსა და ღონეს არ იშურებდა, ჩემთვის გაჭირვება დაევიწყებინაო, შეხრილი წარბით არ შემოუხედავს და ახლაც თავს შევნანიო — ამაზე მეტი მოწმე და პირში წამყენებელი რაღა გინდაო! ავუყვირდით მელანოს, მზიამ ზანდუკი დახურა და ამოიკვნესა: — ვაი, შენ ჩემო თავოო. — ვაი შენა და თხლეო, როცა საპატარძლოდ მოირთვები, ქორწილში მე ნუ დამიძახებო, მოცლილები ვართ და გვართობო! აუტყდა მელანოს სიცილი და აღარ გაჩერდა. როცა მზიამ მარტო დამიგულა, მითხრა: — არ დამცინო და გამოგიტყდები, ის ბიჭი სიზმარში, ახლაც მეცხადებაო! — მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ მზიას სიზმარეული გამოცხადება სულ მცირე ხანში ახდებოდა.

ორმაისობას მელანო წყაროზე მიუვარდა მზიას ქაქანით: — უცხო კაცები მიადგნენ შენ სახლს და ლამის კარები ბრახუნით ჩამოიღონო, მგონი კაგებეს თანამშრომლებს გვანანო! მზიას კოკა ხელიდან გაუვარდა და ადგილზე გახევდა, მელანომ ბილიკს გახედა და უფრო აფაციფუცდა, — გადმოადგი ქალო ნაბიჯი, ვერა ხედავ აქეთ მოდიანო, რამ შეგაშინა, რა დაგიშავებია, რაზე უნდა შეგედავნენო. მოახლოვებული სტუმრების დანახვაზე ძალაჩამოკრეფილი მზია ბალახებში ჩაჯდა და თავი ნაგვალევი გვირილასავით ჩამოკიდა, მოსახვევში დაწინაურებული მელანო უკან შემობრუნდა, ფრიათით მივარდა მზიას და ფეხზე წამოაყენა, ქალს ფეხები ეხლართებოდა, ბალახებში იკეცებოდა და ენის დაძვრა ვერ მოეხერხებინა, როცა სტუმრები აღმართს შემოუყვნენ, მზიამ უმწეოდ შეანათა მელანოს ცრემლიანი თვალები და სლუკუნ-სლუკუნით ძლივს გამოასახელა: — ის არისო! ჩამოსულაო, ცოცხალიაო, სულგასუნთქმულმა მელანომ მზიას ხელები მიაშველა და სამყურებზე გადაასვენა: — საპამპულოდ თავი არ გაიხადო! გამაგრდიო! გონება მოიკრიფეო! წინ დაუცუცქდა მელანო ყინწგადაგდებულ მზიას.



მხატვარი
კარლო ფაჩულია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

— მიშველეო! მე იმას, ვერ დავენახვებიო, ასე მგონია, ღონე გამოცლილ მიწაზე ვდგევარ, საცაა ჩამერღვევა და თან ჩამიყოლებსო. ცოცხალი თავით, ასეთი გასაცოდავებული და ბებრის ბებერი არ ვეჩვენებიო, არ მინდა დაგლახაკავებული და ჩამოღლეტილი შევხვდეო, წადი მელანო, ღვთისმშობლის სალოცავს გაფიცებ, უთხარი მზია მოკვდა და მიწა აქვსო გულზე დაყრილიო, ღვთის გულისთვის შემეწიეო.

მელანო ყურს აღარ უგდებდა მზიას, დამრეცზე ჩარბოდა თავქუდმოგლეჯილი და უცნობებს რაღაცას გასძახოდა, უშიშროების თანამშრომელი შედგა, მიდამოს თვალი მიმოავლო, მერე აწრიალებულ ქალს ხელი გაუწოდა და უცხო კაცს წარუდგინა: — უცხოელია, ღირსშესანიშნაობის დასათვალიერებლად გეახლათ და გზად თანაკლასელის მოსანახულებლად შემოუხვიაო, მელანომ მზიას ხსენებაზე ხელები გაასავსავა და დამწუხრებული ხმით წარმოთქვა: — ერთი წელიწადი შესრულდა, რაც მზია ხელიდან გამოგვეცალაო! კაგებეს თანამშრომელი მიხვდა მისახვედრს და სახე გაებადრა, ასე იოლად რომ დააღწია თავი თავსატეხ საქმეს, უცნობმა თავი ჩაკიდა და ხელჯოხით მიწას დაუწყო ჩიჩქნა, თანმხლებმა პირმა საათს დახედა და მშრალად გამოაცხადა: — ჩვენს განკარგულებაში კიდევ ნახევარი საათიაო! სტუმარმა თავაუღებლივ თქვა:

— ხანი არ უწევდა და ასეთ ახალგაზრდას რა წაეკიდაო.

— სიკვდილი ჩაჩანაკს და ქალ-ყმას ვერ არჩევსო! გამოსცრა მელანომ და გვერდზე გაიხედა.

უცხო კაცმა ცილინდრი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაანაცვლა, მერე ისევ მარჯვენა ხელში დაიჭირა და ტრიალი დაუწყო.

მელანომ წარბები აძგიბა და წელათრეული ბილიკზე დაწინაურდა, უცხოელი სწრაფი ნაბიჯებით დაედევნა და მზიას სახლის გალავანთან ტანდაძაგრული შედგა, მელანო ღონის მოკრეფას ცდილობდა და ურდულს ზოზინით ხსნიდა. სტუმარმა დაზანტებული ფეხებით შემოუარა ბაღ-ბოსტანს, აივანზე ავიდა და ჩალის სკამში ჩაჯდა, კაგებეს თანამშრომელი ეზოში ბოლთის ცემას მოჰყვა და წამდაუწუმ საათს დასცქეროდა, უცხოელი ხასიათმტკიცე აღმოჩნდა, სწრაფი ნაბიჯებით თითქოს მტკავლობრივ ზომავსო ეზო-ყურეს, იქაურობას გულისყურით შემოუარა. მელანო წამოფეთებულ გულს ვეღარ იწყნარებდა და უცხოს შეფარვით ათვალიერებდა. იქნებ ბოლო წლებში გადაღებული სურათი მაჩვენოთო! თვალებში მუდარით შეაჩერდა სტუმარი მელანოს. ახალი არა მაქვს, მაგრამ ძველ სურათებს — მოგართმევთო, დაიშაქრა მელანო — არაო, მადლობთო, ძველი სურათები ბევრი შემომრჩაო! — მერე ჭოჭმანით წარმოთქვა: — საფლავზე წამოყოლას თუ არ დამზარდებით, დიდად დაგიმადლებდითო, მელანომ უარაქათოდ ჩამოუშვა ხელები, მზია თბილისში, კუკიაზე განისვენებსო საგვარეულო სასაფლაოზე დედმამის გვერდითო. მაშასადამე, ვერც საფლავს ვნახავო, გულის დათანღრებით ჩაილაპარაკა, ხვალ ადრიანად მივფრინავო, ერთხელ კიდევ მიავლ-მოავლო თვალი შემოგარენს, მელანოს ხელზე ეამბორა და ფეხათრეულმა ჭიშკარი გაიკეტა.

მელანო აქეთ-იქით ეწყვეტებოდა: — გამიხმეს ენა და პირიო! ცის ბორბალი თავზე ჩამოგქცევია, მე კი დავყბედაობდი და თვალში ეკლად გესობოდიო, რას გეფაფხურებოდი თავშენახულ ქალს, მე თავმოსასპობიო, ღვთის კაცი გამომეცხადაო, ხნიერებაშიც როგორი გასამტერებელი იყო. უწინ რა იქნებოდაო, უნდა მაპატიოო! მზიას მუნათი არ დაცდენია: — წყალწაღებულს შენი ლოცვა რას მიშველიდაო, ეგ მე წამლად არ დამედებოდაო, რაც იყო იყო, ამისთანები გადამიყლაპიაო, სასაყვედურო არაფერი მეთქმისო, — კვირის სწორზე მზია უშიშროების განყოფილებაში გამოიძახეს და ქება-დიდებით შეამკეს: — ბარაქალა შენს ქალობას, სამშობლოს გამყიდველს საკადრისი პასუხი რომ გაეცი და ხელის ჩამორთმევის ღირსიც არ გახადეო! ზოგი მზიას გულშიც ჩამოიხედონ, რა ცეცხლი უტრიალებსო, ექომაგებოდა მელანო. სამი დღის მერე მზიამ ბარათი მიიღო: — კუკიაზე მისვლა მოვასწარი, მადლობას ვწირავ უფალს, ცოცხალი ხარო, გამჩენმა იცის, უჩემნებოდ მოხდა უცხო მხარეში ჩემი გადახვეწაო, ღმერთმანი არც შენთვის, არც საქართველოსთვის არ მიღალატიაო, იმისდაკვალად ნუ გამსჯი, რასაც ავი ენები გვწამებდნენო, დღემდე გული ვერ გადავაჯერე და მსახვრალმა დრომ, ვერ დამავიწყაო შენი თავი, უმანძილო სიყვარულით არ მყვარებიხარო, მინდოდა ერთხელ კიდევ თვალი შემევლო შენთვის და ისე გამეცაო სული, ღმერთი იყოს შენი შემწეო! მზიამ წერილი მელანოს წააკითხა და დაფიცა: — როცა ჩემი მზე ჩაიწურება, ეს უსტარი თან გამატანეო!

მზიას დანაპირები შევუსრულეთ, პაწია ფარატინა ქაღალდი, რაც მზიას დიდი სიყვარულის საზღაურად ერგო, მელანომ უბეში ჩაუდო და დაატირა:

— ეს ერთადერთი სურვილი იყო, რასაც შენი სიცოცხლის მანძილზე აღსრულება ეწერაო!

რაც თვალს არ გამოეპარება

# მიწისქვეშა გასასვლელი თუ მიწისქვეშეთი?



იყო დრო, როცა ადამიანის უსაფრთხოების მიზნით, თითქმის მთელი ქალაქი გაითხარა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა დაიწყო. ზოგიერთი მაშინ იმასაც კი ამბობდა: ამ ამფითეატრივით წამომართულ ქალაქს, ლამის არის ძირი გამოუთხარონ, როცა მეტროა, ამდენი გასასვლელი რა საჭიროაო? დამთავრდა მშენებლობები, მაშინდელი მილიცია ხალხს აიძულებდა, მიწისქვეშა გასასვლელებით ესარგებლა: და თუ ვინმე „ელემენტარულ“ წესებს დაარღვევდა, ათი მანეთი ჯარიმა და ტელეეკრანის კამერაც არ ასცდებოდა. ასე იყო, თუ ისე, ბოლოს ყველა შეეჩვია მიწისქვეშა გასასვლელებით სარგებლობას. თუმცა მალევე გადავეჩვიეთ, რადგან უშუქობამ, ქვეშეთი კი არა, მთელი ქვეყანა ჩააბნელა. უპატრონოდ მიტოვებული გასასვლელები კი ნაგვის ბუდედ გადაიქცა. გავიდა დრო, ამ ადგილებს პატრონი გამოუჩნდა. გაწმინდეს, გაასუფთავეს და გასასვლელებს თითქმის პირვანდელი სახე დაუბრუნეს, მაგრამ მალე მიწისქვეშა მოსიარულეთა გასასვლელები გადაიკეტა და ადგილი შიგამშენებლობებს დაეთმო. მალე იქ მჭიდროდ მიჯრილი პატარ-პატარა ფარდულები ჩაიდგა, რომლებიც პირველად კუსტარული ვაჭრობის წყაროდ იქცა. მათ მოჰყვა ფეხსაცმელისა და ტანსაცმლის, შემდეგ, ჰიგიენური და კომპიუტერული სათამაშო ოთახები, გაიხსნა კაფე-ბარები, ლუდხანები და ა. შ. შუაზე გაყოფილ გასასვლელებს კი, ამჟამად ორი ფუნქცია დაეკისრა: ნაწილი ფეხით მოსიარულეთ დაეთმო, ნაწილი კი სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყო და მიწისქვეშა გასასვლელები მიწისქვეშეთად იქცა.

ილია ჭავჭავაძის გამზირზე, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტთან, სახანძროს წინ, ზედ მიწისქვეშა გასასვლელზე მუქ-ცისფრად შეღებილი შემინული ნაგებობა, მზის გულზე ალაპლაპებული, შორიდანვე თვალის მომჭრელად მოსჩანს. ნუთუ სხვა ადგილი ვერ გამოიძებნა, რომ მიწისქვეშა გასასვლელის თავზე შემინული ნაგებობა არ წამოეჭიმათ? აქ არც უსაფრთხოებაა დაცული და ვფიქრობ, არც არქიტექტურულად უნდა იყოს მთლად გამართლებული.

თამარ მეფის გამზირზე მდებარე მიტოვებული გასასვლელი კი დღემდე „პატრონს“ ელოდება. ეს არემარე, საერთოდ, ნაგავსაყრელს უფრო ჰგავს, ვიდრე გამზირს. ჩაბნელებულ გასასვლელს ხომ ახლოსაც ვერ გაეკარები. ამ ბოლო დროს მის ერთ მხარეს რაღაც უსახური ნაგებობაც ჩაუდგამთ და იქაურობა ნაგავსაყრელად უქცევიათ. დაჭაობებულ გუბედან კი შმორის მძაფრი სუნი ამოდის. ტრანსპორტის მომლოდინე შეწუხებული ხალხი იძულებულია ყოველივე ეს აიტანოს.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა, მეტროს შესასვლელებში. აქ ყვავილებით, ათასგვარი საღეჭი რეზინებითა თუ ჭრელაჭრულა კანფეტებით სხედან ეს ე. წ. „გამყიდველები“ წვიმაში, თოვლსა თუ თაკარა მზეში და გათენებიდან შუაღამემდე მუშტარს ელიან. საქონელი კი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთზე მიწყობილი, რომ ნემსიც კი არ ჩავარდება. ვინ დაეძებს ჰიგიენას, სანიტარიას ან სახანძრო წესებს.

დღეს ერთი შეხედვით თითქოს ყველა სიკეთე დაგვეიწყებია და მთავარ საარსებო წყაროდ მხოლოდ ფული, ვაჭრობა და ბიზნესი გაგვიხდია, რის გამოც ჩვენი დედაქალაქი ერთ დიდ სავაჭრო ცენტრად გვიქცევია.

თბილისს ეს ნამდვილად არ შეშვენის...

**ცისანა სიხარულიძე.**

**სურათზე: მიწისქვეშა გასასვლელი თამარ მეფის გამზირზე.**

**ზენადი სანაიას ფოტო.**

გმადლობთ

# კაცი გაჭირვებაში გამოიცნობის...

ეს წერილი გაჭირვებამ დამაწერინა. ცხოვრების რთული გზა განვლე, მაგრამ არ მეგონა, მოხუცებულებაში თუ ისე გამიჭირდებოდა, რომ ვინმეს დახმარების სათხოვნელად მივმართავდი. არა და არც ჯაბანი ვიყავი. მთელი ცხოვრება რაიონში მუდამ პასუხსაგებ თანამდებობაზე ვმუშაობდი: წლების მანძილზე წალენჯიხის ღვინის ქარხანას ვხელმძღვანელობდი. ვიყავი რაიკომის წევრი, წევრობის კანდიდატი, სარევიზიო კომისიის წევრი, რამდენიმე მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე და ა. შ. ჩემი ცხოვრება პატიოსნად განვლე და კარგი ავტორიტეტითაც ვსარგებლობდი. ახლა მოვხუცდი და ვარ პენსიონერი. საპენსიო დახმარებას — 35 ლარს ვღებულობ, მაგრამ 5-სულიანი ოჯახი, რომლის არც ერთი წევრიც არ მუშაობს, თვეობით ველოდებით ჩემს დაგვიანებულ პენსიას. ძალზე გამიჭირდა და იძულებული შევიქენი დახმარებისათვის რამდენიმე პირისათვის მიმემართა. ერთმა „ცნობილმა“ შეძლებულმა ბიზნესმენმა ისიც კი მომწერა: თქვენს განცხადებას გულისყურით გავეცანი, მაგრამ ამჟამად საშუალება არა მაქვს რაიმე დახმარების გაცემისაო. სხვა შეძლებულმა კი, პასუხის ღირსიც არ გამხადა, საინტერესოა, რად უნდათ ასეთი სიმდიდრე?.. ისინი მხოლოდ ფულის მანიით არიან შეპყრობილნი და უმწეოთა დახმარებისათვის არა სცალიათ. იძულებული ვიყავი დახმარებისთვის რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის ირაკლი კოპლატაძისთვის მიმემართა: მან გულთან მიიტანა ჩემი თხოვნა და რაიონის შესაბამისი ორგანოების საშუალებით 11 თვის გაუცემელი პენსია მივიღე. ოჯახმა შვებით ამოისუნთქა.

მინდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან მადლობა ვუთხრა ბატონ ირაკლი კოპლატაძეს იმ დახმარებისა და გულისხმიერებისათვის, ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ რომ გამოიჩინა და ვუსაყვედურო იმ კარჩაკეტილ „მილიონერებს“, რომლებსაც ჩემი გაჭირვება არაფრად ჩააგდეს. კაცი გაჭირვებაში გამოიცნობაო — ნათქვამია. მეც შევიცანი ისინი, და რადგან საქვეყნოდ არ მინდა შევარცხვინო და თავი მოვჭრა, კონკრეტულად გვარებს არ ვასახელებ.

**ალექსანდრე ხარჩილავა,**
**ქ. წალენჯიხა.**

გვწერენ

# „სარკმელში“ სიყვარული ირეკლება

ერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით აღმოვჩნდი თბილისის არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „სარკმელში“. ჩემი სტუმრობა უკავშირდებოდა დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას: „ენა, მამული, სარწმუნოება“. ნანახმა და განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ბავშვები მსახიობური ოსტატობით კითხულობდნენ ლექსებს, დიდ შემოქმედთა გამონათქვამებს ქართულ ენაზე, სიამაყით გაიხსენეს ჩვენი ენის წარმოშობის ისტორია და მისი სიწმინდის შენარჩუნებისათვის ქართველი კაცის ბრძოლა, მათ გადაგვიშალეს საამაყო და სევდიანი ისტორია ჩვენი ქართული ენისა, ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგიის მრავალსაუკუნოვანი მატიანე, პატივი მიაგეს თავდადებულ და მსხვერპლად შეწირულ ქართველთ.

ეს ყველაფერი კი დიდებული იყო კომპოზიტორ ალინა ცხომარიას მუსიკალური გაფორმების ფონზე. ამ სკოლაში ქალბატონი ალინა აზიარებს მუსიკის სიდიადესა და ხელოვნებას ბავშვებს. მოსწავლეებმა შეასრულეს დიდებული საგალობელი, რომელიც ქალბატონმა ალინამ სპეციალურად ამ სკოლისთვის შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არსებობის სულ სამწლიანი ისტორია აქვს, გასაოცრად ბევრი რამ მოუსწრიათ და გაუკეთებიათ. თვალსაჩინოა სწავლების მაღალი დონე, რაც განპირობებულია სწავლების გაძლიერებული პროგრამებითა და მაღალპროფესიულად შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოებით, რასაც დიდი მონდომებით წარმართავენ ახალგაზრდა, მაგრამ საქმისათვის საოცრად თავდადებული პედაგოგები.

საუბარში გამოიკვეთა, რომ მათთვის ეს ჩვეულებრივი საქმიანობა არ არის; რომ ამ სკოლაში მოღვაწეობა პატრიოტიზმთან და ჩვენი ქვეყნის მომავალთან არის გაიგივებული.

რაოდენ სასიხარულო იყო ჩემთვის, რომ სკოლაში სწავლობენ ბავშვები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან, სადაც მათ არაჩვეულებრივი სითბო და სიყვარული ახვევიათ გარს, სადაც ცდილობენ, საკუთარი კუთხის დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილი შეუმსუბუქონ. დიდი მადლობა მათ ამისათვის.

**სულიკო სხულუხია,**
**აფხაზეთის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოსა და აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე.**

# 3htdthfycb4 lf[vfht,fc bs[jdc

დედაქალაქის მიკრორაიონ „ვარკეთილში“ საზოგადოებრივ საწყისებზე, ჯერ კიდევ 1994 წელს, ბესო ლომსაძის ხელმძღვანელობით მცირე თეატრალური დასი „ჭინჭრაქა“ შეიქმნა. იქვე დაარსდა თეატრი-სტუდიაც, რომელსაც სათავეში ამავე მიკრორაიონში მცხოვრები მუსიკოსი თამაზ ჭელაძე ჩაუდგა.



6 წლის დაუღალავი შრომის შემდეგ თეატრი და მუსიკალური სტუდია მუსიკალურ თეატრ „რევერანსში“ გაერთიანდა და მათი სპექტაკლები არა მარტო თბილისში, არამედ მახლობელ რაიონებშიც კი იმართებოდა.

მალე თეატრმა ბორჯომში გამართულ „საქართველოს ბავშვთა თეატრების“ ფესტივალზე გაიმარჯვა — პრიზები აიღო საუკეთესო პიესისათვის, რეჟისურისათვის, მუსიკალური და მხატვრული გაფორმებისათვის, კოსტიუმებისათვის. საუკეთესო მსახიობად ავთანდილ ხოკერაშვილი დაასახელეს.

თეატრს დღემდე არა აქვს სარეპეტიციო დარბაზი, მაგრამ მისი 16-ვე ნორჩი მსახიობი მაინც ენთუზიაზმით მუშაობს — რეპეტიციებს ხან კონოთეატრ „ბათუმში“, ხან არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება ვარკეთილის“ ოფისში ატარებს (16-ვე ნორჩი მსახიობი ვარკეთილის მაცხოვრებლები არიან).

სამგორის რაიონული ორგანიზაციის „მოქალაქეთა კავშირის“ დახმარებით სწორედ გამგეობის შენობაში გაიმართა საქველმოქმედო სპექტაკლი აფხაზეთიდან ლტოლვილი ბავშვებისათვის, შემდეგ კი იმავე შენობაში სპექტაკლი „მზე ისევ ამოვა“ დაიდგა.

სპექტაკლმა „მზე ისევ ამოვა“ (რეჟისორი ბესო ლომსაძე) ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკურ ფესტივალზე „ჯადოსნური ხმები“ მეორე ადგილი დაიკავა. მიწვევებიც მიიღო საქართველოს რეგიონებიდან, აგრეთვე, იაპონიიდან, იაპონიაში „მსოფლიოს ბავშვთა თეატრების ფესტივალზე“ მიწვეულ 12 ქვეყანას შორის საქართველოც იყო, მაგრამ „რევერანსმა“ უსახსრობის გამო გამგზავრება ვერ შეძლო.

„რევერანსი“ კვლავაც აგრძელებს მუშაობას. ნატვრა კი ერთი აქვს: მისი საქმიანობით ვინმე დაინტერესდეს და ისან-სამგორის რაიონში მას სარეპეტიციო დარბაზი მაინც გამოუყოს!...

**ლალი კოკალაშვილი,**
**საერო სკოლის მასწავლებელი.**
**ვარკეთილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 129, ორშაბათი, 19 მაისი, 2003 წელი.

## ორშაბათი
19 მაისი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.15** მხ. ფილმი **"არლეტი"**. **11.50** დოკ. სერიალი "საუკუნის გიგანტები" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ნაშუადღევს **14.00** "ოქროს მართვე" **14.30** "ქართული მთავსლელობის ისტორია" **15.15** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** **17.00** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.15** "რამპა" **17.20 50-50** **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** მრავალჟამიერ **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **22.00** "პრეზიდენტი გისმენთ" **23.00** "რა ხდება?" **23.55** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **00.15** მხ. ფილმი **"აკვანი დაირწევა"**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** ლატარია ყველასათვის **21.00** ჯანმრთელობა **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოჰიკანი"**.

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.50** სერიალი **"მაშველები"** **19.50** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"შულერები"** მთ. რ-ში: მეთ დეიმონი **02.30** კლასიკა

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ.ფ. **"40 დღე და 40 ღამე"** **10.20** მხ.ფ. **"სასიკვდილო ცდუნება"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.10** დოკუმენტური ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.00** ბურთი და მოედანი **20.30** მხ.ფ. **"ჩემი ბიჭი"** **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. **"ერინ ბროკოვიჩი"** **01.30** ღამის ფილმი

**08.55, 11.55, 13.55, 15.55, 17.55** ახალი ამბების დაიჯესტი **09.00, 13.15, 17.20, 23.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"იუდას ქალი"** **36**-ე ს. **10.30** ლარი მახე **11.00** სერიალი **"შტოკინგერი"** **12.00** სერიალი **"იუდას ქალი"** **37**-ე ს. **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.00** სერიალი **"გაიხსენო ყველაფერი"** მე-**12** ს. **15.15** ფანების კინოკლუბი **"ჟანდარმი და უცხოპლანეტელები"** **17.30** X-კლუზივი **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** **38**-ე ს. **19.30** სერიალი **"სახიფათო მოსახვევები"** **1**-ლი ს. **20.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **20.55, 02.10** ახალი ამბების დაიჯესტი **21.00** სერიალი **"ეარ ამერიკა"** **1**-ლი ს. **22.45** სერიალი **"გაიხსენო ყველაფერი"** მე-**13** ს. **00.05** კინო-ნოსტალგია **"კარტუში"**

**12.00** ინდური მხ. ფილმი **"გასწირე შენი თავი"** **15.00** მხ. ფილმი **"დაქირავებული მკვლელი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ოცნების ზღვარი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"შერკინება"**

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00** მხ. ფილმი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** ფილმის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** მუსიკალური პაუზა **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.30** პირველი ნაბიჯები **23.00** მუსიკალური პაუზა **23.00** ინდური მხ. ფილმი **"შეყვარებულები"**

**08.00** ტოროლა **11.00** განმეორებით რუსული მუსათეული **11.45** ფილმი **14.00** ფილმი **16.00** ფილმი **"თაგვის ნადირობა"** მთ. რ-ში ნათან ლეინი **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** ფილმი ბრავო **"თვალთახედვის მიღმა"** მთ.რ-ში ჯორჯ კლუნი **01.40** ფილმი ღამურა **"მეწამული ასული"** მთ.რ-ში ასია არჯენტო **03.45** პაუზის გარეშე

**09.35** მულტფილმი "წითელქუდა" **10.25, 13.30, 14.20, 15.15, 23.50, 01.55** მუსიკა **10.40** მხ. ფილმი **"ინდიანა ჯონსი"** **12.40** მხ.სერიალი **"რაც გინდა აკეთე"** მე-4ს. **13.45** "ოსტატები"-მეარღნე **14.00** "ბელისიმო" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.45** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.35** მულტფილმი "შობის ელფები" **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **17.45** ლეო და გეო **18.00** მხ. სერიალი **"ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"** **18.25** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **181**-ე ს. **20.00** გადაცემა "მსოფლიო რაგბი" **21.00** მხ. სერიალი **"სირინოზები"** **1**-ლი ს. **21.45** "ჩემი ქვეყანა". **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ.ფილმი **"ფენიქსი"** **00.20** მხ. ფილმი **"იცეკვე ჩემთან ერთად"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** კონცერტი **09.00, 12.00, 16.00, 19.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** სათავგადასავლო ფილმი **"ოთხფეხა პატარა"** **10.35, 14.15, 17.10, 22.40** მუსიკა **10.50** კომედია "ქალბატონები იწვევენ მამაკაცებს" **12.10** მხატვრული ფილმი **"ოლიგარქი"** **14.30** ისტორიული ფილმი **"ატილა"** **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **17.30** ფილმი-კატასტროფა **"დაშვება შეუძლებელია"** **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.15** მხატვრული ფილმი **"როჯერ დოჯერი"** **22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **23.00** "ალტერნატივა" **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** მხატვრული ფილმი **"ცოფიანი ქოფაკი და გლორი"** **03.40** ისტორიული ფილმი **"სირანო დე ბერჟერაკი"**

## სამშაბათი
20 მაისი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი **"აკვანი დაირწევა"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ნაშუადღევს **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი **"დონ ჟუანი"** **16.50** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.05** შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "და არს მუსიკა" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "ჩვენი ფეხბურთი" **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?" **23.55** მხ. ფილმი **"სხვისი ცოლი და ქმარი საწოლს ქვეშ"**.

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმები **19.30** სერიალი **"რვაფეხა"** **20.30** ამბები ჩვენზე **20.45** ოქტაგონი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი **"გადაძახილი"**

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "მეოცე საუკუნე" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.20** სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" **18.45** დოკ. ფილმი "ბუნება" **19.15** პერეკროსტოკი **19.50** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ვის უნდა ოცი ათასი? **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"მდიდარი"** მთ. რ-ში: ლინო ვენტურა **02.30** კლასიკა

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი **"ჩემი ბიჭი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **"სასიკვდილო ცდუნება"** **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. **"პან თადეუში"** **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი **"მარტოხელა"** **01.10** ღამის ფილმი

